

*Handwritten signature or text at the top of the page.*

# ივერია

1882

№ VI, ივნისი.

თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1882

## შინაარსი:

I	სიხე შიგნიდამ გატეხილი, რომანი (შემდეგი). . .	3
II	ისტორიული სურათები, (ქართველი ქალი) (შემდეგი). შლ. დიმ. ჯანაშვილისა. . . . .	67
III	დაკოდლილი (დექსი) თ. რაფ. ერისთავისა. . . .	103
IV	ნ. ხუდადოვის პასუხად, გრ. ფიფქიძისა. . . .	104
V	შალარი და იმისი თხზულება, «უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე» (წერილი მქარე). . . . .	126
VI	თანდილას დარდი (დექსი) თ. რაფ. ერისთავისა. . .	150
VII	შინაური მიმოხილვა. ადამიანი ცალკედ — ადამიანი, საზოგადოება და ხანელმწიფო—თვითვეულის უფლება უდიდესი საგანი—ადამიანის პიროვნების უფლება—ჩვენი ლიტერატურა ამ საგანზედ—ცუდი ჩვეულება—რა უნდა გავუჩხრიკოთ—ზნეობითი კუთვნილება ადამიანისა—ამ საგანზედ რა ჰსწერია ლიბერალითა დროშაზედ — უწვრთნელნი — ბაღღების ბარაქაღა—ბ.ნი გეგვიძე და ნ. ლოლობერიძე წინაშე პიროვნების უფლებისა—ნ. ლოლობერიძის საქციელი—ვერაფერი თავის გამართლება. . . . .	151
VIII	მანცხადებანი. . . . .	160

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო  
ჟურნალი.

6010

წელიწადი მეექვსე.

№ VI



თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელოქოვის ქუჩაზე.

1882



Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Юня 1882 г.

## სიხე უიზნილამ გაბეხილი.

(შემდეგი \*).

თაგი მესამე.

ერთის მაგიერ ოც და-თორმეტი კაჩაბაში.

— ნელა დანიელ, ნელა, თორემ ჟაგლავ ცხენსაკით უკან ჩამოკრჩები, უთხრა დონ-კანდინომ.

— წამო, წამო, მიუგო დანიელმა, რომელიც გაჩქარებული მიდიოდა რიყის ქუჩაზედ.

— აი ჩვენ ოთხი ქუჩა გამოვიარეთ, განაგრძო დანიელმა, და გასუქებული მღვდელი კი, ესლაც ზალაში გაშხლარტული გდია.

— რა მღვდელია! რა საკვირველი მღვდელია, დანიელ! სთქვა შიშით დონ-კანდინომ.

— შენ კიდევ კარგად არ იცნობ იმას.

— ღმერთმა დამისხნას იმის ცნობისაგან.

— ხანჯლიანი მღვდელი, ჭა, — როგორია?

— საშინელია, დანიელ. მაგრამ ძალიან ხერხიანად კი მოვიქცით.

---

\*) «ივერია» № 4—5, 1882 წ.

— მას ანა!

— ღმერთმანი ჩემს თავს მე ველაჩ ვსცნობდი.

— როგორ?

— ისე, ვერ ვცნობდი.

— შენ ყოველთვის შეგიძლიან გამხედარი იყო, ჩემო მეგობარო.

— ანა, ჩემო საუვარდლო დანიელ, ჩემო მოვარდლო და მხსნელო, სხვა დროს უთუოდ შიშით მოგვედებოდი, როდესაც ხანჯალს დაგინახავდი.

— აი ებ ცუდი!...

— დამიჯერე, დანიელ, მართლაც ვამბობ. ასეთი აგებულებისა ვარ და რა ვქნა. სისხლის დანახვა შემსარჩავს ხოლმე. ის წვეული მღვდელი სრმ...

— ჩუმად.

— რა ანის? ჭკითხა დონ-კანდინომ და მიიხედ-მოიხედა.

— ჯერ ანავერი, მაგრამ სომ იტი ბუენოს-აირესში ქვევსაც კი ყურები აქვთ გამოსხმული.

— დიალ, დიალ, სხვა რამესედე ვილაპარაკოთ, დანიელ. მხოლოდ მინდოდა შეთქვა შენთვის, რომ...

— რომ რა?

— რომ შენ ხარ დამნაშავე ამ საქმეში.

— იქნება, მაგრამ, ვგონებ, სამაგიერო ბევრი მიქმნია შენთვის.

— როგორ?

— თუ შენ ამ განსაცდელში ჩავადე, ვგონებ მევე დაგიხსენ განსაცდელისაგან.

— ებ მართალია, დანიელ, და ამის შემდეგ მე შენ ჩემს მხსნელსა და მოვარდელს გიწოდებ.

— ჩემად იყავ და ცოტა სიარულს მოუმატე, უთხრა დანიელმა, როდესაც შეერთებულის შტატების ქუჩაზე გადავიდა და გაჩერდა კუთხეში. დანიელ დაატყუარდა დონ-კანდინოს, რომელსაც ფარნის შუქი მისდგომოდა სასუსედ. მერე უცნაოდ გადისარსარა.

— იცინი, დანიელ?

— დიაღ, ბატონო, როგორც მსედამთ, გულით ვიცინი.

— რაჟედ იცინი, მერე?

— არ შემიძლიან არ გავიცინო, როდესაც მოვიგონებ, რომ შენ მარშიუე კაცად გრაცხავდენ, ჩემო კეთილო მასწავლებლო.

— მე?!

— დიაღ შენ, განა დავაგიწუდა, რასაც მღვდელი გკითხავდა?

— თუ მე არა, შენ ხომ იცი ..

— არა, ბატონო, არ ვიცი, და ამისთვისაც შეკდექი ამ ადგილას.

— როგორ? ვითომ არ იცი, რომ იმ სახლში არავის ვიცნობ?

— ეგ მეც კარგად ვიცი.

— მაშ რაღა გინდა გაიგო?

— ერთი რამ, რომელსაც შენ ესლავე შემატულობენ, მიუგო დანიელმა გაატებულს დონ-კანდინოს.

— თუ კი შემეძლება, ბატონი ბძანდებით, დანიელ... სთქვი, მკითხე!

— მე მინდა გავიგო, რომელ ქუჩაზედ სდგესართ აქა?

— შენ გინდა ჩემი საწყალი სახლი ნახო?

— დიაღ, ბატონო, სწორედ ეგ მინდა.

— მაგაზედ დვილი რაღა იქნება: მე თქვენს ახლას ვცხოვრობ.

— მე ვიცოდი, რომ აქ სადღაც იყო შენი სახლი; მაშ ნებას მაძლევთ წამოვიდე?

— მობძანდით, ბატონო, მობძანდით, აი აქეთ წამოდით, უთხრა დონ-კანდინომ და წავიდა აკადემიის შეიძნისკენ და მეტე კუიოს ქუჩისკენ გაუსვია.

რძენიძე ნაბიჯი კიდევ გადასვა და დააკაკუნა სახლის კარები. კარები გაუღო ერთმა ძაღლმა ბებერმა დედა-კატმა, რომელიც გაკვირვებით დანატყობდა დანიელს.

— ჩემს ოთახში სანთელი ხომ არის, დონა ნიკოლისა? ჭკითსა დონ-კანდინომ.

— გასლავს, ბატონო, უთხრა ნიკოლისამ და შებრუნდა.

დონ-კანდინომ დანიელ შეიყვანა სალაში, რომელიც აგურებით იყო მოკირწყულული და აქა-იქა ჩაღრმავებული. დანიელმა რამდენჯერმე ისე წაიბოროძიკა, რომ გინდამ არ დაეცა. სალა მორთული იყო სკამებით და თაროებით, რომლებზედაც უფრო ისტორიული წიგნები ეწყო.

— დაჯექ, დანიელ, დაისვენე, უთხრა დონ-კანდინომ.

— მაღლობელი გასლავარ, ბატონო სეკრეტარო, უთხრა დანიელმა და მოუჟდა სტოლს მეორე მხრიდამ.

— რა, განა არ გინდა კვლავინდებურად მასწავლებელი დამიძახო.

— მაგას რას ამბობ, ესლა უფრო თვალ-საჩინო თანამდებობა არ გიჭირავს.

— რომელსაც უოგელ-დლე ვსწუეკლი.

— და რომელსაც მაინცა და მაინც თაკს არ დაანებებ.

— რასაკვირველია, ეს თანამდებობა ჩემი მსსნელია. ამას-

თანავე ძლიერ საღის აგებულებისა ვარ და ხმატ საკმაოდ კარ-  
გი მაქვს, ასე რომ დოქტორი დონ-ფილიპე არანო ვერ წა-  
მართმევს ხმას ქალაქების მალაღის ხმას კითხვით.

— არა თუ მარტო დოქტორი, არამედ უცხო საქმეთა მი-  
ნისტრიც არკენტინის კონფედერაციისა.

— ეგრეა, ეგრე, დანიელ. შენ ზეპირად იცი იმათი ტიტუ-  
ლები.

— მესხიერება კი შენზედ ნაკლები არა მაქვს, ბატონო  
სეკრეტარო.

— მაგით რა გინდათ სთქვათ?

— ბუკრი არაფერი. მე მხოლოდ ისა მწყინს, რომ ერთის  
კვირის სამსახურის ნაყოფიდან მხოლოდ ორი ქალაქი მაჩ-  
ვენე, და ისიც უბრალონი.

— მაგას ჩემს გულ-მაგიწობას ნუ დახბრალებ, დანიელ. მე  
შენ ავი გითხარ, რომ ესლა ჯარზედ ხარჯის შესახებ ქალა-  
ქების მეტს არაფერს ვწერ. ეს ქალაქები მინისტრმა მთავ-  
რობას უნდა წარუდგინოს. იმ ორის ქალაქის მეტი, რომ-  
მეზნიც შენ გაჩვენე, სხვა პოლიტიკური ქალაქები არა მქო-  
ნია-რა. მაგრამ ერთი ეს მითხარ დანიელ, აგრე რისთვის ცდი-  
ლობ სახელმწიფოს საიდუმლოების გაგებას? გამიგონე, ამ აღ-  
რეუფს და საზარელს დროს პოლიტიკაში გარეკით ხომ გან-  
ს-ცდელში აგდებ შენს თავს.

— მაგაზედ ლაშარაკი რა საჭიროა.

— არა ისე გკითხავ, რად გინდა დონ-ფილიპეს საიდუმლოე-  
ბის გაგება?

— ისე ცნობის მოუვარეობისათვის.

— მარტო მაგისთვის?!

— რასაკვირველია. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ვინც ჩემს ცნო-

ბის-მოყვარეობას არ დააკმაყოფილებს, თუ გინდ პატივ-საცემო კაციც იყოს, ძალიან მასწავლებს. ამასთანავე პატივის-ცემას პატივის-ცემისათვის, — ასე არ არის, ჩემო მასწავლებლო?

— სწორედ ეგრეა, ეგრე, დანიელ. მიუგო დიმილით დონ-კანდინომ, თითქოს უნდოდა გაეჭარებინა ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მოასდინა დანიელზედ თავის უკნასკნელის სიტყვებით. დანიელმა უშოვა მას ამ არეულს დროში სეკრეტობის ადგილი და ისეთი საიდუმლოებანიც გაიგო იმისგან, რომლის გამჟღავნება მას დაღუპავდა.

— მაშ ჩვენ ერთის აზრისანი ვყოფილვართ, განაგრძო დანიელმა, და ნიშნად ჩვენის მეგობრობისა, აიღე სულში კალამა და მეც ერთი თაბახი ქაღალდი მომეცი.

— მეც რა უნდა ვუყოთ მე კალამს და შენ ქაღალდს?

— რასაკვირველია, უნდა დაგწეროთ რამ.

— მარტო მაგისტრის გინდათ? მიიროვით ქაღალდი.

დანიელმა გაიტინა და დაიწყო ქაღალდის კეცვა, მეც დასჭრა ნაჭერ-ნაჭერ სულ ოც-და-თორმეტი ნაწილად, რგა ნაჭერი დონ-კანდინოს მისცა.

— რა ვუყო ამ ნაკუწებს?

— მოიცა, უკვლავფერს ბეჭევი. ეს კარგი კალამია?

— წმინდად დასაწერად კარგია, მიუგო მასწავლებელმა.

— ძალიან კარგია; უკვლავ ამ ქაღალდებზედ დასწერე ციფირი

24 ინგლისურის სულით.

— ეგ კარგი რიცხვი არ არის, დანიელ.

— რატომ, ბატონო?

— ამისთვის რომ მაგდენჯერ დაკვრავდი ხოლმე ზარმაც შეგირდებს სასახავს. ესლას ისინი უკვლასი ვაჟ-კაცობად გახდენ და იქნება ჩემის ჯავრის ამოურა განიზრახონ...

- დასწერე 24, ბატონო დონ-კანდინო.
- სსკა აჩაფერი?
- აჩაფერი.
- 24, 24, 24... სთქვა დონ-კანდინომ, როდესაც რვა-  
ჯერ დასწერა და წაიკითხა სმა-მაღლა ეს რიცხვი.
- ძალიან კარგი; ესლა ამ ქალაქების მეორე გვერდზედ  
დასწერე: კანხაბაბა.
- კანხაბაბა!!
- დიაღ, რა მოგივიდა, ბატონო? ჭკითხა დანიელმა, რო-  
დესაც ეს სიტუცა დონ-კანდინომ შიშით წამოიძახა.
- იცი რა, ეს სიტუცა ყოველთვის მომაგონებს იმ სახლს,  
რომელშიაც დღეს საღამოზედ ვიყავით და სადაც შეგვხვდა ის  
საშინელი მღვდელი და...
- დასწერეთ: კანხაბაბა, ჩემო მასწავლებელო.
- კანხაბაბა, კანხაბაბა, კანხაბაბა... სულ რვა აჩის.
- ამოიღე საწერლიდამ კალამი და ცოტა წვერი მოსტერი,  
რომ მსხვილად დასწეროს.
- ეს კალამი კარგი კალამია, დანიელ.
- შენ როგორც გეუბნებიან, ისე მოიქეცი.
- ბატონი ბძანდებით, ჩემთვის ორივე ერთია.
- კარგი, დასწერე ისევ ის ციფირი და ისევ ის სასულ-  
წოდება ამ რვა ქალაქის ნაჭერზედ, მხოლოდ ესპ.ნიურის  
ხელით ვი,— და დანიელმა მისცა დონ-კანდინოს კიდევ რვა  
ქალაქის ნაჭერი.
- შენ გინდა, რომ სსკა-და-სსკა ხელით დავწერო?
- დიაღ, გამოიჯან.
- ეგ რომ აკრძალულია, დანიელ...  
— თუ ღმერთი გწამს დასწერე ისე, როგორც გეუბნები.

— კარგი, კარგი, — აი მზად არის, სთქვა დონ-კაინდინომ, როდესაც მსხვილად დასწერა ციფირი და სასულ-წოდება ქუჩისა.

— ფერადი მელანიც სომ გაქვს?

— დიაღ, მაქვს.

— ამ ქაღალდებზედაც იმ მელნით დასწერე.

— ისევე ის ციფირი?

— დიაღ, ისევე ის სიტყვაც.

— როგორის ხელით?

— ძრანტურხელით.

— რომელიც ძლიერ მეჯავრება. — აი მზად არის!

— ესლა ამ უკანასკნელ რვა ქაღალდზედაც დასწერე.

— როგორის მელნით?

— ამოაწე შავს მელანში ის კალამი, რომელიც ფერად მელანში იღო.

— მერე როგორის ხელით?

— ქალურის ხელით.

— სულ ისევე ის?

— რასაკვირველია.

— დავსწერე. სულ რც-და-თორმეტია.

— ფერად, 24 ციფირით.

— და რც-და-თორმეტის კახაბაძით, უთხრა დონ-კაინდინომ.

— დიაღ მადლობელი გასლავარ, ჩემო მასწავლებელო, უთხრა დანიელმა, როდესაც ქაღალდის ნაჭრები დათვალა და შეინახა ჯიბეში.

— ძანტის თამაშობას სომ არ აზირებ, დანიელ?

— კე ჩემი საქმეა, ბატონო.

— ღმერთმანი, დანიელ, აქ წაღაც აწმყოება იმალება. გე-  
შინოდეს აწმყოებისა, გეშინოდეს! ბუენოს-აირესიტ ამისგან  
დაიღუპა.

— რომ შენც არ დაიღუპო, უმორჩილესად გთხოვ საუკუ-  
ნოდ დაივიწყო ყველაფერი. რაც ესლა დასწერე.

— მაგისას ჰატიოსანს სიტყვას გაძლევთ, დანიელ, უთხრა  
დონ-კანდინომ და ჩამოართვა ხელი დანიელს, რომელიც წას-  
ვლას აზირებდა, — ჰატიოსანს სიტყვას გაძლევ. ნურაფრისა გე-  
შინიან, იმხიარულე და დასტკები შენის ბედით.

— სულით და გულით გმადლობთ, ჩემო მეგობარო. მე  
რომ შენის რჩევისმებრ გაუფეთხილდები ჩემს თავს, შენც არ  
დაივარწყო ჩემი თხოვნა პლანის შესახებ.

— შენ, კგონებ, პლანი ხვალ გინდა.

— დიად, ხვალ დილით.

— დამეწმუნეთ, რომ ხვალ თორმეტ საათამდის მზად იქ-  
ნება.

— თუ შეიძლება თვითონ თქვენ კი მოიტანეთ.

— მე მოვიტან.

— ესლა კი ღამე-მშვიდობისა, ჩემო ღირსო მასწავლებლო.

— მშვიდობით, ჩემო მეგობარო, ჩემო მხსნელო დანიელ,  
დონ-კანდინომ მიატოლა კარებადის თავის წინანდელი  
ცელქი შეგირდი, რომელიც ესლა შეიქმნა იმის მიუარკველი და  
და დამცველი, როგორც თვითონ დონ-კანდინოც აღიარებდა.  
დანიელ გაეხვია თავის მანტიასში და ნელის ნაბიჯით გაუდგა  
ქუჩას.

თავი მეოთხე.

თეთრი ვარდი.

ესლა ვსთხოვთ მკითხველს წამოგიდეს ჩვენთან ამაღიას სასლში, რომელიც დავსტოვეთ მაშინ, როდესაც ჩაიცვა ტან-თა და ელოდა ედუარდოს წაღასში.

ამაღია განისვენებს დივანზედ; სახე ანთებული აქვს და მისი თვალები დასტკეპიან თეთრს ვარდს, რომელიც ხელში უჭირავს და სწიწკინის ფურცლებს.

ამაღიას მარცხნივ ზის ედუარდო ბელგჩანო, გაყვითლებული, შავის თვალებით და გალურჯებულის ქეთუთოებით.

— ინებეთ, ბატონო, სთქვა ედუარდომ შემდეგ სინემის მოკრძალების კილოთი.

— მე თქვენ კარგად ვერ მიცნობთ, უოსრა ამაღიამ ჭ თვალი თვალში გაუყარა.

— როგორ, ბატონო?

— ძლიერა სცდებით, თუ გგონიათ, რომ ისეთივე ქალი ვიყო, როგორც სხვა. ჩემი პირი იმას არ აღმოსთქვამს, რასაც გულისა არა ვგრძნობ.

— მაგრამ, ბატონო, მე არ უნდა მოვქტევეუფიყავ...

— მე იმას ვი არ მოგასხსენებთ, როგორ უნდა მოქტევეულიყავით და როგორ არა, გაწვევებინა ამაღიამ მომსიბლავის დიმილით, — მე ჩემს მოვალეობაზედ ვლავარავობ. თქვენს შესახებ მე უნდა შემესრულებინა კაცობრიული მოვალეობა და სიუყვარული, რომელთაც სრულიად შეესამება ჩემი რწმუნებაც და ჩემი სასიათიც. თქვენ ეძებდით თავის შესაფარებელს და

მეც გაგიღეთ სახლის კარები. თქვენ მომაკვდავი მოსკედით ჩემ-  
თან და მე ვცდილობ მოგაბრუნოთ და გაგიქარგოთ მწუხარ-  
ება. თქვენ გინდოდათ ნუგეშის-ცემა და მეც ამასვე უარი  
არ მითქვამს.

— დიდად გმადლობთ, ბატონო!..

— მოითმინეთ, მე ჯერ არ გამითავების ღვაწლია. მე აღვას-  
რუჯე ის, რასაც ღმერთი ზ სიუკარული მოყვასისა ვაღადა გვადებს.  
ჩემი მოვალეობა მაშინ აღსრულებული აღარ იქნებოდა, თუ  
შენის სიტყვისთვის დამეჯერებინა: შენ გინდა ჩემის სახლიდამ  
წასვლა, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ გინდა სულმოკლედ აკუ-  
შალონ ჭრილობები და მომაკვდინებელი შეიქმნენ, ამისთვის,  
რომ ვინც დაგჭრა, მზად არის ვიდევ დაგჭრას, რაკი გაიგებს  
იმ საიდუმლოებას, რომელიც დანიელის წყალობით დღევან-  
დლამდის დამალულია.

— მაგრამ ისიც ხომ იცი, ამაღია, რომ ისინი ვერაფერს  
გაიგებდენ იმ ღამის შესახებ, როდესაც გაქცევას ვაპირებდი.

— ეგ იმათ არ დააბრკოლებდა. თქვენ უნდა სრულიად სა-  
ღი წასვიდეთ ჩემის სახლიდამ და კიდევ ეცადოთ ქალაქიდამ  
გასვლას, უთხრა ამაღიამ და ჩაღუნა თავი. — გამიგონე, გა-  
ნაგრძო ამაღიამ და კვალად თავი მალლა აიღო, — მე თავის-  
უთელი ვარ, სრულიად თავისუფალი; მე ანგარიში არავის არ  
უნდა მივცე ჩემს მოქმედებაში და ისიც ვიცი, რომ უნდა ის  
მოვიქმედო, რასაც სინიღისი გვიბძანებს. რასაკვირველია, მე  
არ შემიძლიან აქედამ წასვლა დაგიშალოთ, მაგრამ ჩემის სურ-  
ვილის წინააღმდეგ კი მოიქცევით, თუ თქვენ, როგორც გან-  
გიზრასავთ, დასტოვებთ ჩემს სახლს, ვიდრე სრულიად კარ-  
გად არ შეიქნებით.

— როგორც განმიზრასავს! არა, ამაღია, არა!! უთხრა გულ-

მხურვალედ ედუარდომ, — აწა, მე მზადა ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე, მთელი საუკუნოები გავატარო ამ სახლში. ოც-და-შვიდის წლისა ვარ და სიცოცხლე ისე ტკბილად აწასად მივხედავ, როგორც მაშინ, როდესაც ის სიცოცხლე კინაღამ არ გჭკჩკა: ჩემმა გულმა მაშინ იგრძნო ნეტარება, როდესაც ვიტანჯებოდი ჭრილობებისგან, ერთის სიტყვით მაშინ ვიგრძენ ბედნიერება, როდესაც საშინელი განსაცდელი მომელოდა. მე მიუვარს ამ სახლის ჭაერიც, სინათლეც, თითქმის ბოლიც კი, მაგრამ გული მეტანჯება, როდესაც მაგონდება, რომ შენც განსაცდელში ჩაგაგდე. თუ განგება აქამდის თავის კალთის ქვეშ მიფარავდა, მტარვალს მაინც შეუძლიან გაიგოს ჩემი ბინა და მაშინ... ოჰ, ამაღია! მე მზადა ვარ შემოგწიროთ ჩემი ბედნიერება, სული და გული, ოღონდ კი თქვენი მუდრე ცხოვრება არ იქმნეს არავისგან დარღვეული.

— მაგრამ რა პატიოსნება იქნებოდა ქალისგანაც, თუ კი ისიც თავის-თავს განსაცდელში არ ჩააგდებდა იმ კაცის დახმარებისათვის, რომელსაც... რომელსაც მეგობრად სახავდა.

— ამაღია! სთქვა გულ-მხურვალედ ედუარდომ და დაუჭირა უმაწვილ-ქალს ხელები.

— ნუ თუ გგონია, ედუარდო, რომ ჩვენში არ მოიხვედრებოდა ქალები, რომელნიც მზად იყვნენ თავი თვისი გაიწირონ და გამოიჩინონ თავ-განწირულება და ენერჯია კაცისა? თუ ესლა კაცებს დაუვიწყნიათ თავიანთი კაცობა და მოკალეობა, მაშნება გვიბოძეთ ჩვენ, ქალებს, აღვიძალლოთ ხმა და გამოვესარჩლოთ სიმართლეს. მე რომ მივაგდეს ძმა, ქმარი, ან ძვირფასი გულის მეგობარი და ის განიზრახავდეს სამშობლოდამ გაქცევას, მე მზადა ვარ თან გაველოდი; თუ ის განსაცდელში ჩავარდება, მე მზადა ვარ გული ჩემი მივუშვირო

მისღამი მიმართულს მტარკაღის ხანჯალს, და თუ თავისუფლები სთვის საჭირო იქნებოდა, ასულიყო იგი სახრჩობელაზედ, მეც თან ავეკებოდი.

— ამაღია! ამაღია! მე, ჩემის სამშობლოსთვის თავ-განწირული, მუხლს ვიდრეკავ შენს წინაშე, გემორჩილება შენ. მომიტევე, ამაღია, მომიტევე, მე შენ მოგატყუე. ნახვის უმაღლეს გავიცან შენი კეთილშობილური გული; ისიც გავიცე, რომ მაგ გულს ვერაფერი ვერ შეაშინებს. მაგრამ ჩემს აქედამ წასვლას სინიღისა და ჰატიოსნება თხოვლობდა... ნუ თუ ვერ ხედავ, ამაღია, რა ხდება იმ კაცის გულში, რომელსაც შენ სიცოცხლე მიანიჭე იმისთვის, რომ ის სიცოცხლე უფრო დასტკობოდა. დიად, ამაღია, მერწმუნე ჩემი სიცოცხლე ჩემს გულს არას დროს არა ჭკუთვნებია, ეხლა კი...

— ეხლა? ჭკითხა ამაღიამ, რომელსაც უთრთოდა ხელები ედუარდოს ხელში.

— ეხლა გულითა ვცხოვრობ, ეხლა მიყვარს, ამაღია? — და ედუარდომ, საშინლად გაფითრებულმა, სიყვარულის ღ გრძნობის განკალით, მიიტანა ტუჩებთან მშვენიერი ხელი ამ ქალისა, რომლის გულსაც მიანდო თავის პირველი სიყვარული და პირველივე იმედი ბედნიერად ცხოვრებისა; როდესაც ედუარდომ განკალით სტაცა ხელში ხელი, თეთრი ვარდი გაკარდა ამაღიას ხელიდამ, ჩაგორდა იმის კაბაზედ და დაეცა ედუარდოს ფერხთა წინაშე.

ედუარდოს უგანასგელს სიტყვებზედ ამაღია ცუცხლსა-ვით აენტო, მაგრამ ეს ელექტრონული მოძრაობა სულისა მალე გაჭჭრა და ამაღიას მშვენიერი თავი ძირსა ჭჭონდა ჩაღუნული, როგორც იას ქარისგან შელახულს.

უმაწვილი ქალი და კაცი ერთმანერთის ხელს აღარ უშ-

გებდენ, მაგრამ მდუმარებაში, ამ მეტუველმა სიყვარულისამ, —  
 უფრო გაამხნევა ედუარდო.

— მასტიკო, ამალია, უთხრა მან და გაისწორა აბურძღვნი-  
 ლი თმები, — მასტიკო ასეთის გადნიერებისთვის. მაგრამ გა-  
 გიტყდები და გეტყვი, რომ მე გამპარტანებო ჩემის სიყვარუ-  
 ლით და მზადა ვარ ეს სიყვარული ვაღვიარო წინაშე ღვთისა.  
 მე მიყვარხარ და იმედი გიანა მაქვს — აი ჩემი გასამართლე-  
 ბელი საბუთი, თუ რითიმე დამნაშავე ვარ ბექენს წინაშე.

მშვიდი, ეშხის ცრემლებით სავსე ამალიას თვალები გა-  
 ბწყინდენ და დაცქერდენ ედუარდოს შეყვარებულს თვალებს.  
 ამ დაცქირებაში ეველაფერი შეატყობინა ედუარდოს.

— გმადლობთ, ამალია! წარმოსთქვა ედუარდომ აღტაცებით  
 და დაინიჭა ამ მშვენებების ღვთაების წინაშე, — ერთი სიტყვა  
 გეხვეწები, მხოლოდ ერთი სიტყვა მითხარ, რომელიც შემიქ-  
 ღოს საუკუნოდ დავიძარხო გულში.

— რა, აღქით, აღქით, გთხოვთ! უთხრა ამალიამ ედუარ-  
 დოს და ანიშნა დივანზედ დაჯდომა.

— მხოლოდ ერთი სიტყვა, ამალია!

— რას შესახებ, ბატონო? უთხრა ვარდის ფრად გადაწყდებულმა  
 ამალიამ თითქოს შეშინებულმა, რომ ასე ღრმად შეს-  
 ტობა სიყვარულის მოჩვენებაში.

— ერთი სიტყვა იმის შესახებ, რასაც ჩემი გული გრძნობს,  
 განაგრძო ედუარდომ და კვლავ მოსჭიდა ხელში ხელი.

— კმარა, ბატონო, კმარა! უთხრა ახალგაზდა ქვრივმა,  
 რომელიც გამოსტაცა ხელიდან ხელი და მიიფარა პირზედ.  
 იმის გული იტანჯებოდა იმ ტანჯვით, რომლითაც იტანჯება  
 შეყვარებულის ქალის გული, როდესაც უნდა ეველაფერი გა-  
 მოსთქვას, მაგრამ ბაკენი ვი მდუმარებენ.

— ანა, განაგრძო ედუარდომ, — იმის ნება მანც მიბოძეთ, პირველად და იქნება უკანასკნელადაც წარმოვსთქვა წინაშე ფერსთა შენთა ფიცი, რომ მთელს ჩემს სიცოცხლეს ვუძღვნი ერთადერთის ქალის სიყვარულს, რომელმაც პირველად აღმიგზნო იმედი ქვეყნიურის ბედნიერებისა. მიუვარსართ, მიუვარსართ, ამალია, როგორც შეიძლება შეუყვარდეს კაცს, აღზრდილს ბუნოს-აირესის ცხოველის ბუნების კალთაში...

ამალიამ დაადო ედუარდოს მხარსედ ხელი; იგი შესცქეროდა მას დაქანცულის, ტრფიალებით სავსე თვალებით; იმის წითელ ტუჩებსედ გამოჰქრთა ღიმილი. მშვიდად და თვალის მოუშორებლად შესცქეროდა უმაწვილს ქალს თვალებში; ამალიამ დაანახვა მას ზოლსედ მდებარე თეთრი ვარდი.

— აჰ! შეჭყვირა ედუარდომ, საჩქაროდ აიღო ვარდი და მიიტანა ტუჩებთან, — ამალია, მე არ მინდა, რომ ყვავილი ჩემს ფერსთ წინაშე ეგდოს. ანა, ამას იქით მე თვითონ ვიქნები იმის წინაშე მუსლ-მოდრეკილი და ისე შევინახავ მას საუკუნოდ ჩემს გულში, როგორც შევინახამ ამ ვარდს.

— ვგონებ, ჩვენს ბედნიერებას წინ ვერავინ აღუდგება.

— წინ აღუდგება სისულელე, რომელიც შეუძლიანთ ჩაიღონონ ზოგიერთა პირთ ზოგიერთა შემთხვევის დროს, სთქვა დანიელ ბელომ, რომელმაც ჩუმად შემოიპარა.

— გთხოვთ, ქეიფს ნუ წაიხდენთ, განაგრძო მან, როდესაც შეამჩნია, რომ ედუარდო შორდებოდა ამალიას, რომელთანაც ახლოს იჯდა დივანსედ, — მაგრამ რადგანაც ალაგი დამიცალეთ, ნება მიბოძეთ თქვენს შორის დავჯდე.

დანიელ ჩაჯდა ორივეს შორის, დაუჭირა ხელები და უთხრა:

— დავიწუბო იქილამ, რომ მე ვაკვიგონე ედუარდოს უკანას-

გნელი სიტყვები, — და დიდი ხანია ვიცოდრი, რომ უსათუოდ ასე მოხდებოდა. გთხოვთ მომიტყუოთ, ეს ჩემი კადნიერება, დაუძტა მან და სიცილით დაუქრა თავი ამაღიას, რომელიც უაუხრსავით გაწითლებულიყო, და ედუარდოს კი წარბები შეეჭმუნხნა.

— ჭმ... რადგანაც თქვენ მე ვასუსის დიქსად არა მხდით, მას ნება მიბოძეთ განკარგოთ ლაპარაკი. როგორც გნებავთ, ბატონო! დიუპასკეს ეკიპაჟმა შემოიაროს თქვენთან, თუ თქვენის ეკიპაჟით წახვალთ დიუპასკესთან.

— მე თვითონ წავალ, მიუგო ამაღიამ უნებურის დიმილით.

— დიდება ღმერთს, ახლა კი გამოიდარებს. ოჰ, ბატონო ედუარდო, თქვენცა? მე კი ძლიერ შექეშინდა, რომ გაჟავრდით, რადგანაც თქვენის საუბრის მცირედ ნაწილს ყური მოუკარი. თქვენ გსურდათ მარტოდ-მარტო ყოფილიყავით ამ სახლში, სადაც მინდა დიდ ხანს დაუჩუ სტუმრად ჩემის ფლორენსიით. ხომ უარს არ მეტყუით ამახედ, ამაღია.

— დიდად სასიამოვნოც იქნება.

— მას კარგი. ესაა დავნიშნოთ დრო და ვეცადოთ, რომ იმ დროს არ გადავაცილოთ. ათ საათზედ, — ჭა, რას იტყვი, ამაღია?

— არ შეიძლება ცოტა გვიან?

— თერთმეტზედ?

— კიდევ უფრო გვიან, უთხრა ამაღიამ.

— მას მეთორმეტზედ?

— კარგი იქნება.

— ძალიან კარგი. მას ღამის თორმეტ საათზედ წახვალ.

ფლანკისისათვის, ერთად ხალში წასასვლელად, რადგანაც მხლელად ამ პირობით თანხმდება ბატონი დიუპასსკე გამოუშვას თავისი ქალი.

— კარგი.

— თან ვინ გამოგვკვება?

— მე, სწრაფად მიუგო ედუარდომ.

— ჩემად, ჩემად, კახაყერო. თქვენ დღეს ღამის თორმეტ საათზედ ვერავის ვერ გააწილებთ.

— მას ამას მარტო რეგორ წავა?

— შენ რეგორ გააწილებ მეზე ღამის თორმეტ საათზედ, ოც-და-ოთხს მაისს? მიუგო დანიელმა ედუარდოს.

ედუარდომ ჩაღუნა თავი, ამას ვი მაშინვე მისვლა, რომ ამ სიტყვებში ოც-და-ოთხს მაისს რაღაც საიდუმლოება იმალება და სისწრაფით ჰკითხა დანიელს.

— არ შეიძლება გავიგოთ, ბატონი ედუარდო ოც-და-ოთხს მაისს რატომ ვერ გააწილებს?

— შენი კითხვა საფუძვლიანი კითხვაა, მაგრამ არის იმისთანა საიდუმლოება, რომელსაც ჩვენ, კაცები, ცქრიალა ქალებს ვერ ვანდობთ.

— პოლიტიკა ხომ არ გამოერია კიდევ?

— იქნება.

— მე არა მჯეკს ნება ძალა დავატანო ედუარდოს, რომ გააწილოს, მაგრამ ვგონებ იმის ნება ვი მჯეკს, რომ ფრთხილად უფიქროს გიჩიოთ.

— თუ ედუარდოს მოუვიდეს რამე, ვასუხს მე გავცემ.

— თუ ორივეს? მიატანა ამასამ.

— კარგი, ჩემთვისაც და ედუარდოსთვისაც ვასუხს მე გავცემ. ჩვენ იმასე დავდგეთ, რომ მეთორმეტე საათზედ ფლან-

რენსიას თან წახვალ. კუჩრის მაგივრად შედრო იქნება, კდუ-  
ანდოს ბიჭი კიდევ ლაქიად გუყოლება. როგორც კი მისვიდე  
ფლორენსიასთან შენი ეკიზაყი შინვე გამოისტუმრე და უთხარ,  
რომ ღამის ოთხს საათზედ მოვიდეს. ბაღში კი ფლორენ-  
სია და შენ ერთად წახვალთ იმის ეკიზაყით.

— ოჰ, ღმერთო, ოთხი საათი ბაღში, განა ერთი საათი  
კი არა კმარა.

— ცოტა იქნება.

— მე კი მგონია, რომ საკმარა.

— არ იქნება საკმარა, თუ გინდა რომ შენს სახლში მშვი-  
დობიანობა იყოს და ედუარდოსაც არა ეგონს-რა. ათასჯერ  
მითქვამს შენთვის, რომ ამაღამდელი ბაღი იმართება მანუე-  
ლიტასათვის. ის გიწვევს შენ ავგუსტინას მონდომილებით ღ  
იქ წაუსკლელობა საშიშარს მდგომარეობაში ჩაკვაყენებს. ავ-  
გუსტინას ძლიერა სურს. შენი გაცნობა და ამისთვის ეს ბაღი  
მოიგონა. რომ წახვიდე ბაღში და ყველასზედ ადრე გამოხვი-  
დე, მაგითი ხომ მთელის საზოგადოების ყურადღებას მიიქ-  
ცემ.

— მე რა მენადვლება, რაც უნდათ ის იფიქრონ! სთქვას  
შეკასხედ ამაღამ.

— საკვირველია, რომ იმათი აზრი შენზედ პატივის-ცემის  
ღირსი არ არის, მაგრამ არც მე მომწონს შენი სურვილი,  
რომ ამაღია ძალა-უნებურად მიგუყავს ბაღში, უთხრა ედუარ-  
დომ დანიელს.

— შაბაშ, შაბაშ, გშირებო! დაიყვირა დანიელმა და დაუკრა  
თავი ჯერ ამაღიას ღ მერე ედუარდოს, — თქვენ ზეგარდმო შთა-  
გონებული სართ და მეც ვრწმუნდები, რომ ამაღია არ უნდა  
წავიდე ბაღში. კარგი, დეე აგრე იყოს, მაგრამ ამაღამ უნ-

და დასწვას კი თავის სახლის მშენებელი მოწოდებდა, რომ მათის ცქერით უსამოკნოდ არ შეიქმნენ ჯაშუშები, რომელნიც აქ წამდენიმე დღის შემდეგ ვიზიტად მოვლენ.

— როგორ, ის უხალბეები ჩემს სახლში მოვლენ! შეჭვივლას ამაღიამ და გადიტრიალა თვალები .. მაგრამ რა, ჩემი მოსამსახურე იმათაც ისე მოექცევა, როგორც ძაღლებს, — სუეველას ქუჩაში გარეკავს.

— ძალიან კარგი იქნება! უთხრა დანიელმა, რომელიც უკან დივანზედ გადასვენა და ჭერებში იტყვიებოდა, მერე დამძვირებით ჭკითხა ედუარდოს:

— ჭა, როგორა სარ ედუარდო, ჭრილობები მოგიჩნა?

ამ სიტუაციაზედ ამაღიას უწყობლად დაუჩრა ტანში. ედუარდომ კი ჰსუსხი არ მიუგო. მსა და ამაღიას მიხვდნენ, რომ დანიელს საზარელს წარსულს აგონებდა მათ, რომ მომავალს უბედურობას ასცილებოდენ.

— მე წავალ ბაღში, დანიელ, უთხრა ამაღიამ და თვალებში და დამციკებულ ამხარტანობის ცრემლები მოერია.

— უველა ეს ჩემის გულსათვის, — საშინელება! სთქვა ადელკებულმა ედუარდომ, რომელიც წამოდგა და დაიწყო ოთახში სიარული. ის გაჯავრებული აღარც კი გრძნობდა იქნში ტვივილს.

— ჩემო მეგობარო, უთხრა დანიელმა, ადგა ზესე და დასვა ედუარდო დივანზედ, — თქვენ ისე უნდა მოგებურათ კაცი, როგორც ბავშვებს. მას ჩისთვის ვცდილობ ასე, თუ არ თქვენის მუუდრო ცხოვრებისათვის? დიუზასკეს მეუღლეც დავიყოლიე, რომ ამაღამ ფლორენსიასთან ერთად წამოვიდეს ბაღში. ეს ჩისთვის, ამაღიას? შენ როგორღა ფიქრობ ედუარდო, ჩის-

თვის? ამისთვის, რომ განსაცდელს გადაგაჩინოთ. უკელას სრუ-  
კდილი დასტრიალებს თავზედ: უკელასთვის ბასრი ხანჯალის  
გამზადებული. ბაღში წამოსვლით მე თქვენც და ჩემს თავსაც  
მოკუშოვებო მუედრო ცხოვრებას. თავისუფლების სიუკარულის-  
თვის მე უნდა პატივი ვცე იმათ და როდესაც უაძი მოახლოვ-  
დება მოკიდდი პირ-ბადეს და... მგონია ჩვენ ერთმანეთში  
დავთანხმდით, არა? ჭკითსა დანიელმა თავის მეგობრებს.

— კარგი, მე თანხმა ვარ; მეთორმეტე საათზედ ფლორენ-  
სიასთან ვიქნები და კეცდები რომ შენს ახალს მეგობრებს  
ვამო, რადგან ძლიერ გინდა.

— რას ლაპარაკობ! დიუპასკეს მეუღლე ძლიერ კეთილის  
გულის ქალია, ფლორენსიას ხომ მოსწონხარ და მოსწონხარ  
მას აქეთ, რაც გაიგო, რომ შენ იმის მეტოქე არა ხარ...

— აგგუსტინა? იმას რაღათ უნდა ჩემი მეგობრობა, — ისიც  
ხომ არ იჭვნეულობს?

— დიაღ, იჭვნეულობს.

— შენზედ იჭვნეულობს?

— საუბედუროდ არა.

— მას ვიზედ?

— შენზედ.

— ნუ ხუმრობ.

— სულაც არა ვხუმრობ. იმას გაუგია შენი მშვენიერება და  
შენის სახლის მდიდრად მორთულება და რა გასაკვირველია,  
რომ ამ მშვენიერების და მადების ღმერთამ მოისურვა შენი გაც-  
ნობა, როგორც მეტოქე ქალისა.

— კარგი, მაგრამ ედუარდომ რაღა ქნას?

— ის ეხლავე ჩემთან წამოვა.

— ეხლა?

— დიად, შენ ავი დღეს დამითმე ედუარდო.

— საშიში არ იქნება იმისთვის დღე სახლიდამ გასვლა? შენ ავი მითხარ, რომ ღამე წავიყვანო.

— მართლაც ამბობ, მაგრამ სვალ დილამდის მე აქ მოსვლას აღარ შემიძლიან.

— მაგას რას ამბობ?

— იმას რომ ედუარდო ეხლა თან უნდა წამომეყვას.

— დღეს?

— დღეს, ესლაკე.

— ხომ დანინახვენ.

— ვერა, ვერ დანინახვენ, ჩემი კვიზაუი შიგ კარებში სდგას.

— მე არ გამოვიტა შენი კვიზაუით მოსვლას, უთხრა ამალამი.

— მე ეგ ვიტყვი.

— გუფთმისანი არა სარ, რა იტყვი?

— არა, ბატონებო, მაგრამ ყველაფერს სახესუდ ვატყობ, და როდესაც მე აქ შემოვუვდი...

— გთხოვთ, ბატონო, დანიელს უთხრათ, რომ სასუფეჯის თქმა აღარ გაბედოს, უთხრა ედუარდომ ამალამს.

— ჩვენს ედუარდოს გგონებ უნდოდა ის მეთქვას, რასაც ჩემს შემოსვლამდის გელაზარაკებოდა, ამალამი, და იმისთვის იმ ლაზარაკს ეძახის სისუფეჯეს, რაც არ დამესრულებინა.

— შენ დღეს გესჯიანად ლაზარაკობ! უთხრა ამალამი დანიელს და გამოაგლიჯა თავიდან რჩი თუ საში ბეწვი, რისთვისაც დანიელმა თავის უნებურად შეჭყვირა.

— რა ამბავია? ჭკითხა ამალამი, ვითომ და აქ არაფერი...

— არაფერი, ჩემო მშვენიერო. მე იმაზედ ვიფიქრობდი, რომ ამალამ შენ და თულორენსიანზედ მშვენიერი არავინ იქნება.

— დიდებს ღმერთს, რომ ერთი ჭკვიანი სიტყვა სთქვი, უთხრა ედუარდომ.

— კმაჩა, კმაჩა, მეგობარო, დრო არის აიღო შლიაშა და წაგიდეთ.

— ესლავე?

— დიაღ, ესლავე.

— ჯერ სამ ადრეა.

— შინიქით, დაგვიგვიანდა კიდევ. შენ ეს სახლი როგორღაც არ გეთმობა, თუმიცა ეს რაღაც დღეა აქა ხარ!...

— რა, დანიელ, როცა ფლორენსიას ვნახამ, ისეთს წამეებს ვეტიუვი შენზედ რომ...

— რომ მაშინვე გამომავდოს, როცა მივიდე, არა?

— სწორედ.

— ეგ კარგი არ იქნება.

— რა შენადგულებს მე კი ვეტიუვი და...

— რასა?

— თუ რამდენი უსამოვნება მოკლის საზოგადოებაში შენისთანა ქმრის წყალობით.

— რა! კბილი კბილსა ზედა... ედუარდო ფეხი წაჭკარამალას!

— რას იზამ... საშინელი კაცია.

— თუ მე საშინელი ვარ, ამაღია სამ არ არის საშინელი, უთხრა დანიელმა ღიმილით და წავიდა ფანჯრებისკენ.

როცა დანიელ მოხრუნდა, ედუარდო კარებისკენ წავიდა, ამაღია კი დაატყუარდა თეთრს ვარდს.

— ამაღია, უთხრა დანიელმა, როცა ამაღიასთან მარტო დარჩა, — ისე არავინ გაუფოთნილდებს ედუარდოს, როგორც მე. თქვენ ყველას გიფოთნილდებით, თავს კი ღმერთს უბარებ. შენი

ბედნიერება ჩემი ბედნიერება იქნება. მე მომანდო ყველაფერი-  
თანასმა ხარ?

— თანახმა ვარ, უთხრა ამალიამ ძველვარებით.

— ედუარდოს შენ უყვარხარ და ეს მე მახარებს.

— ვითომ?

— განა ეჭვი გაქვს?

— ჩემის ბედისაგან აღარა მჯერა-რა.

— მაშ შენს ბედში ბედნიერებას არა ვპოულობ?

— თითქოს ვპოულობ და თითქოს არც ვპოულობ.

— არ მესმის, რას აშობ.

— მე იმას ვაშობ, რასაც გულითა ვგრძნობ.

— მაშასადამე, შენ ის გიყვარს გიდეც და არც გიყვარს?

— არა, მე ის მიყვარს, ძლიერ მიყვარს, დანიელ.

— რატ გინდობდა გიდეც დაგემტყაბებინა.

— მე ბედნიერი ვარ, იმ სიყვარულით, რომელიც მაქვს  
მისდაში აღგზნებული, მაგრამ ვეჭვობ რომ იმან შემიყვაროს.

— ცრუ-მორწმუნე!

— იქნება. მაგრამ რა ვქნა, რომ უბედურებამ ასეთი გამ-  
ხადა?!..

— უბედურებას, ჩემო მეგობარო, ბედნიერება მოსდევს.

— ვარგი, წადი, ედუარდო გიცდის.

— მაშ ნახვამდის! უთხრა დანიელმა და აკოცა ამალიას  
თავზედ.

ერთის წამის შემდეგ დანიელ და ედუარდო ჩასხდენ კი-  
ხაში და წავიდნენ.

## თავი მეხუთე.

ოც-და-მეოთხე რიცხვი.

მზე უკვე მთის იქით იმალებოდა და ნთქავდა საუკუნობის უფსკრულში 24 მაისის 1840 წლის დღეს.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედული. ესპანიის მეფის უწინდელ ელჩების სასახლე გაჩირადნებული იყო. ეს სასახლე როზასმა კანაქმებად და სავინობობად გადააქცია მაგრამ ამ დღეს კიდევ მოაწყეს, მოჭფინეს ხალიხებითა და ნაჭირაკები მებელი დააწყეს, რადგანაც გვარდია ამ დღეს ბაღსა მართავდა გუბერნატორისა და იმის ქალისათვის. მისი დიდებულება კი ვერ დაესწრო ბაღზე, რადგანაც მიპატიუებული იყო ჭანჩი მანდვილთან, რომელიც დღესასწაულობდა თავის დედოფლის დღეობას. თავის ქალს მიანდო დასწრებოდა ამ ბაღს ორივეს მაგივრად.

გამარჯვების ქუჩაზედ ეკიპაჟების დიდი მოძრაობა იყო. გუჩრები თავს უჭერდნენ ცხენებს და ლაქიებიც ეჩხუბებოდნენ ბუენოს-აირესის ქუჩის ბიჭებს, რომელნიც უკანდამ სხდებოდნენ ეკიპაჟებზედ.

უეცრად ერთი ეკიპაჟი კანდიტრის მადრიას დაეჯახა. საშინელი აჩუღ-დაჩუღობა და ყაყანი გაჩნდა. ყველანი ყვიროდნენ, რომ გუჩრმა რამდენიმე კაცი გაიტანაო.

ქუჩის ყარაულები მიცვივდნენ. ეკიპაჟს გარეშე ხალხი შემოერთყა. დაუწყეს ძებნა გატანილს კაცებს, მაგრამ ვერავინ იპოვეს. ქალები მაინც კივოდნენ, ბიჭები ყვიროდნენ, ყარაულები მუშტით სცემდნენ ხალხს, მაგრამ ეკიპაჟს მაინც გზას არ აძლევდნენ, რომ გაეარა.

— გარეკე ცხენები! მკათ რას უყურებ? თუ გინდ ყველანი გაიტანიე, რღონდ კი წადი, დაუყვირა ერთმა ეკიზაყში მჯდომმა.

— უარულო! უთხრა მეორემ, რომელმაც ეკიზაყის ფანჯრიდან გადმოყო თავი, — უარულო, გგონებ არაინ გაუტანია ცხენებს. აი ეს ფულები იმათ დაურიგე, ვინც დაჭკარვა რამ ამ არეულობაში და განკარგულება მოასდინე, რომ ჩამოგვეცალნენ. ჩვენი დაგვიანება არ შეიძლება.

— მუ წინადავე ვიცოდი, რომ ტყუილ-უბრალოდ უვიროდენ! უთხრა ვიქტორიკას უარულმა და ჩაიღო ბანკის ბილეთები უბეში, რომელნიც ეკიზაყში მჯდომმა მისცა, — ჩამოეცალეთ გზიდან, დაივირა იმან, უნდა პატროსანმა ფედერალებმა გაიარონ, რომელნიც იქნება ჩვენის აღმადგენებლის საქმისთვის მიუშურებიან.

იესო ნავინის საკრავებს ისე ძალე არ დაურღვევიათ თავანთ სმით იერიქონის კედლები, როგორც პოლიციელის ერთმა სიტყვამ გაჭოფანტა ხალხი. ეკიზაყმა გაიარა.

— ჯერ ფედერაციის ქუჩაზედ გაიარე, შემდეგ დეპუტატების ქუჩისკენ გაბრუნდი! უთხრა პირველმა მოლაპარაკემ.

რამდენიმე წამის შემდეგ ეკიზაყმა გაიარა დონ-ფიჯიზე არანას სახლის წინ და ათის წამის სიარულის შემდეგ გაჩერდა იქ, სადაც უნივერსიტეტის და კახაბაშის ქუჩა ერთად იყრება.

ეკიზაყიდან ოთხი კაცი გამოვიდა და ერთმა იმათგანმა უთხრა კუჩერს მოსულიყო ამ აფაგას ღამის თერთმეტ საათზედ.

ოთხივე ამხანაგები გაესვივნენ მანტიებში და წავიდნენ წელისკენ კახაბაშის ქუჩაზედ, რომელიც ამ დროს სრულიად მიუჩრუებული იყო.

ჩვენი მოგზაურები წვეილ-წვეილად მიდიოდნენ და როდესაც დაუპირდაპირდენ ერთს განმარტოვებულს სახლს, შესვლენ სამს კაცს, აგრეთვე მანტიებში გახვეულებს.

ყველანი შესდგნენ და გაჩუმიდნენ, უნდოდათ ერთმანერთი ეცნოთ.

— ამ მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეთ, სთქვა ერთმა კვიპ-უით მოსულმა, — მაინცა-და-მაინც ჩვენ ოთხნი ვართ და ისინი კი სამნი. მეცე წარდგა წინ და დაუძახა სამივეს:

— შეიძლება გავიგოთ, ბატონებო, ჩვენი გულისათვის ხომ არ შეადეკათ გზას? ამ კითხვასუდ მასუსი არავინ მოსცა, მხოლოდ სამივემ გაიციინეს.

— აი დაგწვევლოთ ღმერთა, იქნება გეგონათ, რომ შეგიშინდებოდით?! უთხრა დანიელმა მოლაშარაკეს, რომელთანაც სსკანიც მივიდნენ რადგან ყველამ ერთმანერთი იცნეს. ყველანი ერთს საზოგადოებას ეგუთვნოდნენ და ერთადაც გაემგზავრნენ წელისკენ.

რამდენიმე წამის შემდეგ ისინი მივიდნენ კარებთან, რომელიც ვგონებ კიდევ ესრომება მკითხველს, თუმცა ისე კარგად კი არა, როგორც დანიელის მასწავლებელს დონ-კანდინოს.

კარები არავინ დააკაკუნა; მხოლოდ ერთმა მიაღო ტუჩები ჟუჟუტანას და ჩუმიად სთქვა: ოც-და-მეოთხე.

კარები მასშინვე გაიღო, ყველანი შევიდნენ და კარები ისევ ჩაიკეტა.

რამდენიმე წამის შემდეგ იმავე კართან წამოიხატა იგივე სიტყვა და კიდევ ორი კაცი შევიდა. ამის შემდეგ რამდენიმე კაცი კიდევ მოვიდა და სსკებსავით ისინიც შინ შევიდნენ.

თავი მეექვსე.

ბალი.

ღამის ცხრა საათიდან დაიწყო სტუმრებმა მოგროვება მხრთებლობის სასახლეში, სადაც ბალი იყო გამართული მისი აღმატებულების გუბერნატორის და იმის ქალისათვის; თერთმეტ სათუდელ ზალები სავსე იყო ხალხითა და პირველი კადრილიც ის-ის იყო თავდებოდა.

დიდი სატანციო ზალა გაჩაღებული იყო სანთლებით, რომელთა შუქსედა ბრწყინავდა ჯარის-კაცების მუნდირები და ქალების ძვირ-ფასი სამკაულები.

ამ მომხანდა გუბერნატორის ქალი, რომელსაც აღტაცებით მიეგებნენ ფედერაციის მომხრე ქალი თუ კაცი. ზოგნი მანუელას შემოსვლის უმაღლე სხვა ოთახებში შევიდნენ და ზოგსაც ფეხი არ მოუცვლია თავის ადგილიდან.

მანუელას ვარდის-ფერი ატლასის გაბა ეცვა, შემოდამ ესხა თეთრი მანტილია, თავიც და გულიც ბანტებით ჭქონდა მართული. ამ ტანისამოსით იგი არა ბრწყინავდა სიმშენიერებით, მაგრამ მიმზიდველი და სანდომიანი სასისა კი იყო.

მანუელას შემდეგ მოვიდა ბალში დონა აკუსტინა რომაის-დე-მანსილია. დონა აკუსტინა რომაის-დე-მანსილია თავის დროზედ მშენიერი ქალი იყო. ეს იყო უმცროსი და რომაისისა და მეუღლე გენერალ დონ ლიუციო მანსილიისა. პირველს ხანებში ამ ქალს არაკითარი გაკლენა არა ჭქონდა სახელმწიფო საქმეებზედ.

სავსე სიტუაციით და მშენიერებით, აკუსტინა იყო

ნამდვილი ყვაილი, რომელიც იზიდავდა აწამც თუ კაცებს, აწამედ ქალებსაც; თუმცა ქალები შუერთ უყურებდნ აგუსტინას მშვენირებას და ცდილობდნ ეზოგნათ რაიმე ნაკლუ-  
ლეკანება, მაგრამ ვერაფერს ჭზოვებდნ, გარდა მეტის-მეტად  
ხსუტებულის ხელებისა და ცოტა მოუხდენელის ტანისა.

აგუსტინას ეცვა თეთრი ატლასის ვაბა იმავე ფერის ბან-  
ტებით. თავიც მშვენირადა ჭჭონდა მოჩთული ძვირ-ფასის  
სამკაულებით და ფედერაციის ნიშნებით.

ეს მშვენირი ქალი დასეირობდა ზალაში თავის ქმარ-  
თან გქნაჯ მანსილისთან, რომელსაც თითქოს აგონდებო-  
და თავის უმაწვილობა, როდესაც ეკუთვნოდა განათლებულ უნი-  
ტარების საზოგადოებას. ყველანი მშვენირს აგუსტინას უყუ-  
რებდნ. უეცრად ყველამ კარებისკენ მიისედა და თითონ ა-  
გუსტინამაც იქითკენ მიასერა თავის მშვენირი თვალები: რჩი  
უმაწვილი ქალი შემოვიდა ზალაში. ამალია სენცა დე-ოლახა-  
რეტა და ფლორენსია დიუზასკე.

აგუსტინას მშვენირება დაეცა ხალხის თვალში, ყველას  
გული და გონება ამალიასკენ ჭჭონდა მიქცეული.

ერთმა დანიელის მეგობარმა უმაწვილმა კაცმა ფლორენ-  
სიას მაშინვე სთხოვა თავისთან კადრილის ტანცაობა. მაგრამ  
ამალიას კი, რომლის მშვენირებითაც ყველა გაკვირებული იყო,  
აწავინა სთხოვა ტანცაობა. ეს სშირად ასე მოხდება სოლმე;  
მშვენირი ქალი პირველად აშინებს უმაწვილ-კაცებს, რადგანაც  
ყველას ჭგონია, რომ იმას ბევრი სთხოვდენ სატანცაოდ და-  
გშინიანთ უარის თქმისა.

უმაწვილი კაცები მოსტყუვდენ და ამალია იჯდა მარტო-  
კა ერთის ხნიერის ქალის გვერდით.

— თქვენ გვიან მოხმანდით, ბატონო, უთხრა ხნიერმა ქალ-  
მა ამალის და ზდილობიანად თავი დაუქრა.

— მართალსა ბძანებთ, მაგრამ ამასეად ადრე მოსვლა აღარ  
შემეძლო, მიუგო ამალამ, რომელმაც სასუსეად შეატყო, რომ  
გაზდილს ქალს ელაპარაკებოდა.

— მე პირველად მაქვს პატივი თქვენის ნახვისა. თქვენ მონ-  
ტევიდუოდამ იქნებით.

— არა, ბატონო, დიდი ხანი არ არის, რაც ბუენოს-აი-  
რესში დაუსასლდი.

— მას აქაური არა ბძანებულხართ?

— არა, ტუგუმანიდამ გასლავართ.

— წინადვე მივსვდი, რომ თქვენ ჩვენებური არ იქნებოდით.

— მე კი მგონია, რომ თქვენებური გასლავართ.

— დიად, როგორც არგენტინელი, მაგრამ მე საკუთრად  
ბუენოს-აირესედ მოგახსენებთ.

— მართალსა ბძანებთ, მე გარეშე მსრიდამა ვარ, უთხრა ამ-  
ალამ მიმზიდველის ღიმილით, რომელმაც მასთან მოსაუბ-  
რეც დაარწმუნა, რომ ისიც განათლებულს ქალს ელაპარაკე-  
ბოდა.

— მე კარგად ვიცნობ ფლორენსიას დედას, უთხრა მო-  
ხუცმა ქალმა, — ნათესავი ხომ არა ბძანდებით ამ ქალისა?

— არა, მსოლოდ მეგობარი გასლავართ. მე მქვიან ამალის  
სენცა დე ოლახრიეტა, უთხრა ამალამ, რაკი შენიშნა, რომ  
იმის მოსაუბრეს ბევრი ლაპარაკი და გამოკითხვა უყვარდა.

— ჭოო, მას თქვენს ბძანდებით დე-ოლახრიეტას ქვრივი!  
ცოტა არ არის გიცნობთ. თქვენი სასული ხშირად გამიგონია,  
და რასაკვირველია, რაც გამიგია, ყველაფერი მართალი უო-  
ფილბ.

— მე მგონია ბუენოს-აირესში ბევრი სალამაჩაკო საგანია და რა საჭირო იყო ერთს საცოდავ ქვრივზედ ლამაჩაკი.

— დიად, ქვრივზედ, რომელსაც სიტუჩფეში ტოლი არა ჭყავს, ქვრივზედ, რომელიც განმარტოებული სცხოვრობს. რა ბატონო, რომ იცოდეთ როგორ წასდა ჩვენი ბუენოს-აირესი, რა ნაკლულებანებაა რიგიანის საზოგადოებისა, მაშინ აღარ ინანებდით თქვენს განმარტოებულს ცხოვრებას.

— მე კი მგონია, რომ თქვენი აზრი ამ საზოგადოებაზედ გადაჭარბებულია.

— მე კი ისე ვარ აქა, თითქოს სტამბოლის ოსმალებში ვცხოვრობდე.

— ეგ უფრო გარკი.

— არა, ბატონო, გარკი არა არის-რა. არაფერი სასიამოვნოა ამ ჩინოუნიკების ცქერა...

— სომ არ იცით, ეს კაცი ვინ არის, ფედერალური დიდი ნიშანი რომ აქვს? ჭკითსა ამაღიამ.

— თქვენ როგორც გეტყობათ «გაზეთს» არა კითხულობთ.

— რა გაზეთს?

— «სავაჭრო გაზეთს».

— არა, არა კკითხულობ, და თუგინდ კიდეც კკითხულობდე...

— რომ კითხულობდეთ, მაშინვე მისკდებოდით, რომ ის კაცი იმ გაზეთის რედაქტორი, ნიკოლოზ მარინოა. ეს ის არის, რომელიც მთლად უნიტარების ამოწვევას ქადაგობს. წინაღ ეგ დიდი მეგობარი იყო რევოლუციონერებისა. მერე, როცა სამსახურში შევიდა, ფედერალებს დაუმიგობრდა; ეხლა «გაზეთის» რედაქტორია და ეშმაკის მეგობარია. მაგის გაზეთის მიმართულება დღეში ათჯერ მარტისავით იცვლება. ხან

ტირის და სან იტინის, როგორც გარემოება და ხელის-მომწერლების სურვილი ითხოვს.

— მესმის, ბატონო, უთხრა სიტყვით ამალიამ, გარეთულმა უცნობის ქალის ლაპარაკით.

— იცით მე თქვენ რას გეტყვით? განაგრძო უცნობმა ქალმა.

— რასა?

— მე ვხედავ, რომ ნიკოლოზ მარინო, როგორც მკვლურის თვალებით გიყურებთ და ეს კარგი არ არის თქვენისთანა უმაწვილის და მშენიერის ქალისთვის.

— გმადლობთ, ბატონო.

— და განსაკუთრებით თქვენისთანა აზრის და მიმართულების ქალისთვის. თქვენ ხომ არ შეუშვებთ ამისთანა კაცს თქვენს სასლში?

— ნაცნობები სავსაოდ მეყანან და არა მგონია, რომ კიდევ გავიცნო ვინმე, უთხრა ამალიამ.

— განსაკუთრებით ამისთანა კაცი, განაგრძო უცნობმა ქალმა. ის მაინც თქვენ თვალს არ გაშორებთ. რა ღიწმეებას! «გაზეთის» რედაქტორი და მოთავე ქალაქის დამცველთა საზოგადოებისა გიყურებთ. აი ხსენა კაცოლმა წაიყვანა და მოაკლდა თქვენის ჭკრეტის სიამოვნებას.

— მაშ ის ქალი, ყვავილიან ატლასის ვაბით რომ არის მომართული, მარინოს მეუღლეა?

— დიაღ, იმის მეუღლეა.

— იცით, ბატონო, ყველაზე დიდი იმის გაგება მინდა, ამ ქალებში რომელია მანუელიტა და რომელი აკვუსტინა?

— ესლა ორნივე სხვა ზალაში ტანცაობდენ. თქვენ აღბად გაგონილი გეტყვიათ, რომ აკვუსტინა ლამაზია?

— დიაღ, მთელი საზოგადოება მაგ აზრისაა. განა თქვენ იმას ღამისად არა სთვლით?

— რასაკვირველია ვსთვლი, მაგრამ იმას თუ დეკრალურ ღამისს ვეძახი.

— მაგით რა გინდათ ბბანოთ?

— ისა, რომ ის გლეხური ღამისია, — ე. ი. სახე გაწითალებული აქვს, ხელები და მხრები უშნო.

— ეს ქალი, იფიქრა ამდღიამ, მკირ-ფასი რამ არის ბაღში, მაგრამ ამის წყენა გი საშიშია, რადგანაც შეუძლიან მთელს ქვეყანას შესუსი გასცეს.

— ცუდი საქმე მოგივიდოდათ, ბატონო, უთხრა ამდღიამ, თუ ავგუსტინა გაიგებდა, რომ იმის მშვენიერებას აგრე ამცირებთ.

— თქვენა გგონიათ იმან არ იცის? თქვენა გგონიათ ამ საზოგადოებაში გი არ იცის, რა თვალთაც ვუცქერთა ჩვენ იმას?

— ჩვენა?

— დიაღ, ჩვენა, დეე გაიგოს ავგუსტინამ, რომ თუ იმათ ბაღში მოკდივართ, მხოლოდ ჩვენისე ქმრებისა და შეილების გულსათვის.

— მანცა და მანცა პირ-დაუფარებელი მსჯელობა საშიშია.

— ეკლას ერთად-ერთი ჩვენი ნუგეში.

— დეე გაიგონ რა განსხვავებაც არის იმათ ქალებსა და ჩვენ შორის. ნეტა რას გვიზმენ. ჩვენ ასე მხოლოდ მაშინ ვლასა პარაკობთ, როდესაც ჩვენისაკე აზრის ქალებს ეკლასპარაკობით.

— უოკელთვისე ჭკითხა ამდღიამ ცბიერის დიმილით.

— როგორც ესაა, ისე უოკელთვის მიუგო უჩინობმა დაბკვითებით.

— უაწყრავად, ბატონო. ჯერ თქვენ ჩემი აზრი და მიმართულება ხომ არ იცით.

— დაგინახეთ თუ არა, მაშინვე შემატუობინეთ თქვენი აზრის და მიმართულებაც.

— მე?

— დიაღ, თქვენ, სწორედ თქვენ, ბატონო. თქვენი აზრით, ქცევა და მისვრა-მოსვრა სრულიად არ ეთანხმება ფედერაციის ქალებისას. რაც გინდათ სთქვათ, მაინც გატუობთ, რომ ჩვენ-თავანი ბძანდებით.

— გმადლობთ, ბატონო, გმადლობთ, უთხრა ამაღიამ ჩვეულებრივის ღიმილით.

ამ დროს უცნობმა ქალმა სიუკავრულით დაუკრა თავი ერთს ქალს, რომელიც იმის პირდაპირ დაჯდა.

— თქვენ არ იცით, ეს ვინ არის?

— აგი მოგახსენეთ, ბატონო, რომ მე აქ არავის ვიცნობ.

— ეგ გენერალის რეფორმის ცოლია, მაშ არ იცოდით?

— არა.

— გარკის, კეთილის გულის ქალია. მაგრამ ეხლა თავის ქმრის წყალობით ისეთ საზოგადოებაში ჩავარდა, რომ სრულიად დაჭკარვა თავის გარკი ქალობა... ეხლა ის ვისაც ვხატუობს, წერდით ატუობინებს... რასა, როგორ გგონია?

— რასაკვირველია, საათსა და დღეს.

— გარკი, მაგრამ კიდევ რას?

— კიდევ აცნობებენ, სტუმრების მიღების დროს და სხვას არაფერს.

— მაშ გამიგონეთ: აცნობებს, რომ საღამოს დაწყობამდის უკავი იქნება ნაღბითაო, — აი სისულელე!...

ამაღიამ ვერ შეიძარა სიტყვი; მაგრამ როდესაც თავი

შიიღო სიტყვის დასამადაკად, დაინახა, რომ დანიელ შემოვი-  
და ზალაში. ამ დროს ელორენსია დასეირნობდა დანიელის  
მეგობართან ერთად და რა დანიელ დაინახა, იმისკენ წავიდა.

ვიდრე ნათესავნი და ტრფიალნი ლაჰარაკს დაიწყობდენ,  
თავი დავანებოთ მკითხველო ამ ზალას და წავიდეთ იმ სახლ-  
ში, სადაც ისეთი ხალხი იყო შეკრებილი, რომელიც ბაღის  
ხალხს არა ჰგავდა. მასუენ ისეკ მალე დაგბრუნდეთ ამ გაბ-  
რწყინვალებულს ზალაში.

### თავი მეშვიდე .

დანიელ ბელო.

დანიელ ბელო მივიდა ბაღში ღამის თორმეტის საათის  
ნახევარზედ; ახლა ვნახოთ აქ მოსვლამდის სამის საათის გან-  
მავლობაში რას აკეთებდა გაჩაბამბის ქუჩაზედ მდებარე საი-  
დუმლო სახლში, რომელშიაც შევიდნენ სხვა უმაწვილი კაც-  
ბიც, მანტიაში გახვეულები.

— მკითხველსა ვსთხოვთ შემოვიდეს ამ სახლში ღამის  
ათის საათის ნახევარზედ, — ის აქ ნასვას გულად უმაწვილ-კაც-  
თა კრებას.

ამ ღამეს დონა მარსელინას ზალა საკვე იყო უმაწვილის  
კაცებით, რომელნიც ზოგნი სკამებზედ ისხდენ, ზოგნი კრა-  
ოტებზედ. უმაწვილი კაცები ჩუმად ლაჰარაკობდენ და დრო-  
გამოშვებით სან ერთი და ხან მეორე მივიდოდა ფანჯარასთან  
და ათვალიერებდა მიურეებულს გაჩაბამბის ქუჩას,

ამ დროს მოჰსმა საათის ხმა.

— ათის ნახევარია, ბატონებო, და არავის არ უნდა დავიწყებოდა დანიშნული საათი, როდესაც უნდა მოსულიყო კრებაზედ საჭირო საგნების განსახილველად. კინც არ მოვიდა, ამას იქით აღარ მოვა,

ამ სიტყვების შემდეგ მიხურეს თანჯრების დარბაზები. დღის დანიულ ბელა დაჰდა სელზედ, სტოლის ასლო; მარჯვნივ მოუჰდა ედუარდო ბელგრანო. დანარჩენი ადგილებიც სხვა ემაწვილებმა დაიჭირეს. სულ ოც-და-ერთი კაცი იყო და უკვლახედ უთეროსი ოც-და-ექვსის ან ოც-და-შვიდის წლისა იმსებოდა. ჩამოხედ და სახეზედ ეტუობოდათ, რომ იგინი ეკუთვნოდენ ქალაქის რჩეულს და განათლებულს საზოგადოებას.

— «ჩემო მეგობრებო, უთხრა დანიელმა, ამდამ აქ უნდა შევერილიყავით ოც-და-თოთხმეტე კაცი, მაგრამ ოც-და-სამის მეტმა ვერ მოვიყარეთ თავი. რაც უნდა მიხეზი იყოს, რომელმაც დაუშალა ჩვენს ამხანაგებს აქ მოსვლა; მანც «მოლაღატობას» ნურავის შევწამებთ, მათი ქტევა ნურავის შეგვაშინებს.

«ესლა რამდენსამე სიტყვას ვიტყვი ამხედ, რომ ჩვენმა ურილობამ ამ სახლში არავინ შეაშინოს. თუ ჩვენ მტარვალეების მოხელეები აქ მოგვასწრობენ, რასაკვირველია იმავე წამსვე სასჯულს გადაგვიწვევტენ; მაგრამ თუ ის დონით მოქმედობს, მე კიდევ ეშმაკობით და შორს-გამჭვრეტელობით ვიმოქმედებ. ამ სახლის უკანა კედელი წყალს გადაჭყურებს. წყლის ნაბიჩს რამდენიმე პატარა ნავი აბია, რომელნიც ჩვენთვის არიან მომზადებულნი. თუ გინებმ მოგვასწრო აქა, მაშინვე წყლისკენ გაგიქტევით. თუ ეს დაწყობილობა ვერ მოგვინდა და მტრები გარს შემოგვეტყენენ, მაშინ, მგონია, ოც-და-სამი შეიარაღებული კაცი გვმარჯვრო, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ მტრს

და გავიკვლიათ წულისკენ გზა. როდესაც ნაკებში ჩავსხდებით, ვისაც ქალაქშივე გინდათ დაჩხობა, იმათ ნაკი ჯერ შუაგულ წყალში შეიყვანეთ და თავ-ქვე დაჭუკვით, მერე ისევ უშიშარს ნაპირს გამოდით და შემოდით ქალაქში; მაგრამ ვისაც ქალაქიდან გაქცევა გინდათ იმათ აღმოსავლეთისკენ წაიყვანეთ ნაკი და გახვალთ გაღმა. ამ სახლის ქუჩის კარებს ჭყარაულობს ჩემი ერთგული თერმინი, წულისკენ გასაკვალს თანაჯარას ედუარდოს მოსამსახურე, რომელსაც ყველანი პატიოსანს კაცად იცნობთ. სახლის ბანსუდ სდგას კაცი, რომელსაც სრულად ვენდობი, თუ რაზე მოხდება ის მაშინვე ბრავა-ბრუგს აუუერებს ბანსა. ეს კაცი ჩემი ძველი მასწავლებელია, რომელმაც არ იცის ვინა ვართ აქა, მაგრამ ის კი იცის, რომ მე აქა ვარ და ესეც სრულიად საკმარისი. კმაყოფილნი ხართ?

— გრძელი დასაწყისი იყო, მაგრამ გათავდა, და ამის შემდეგ ისე დამშვიდებულნი უნდა ვიყოთ, თითქოს პარკიში ვისხდეთ, სთქვას ემაწვილმა კაცმა, რომელიც დანიელის ღამის რაკის დროს თმებისგან დაწნულს ძეწვეს ეთამაშებოდა.

— არა, ჩემო მეგობარო, მე ვიცი, როგორი განკარგულებაც უნდა მოვახდინო და ისიც ვიცი, რომ არც ერთი თქვენგანი დაწმუნებული არ არის ჩემს პასუხის-მგებლობას, თუ თქვენ მოგიხდათ რაზე. ესლა დაკუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

«აი, ბატონებო, პირველი დოკუმენტი, რომელზედაც უნდა მოკლავარკოთ, განაგრძო დანიელმა დამოიღო პორტოქელიდან ერთი ქალაღი, — ეს სია არის იმ პირთა, რომელნიც განუდგენ ჩვენს საქმეს აშტლის თვიდამ მაისის ნახევრამდის. გადაკვიდვა ას სამოცი კაცი, რომელნიც აღვსილნი იყვნენ მამულისა და თავისუფლების სიყვარულით. მამსადაძე ჩვენს საზოგადოებას ბუენოს-აირესში მოაკლდა ას სამოცი კა-

ცი. ისიც გაუიგე, რომ ოთხის მისის შემდეგ, ამ კაცებს, რომელთაც ემიგრანტები გაჭყავთ წყაღზედ, სამას კაცზე მეტს კიდევ უზირობენ გაყვანას.

«მასასადაძე, ივნისში ბუენოს-აირესს ოთხასი ანუ ხუთასი პატრიოტი დააკლდება, ამ რიგად 1838 წელსდამ ჩვენს დასს დააკლდა ორი მესამედი მანც.

«ესლხ, თუ გნებავთ, იმასაც მოგახსენებთ, თუ რამდგომარეობაშია რეკოლიუციონერების ჯარი სხვა-და-სხვა მარტებში, რომ უფრო ცხადად დაინახოთ სამშობლოდამ გასვლის უსარგებლობა.

«დონ ვრისტაბალესთან ბრძოლის მოგების და გამარჯვების წაგების შემდეგ თავისუფლების დამცველნი დადგნენ დიდის მდინარის ახლოს და ჭყარულობენ ეჩგუეს ჯარს, და თუ ვინიცობა ბრძოლა დაიწყო, გამარჯვება უთუოდ გუნერადს ლავალეს დარჩება. თუ ლავალემ გაიმარჯვა, მაშინ ის თავის ჯარით ბუენოს-აირესისკენ წამოვა. მაგრამ თუ ლავალე დამარცხდა, მაშინ ის თავის ჯარით წავა ჩრდილოეთის მარტებში, რომ იქ ხელმეორედ მოიკრიბოს ძალა. თქვენა ხედავთ, რომ ორივე შემთხვევაში ბუენოს-აირესი ლავალეს მოელოდება.

«ბევრი სხვა მარტებიც გადაუდგნენ მტარვალს რომასს და ზგროკებენ ჯარებს მასთან საბრძოლველად. რომასმა გუნერადი ლა-მანდრიდაც გააჯვარა და ისიც ამას თავის უფროსად აღაწ რაცხავს.

— როგორ? ჭკითხეს ყველა კრების წევრებმა, რომელნიც რაღაც ხუჭრებში იყვნენ გართულნი.

— ამას ესლავე გაიგებთ, ბატონებო, მხალოდ ვითხოვთქვენგან სიჩუმეს. ჯერ კიდევ აღრვა ბუენოს-აირესში ყვირილი.

«მე ნამდვილი ამბავი მოგახსენეთ: გენერალმა ლა-მადრიდადმა, რომელსაც როზასმა უბანა ტუეუმანის დატერა, რეკოლუციონერ ჯარებს მისცა იმის დატერის ნება და შეიღოს მისის დაიმშვენა გული თავისუფლების ნიშნით; ხოლო როზასის ფედერაციის ნიშანი ტალასში გადააგდო.

— ბარაქლას, ბარაქლას!

— ჩუმად, ჩუმად, ბატონებო. აი საბუთი, რომელსაც ეს-ლანკე წაგივითხავთ:

«თავისუფლება ანუ სიკვდილი!

ბძანება ჯარს, 9 აპრილს 1840 წელს»

«უმაღლესის მთავრობის ბძანებით ინიშნებიან: გენერალი ლა-მადრიდად ეველას პროვინციის ჯარების სარდლად; პოლკოვნიკი ლორენტო ლუგონესი — შტაბის უფროსად; პოლკოვნიკი დონ-მარინო ანაკირასიანების შეჰად.»

ამ ამბით ეველას გული სისხრულით აკვსო. ეველანი ულოცავდენ ერთმანეთს და ჰკოცნიდენ. მხოლოდ დანიელ იჭდა გულ-ცივად და უყურებდა თავის ამხანაგების აღტაცუბას.

— «ესრედ, ბატონებო, განაგრძო დანიელმა დამშვიდებით, — თქვენა ხედავთ, რომ საღნის აჯანყება ეველგან წინ მიდის, მაგრამ ამ აჯანყებას ერთხელაც არის ბოლო უნდა მოეღოს. ეს აჯანყება ბუენოს-აირესამდინაც მოაწევს და აქ, აი სწორედ აქ უნდა მოეღოს კიდევ მას ბოლო. თავი და თავი საქმე ბუენოს-აირესშია, და ჩვენი სამღვთო ვალაია, რომ ხელი მოგუწყოთ აქ გამარჯვებას...»

— რასაკვირველია, რასაკვირველია! შეტვირთ ეველამ აღტაცებით.

— «ჩუმად, ბატონებო, თუ ღმერთი გწამთ, ჩუმად. კერ

ჭეუა გვეჭირვება და მეტე აღტაცება. — თქვენ მე სიტყვით მეთანხმებით, მაგრამ საქმით კი არა. როდესაც საქმე იმაშია, რომ გვერძობოთ ძთავრობას, რომლის უფლებაც დამყარებულია ზნეობით მნიშვნელობაზედ, მაშინ საჭიროა ამ უფლებას გამოეუთხაროთ ძირი, რითიც კი შეგვეძლოს, სიტყვით, ბეჭდით, თუ აჯანყებით. მაგრამ, როდესაც აზრს კბ არ გვერძობით, არამედ წყობილებას, რომლის წარმომადგენელიც არის ერთი კაცი და რომლის ნებასაც უოველივე ემორჩილება, — მაშინ საჭიროა ეს კაცი აღიგვეს დედა-მეწის ზურგ-გინდამ. ჩამოსთვალეთ პატრიოტები, რომელნიც განილტენენ ბუენოს-აირესიდამ და ისიც მოიფიქრეთ თუ ვიდევ რამდენი წავა და მეტე მითხარით, განა ესოდენნი დამცველნი თავის-უფლებისა საკმაო არ იქნებოდენ, რომ სული მოეწყოთ რევოლუციისთვის? აქა რჩებიან მხოლოდ ქალები, მხდლები და ოინბაზები, მაშინ, როდესაც ბუენოს-აირესი არის პირველი ბუდე როზასის უსამართლო უფლებისა.

«განა იმ სამასს ან ოთხასს კაცზედ, რომელნიც აქედან გავიდნენ, დამოკიდებულია ღვაალეს გამარჯვება? აქ კი სამასი ან ოთხასი გულადი კაცი სრულიად საკმაო იქნებოდა როზასისა და იმის მომხრეების ჩამოსაღრჩობად იმ დღეს, როდესაც რევოლუციის ჯარი მოახლოვდებოდა და თავ-ზარს დასტედა მათ.

«ჩვენ გასულთ დაბრუნება აღარ შეგვიძლიან, მაგრამ იმას მაინც ვეცადოთ, რომ კვლავ აღარავინ გაიქცეს და შორს არ ეძებოს თავისუფლება, რომელსაც აქ იშოვიდენ, თუ კი მტარკაღს შემართავდენ იარაღს.

«თქვენ მეტყვით, რომ ბუენოს-აირესში დარჩენა საშიშია, რომ რა წამსაც განხდება თავისუფლების ხმა, ქუჩები მაშინ-

ვე შეგდაწის კაცებით აივსება და სისხლის რუები წავა, მაგრამ განა ლავადეს ჯარში კი ცოტა იხორცება? განა სამშობლოდამ განდევნა არ აგდებს კაცს სისაწყლელში და არ აერთმევს მას ღირსებას?

«მეწმუნეთ მეგობრებო, რომ რომასთან მე უფრო და ახლოვებული ვარ, ვიდრე ვინმე თქვენგანი. სიტყვებსა და განაგადეს, მე სხვაზე უფრო დიდს მსხვერპლს ვწირავ ჩვენს საქმეს—მე ვსწირავ ჩემს პატრიოსნებას, რომელსაც ჩირქი ეცხობა მით, რომ ჩემი თანამემამულენი ეჭვით უტყურობენ ჩემს რომასთან დაახლოებას. ნუ თუ ისე უბედური ვარ, რომ არც ერთი თქვენგანი ჩემს აზრს არ თანაუგრძნობს?..»

— მეც შენის აზრისა ვარ, ყველაფერში თანაგრძნობი. მე სიკვდილი მიჩვენებინა მტარკალის მოხუციების ხელით ქალაქი დამ გასულას. აქ იმყოფება მტერი, რომელიც სახეში უნდა გყავდეს იმ დღისთვის, როდესაც ქალაქში ერთ-ერთი თავისუფლების ჯარი შემოვა. რომასის სიკვდილის შემდეგ შელანც ერთს თავისუფლების მტერს ვეღარ იპოვიოთ. სთქვა ერთმა უმაწობლამ კაცმა.

— თქვენც ამ აზრისა ხართ, ჩემო მეგობრებო? ჭკითხა დანიულმა.

— დიაღ, დიაღ, ჩვენ ყველანი ქალაქში უნდა დავრჩეთ, მიუგო ყველამ ერთად.

— ბატონებო, სთქვა ედუარდო ბელგრანომ, როდესაც სინამდვილე ჩამოვარდა, — თუმცა უოკელს დანიელისგან წარმოთქმულს აზრს თანაუგრძნობ, მაგრამ მე მაინც ქალაქიდან გასვლა მინდა დოდა და კიდევაც გაკალ თუ შემთხვევა მომეცა. ნება მიბოძეთ განვიმარტოთ, თუ ჩემი აზრი და მოქმედება რად განსხვავდება ერთმანეთისგან.

«მართალია, ჩვენ ქალაქში უნდა დაგვჩეთ, რომ როზასს ვუყარაულოთ აქ იმ დღისთვის, როდესაც თავისუფლების გამარჯვების უამი დადგება. ეს აზრი ნამდვილი აზრი და გამოხატელობაა ყოველ სხვა ხალხისათვის, რომელიც ჩვენისთანა გარემოებაში არ იმყოფება. მაგრამ ჩვენ, აჩუკებულნი ვართ ეს აზრი არ გამოგვადგება. უფრო ვრცლად განვიმარტავთ ამ აზრს.

«დანიელ ბელომ სთქვა, რომ სამასი ან ოთხასი კაცი სრულიად საკმაოა ქალაქში როზასის დასამარცხებლად. მე ამ აზრს სრულიად თანაგუგზობობ და ვთქვამ, კიდევ რომ როზასს ქალაქში უფრო მომეტებული მტრები ჰყავს, ვიდრე მომხრეები. მაგრამ ახლა ეს მითხარით, ბატონებო, რა ძალა აქვთ როზასის მტრებს ბუენოს-აირესში? ბევრი არაფერი.

«პარტია ძლიერია თავის რადიკალიზაციით კი არა, არამედ მტკიცის ვაგშირით. ერთი მილიონი გაცალ-ცალკეეული ხალხი არაფერია არ არის ძლიერი ზრს-სამს გაცხედ, რომელთაც ერთი დედა-აზრი აერთებთ და ნივთიერი ძალაც აქვთ.

«დაავიწყდით როზასის დიქტატორობას და დარწმუნდებით, რომ იმის ძალა ჩვენს გაცალკეეებაშია, როზასი ერის დიქტატორი არ არის. ეს თქვენც უკვლამ კარგად იცით. როზასს მოსვენებას არ აძლევს არც ერთს სახლობს, არც ერთს გაცხს თავის მონების წყალობით.

«ჩვენს ხალხს რაღაც უბედურნი ბედი სდევნის: თვითონ ჩვენც, რომელნიც ვიკრიბებით, კლასობრივად გულ-მხურვალედ და ვსდებთ ერთად მოქმედების პირობას, — თვითონ ჩვენც ერთმანერთს ვლავლობთ და გვავიწყდება ჩვენი წმინდა მოქალაქეობა.

«თუ კი მტკიცედ არ შეგვაკავშირდებით და არ მივცემთ

ერთმანერთს მტკიცედ მოქმედების პირობას, — მას სხვა რის იმედი გაქვსთ როზასთან ბრძოლის დროს? ხალხის უკმაყოფილების იმედი გაქვთ? ხალხში უკმაყოფილება დიდი ხანია სუფევს, მაგრამ მტარკალის მოხელეები კი გვესმებიან თავს თითოეულითოს და გვსოცავენ. ან რა ხდება ჩვენში, დე ამის შემდეგ ბრძოლაში სიკვდილი მიჩვენებინან, ვიდრე ველოდე ხალხის აჩუქლობას და ამ მოლოდინში კი რომელსაღე მტარკალის მოხელეს ჩემს სახელშივე დავეკვლევი.

«ამასთანავე ჩემმა მეგობარმა ერთი დაურღვეველი ჭეშმარიტება სთქვა: ე. ი. რომ რომ როზასის სიკვდილით მტარკალობას ბოლო მოელება. დამარწმუნეთ, რომ მტკიცე კავშირით შეერთებულს საზოგადოებას შეადგენთ და მეც დაგეთანხმებით ქალაქიდან გაუსვლელობაზედ.»

ამ სიტყვის თქმასევე ყველანი დაჩუმიდნენ, ყველამ თავი ჩადუნა, მხოლოდ ერთმა დანიელმა აიღო მადლა თავი და დაუწყო ემაწვილებს ცქერა, თითქოს უნდოდა მათის გულის პასუხი ამოეკითხნა.

— ბატონებო, სთქვა იმან, — მე სრულიად ვეთანხმები ჩემს მეგობარს ედუარდს, რომ ჩვენ ხალხს ერთის პირის უჭონლობა დუპავს. შემდეგ ბუენოს-აირესში დარჩენასევე ლაზარაგისა, მე მინდა ესაა მოგულაზარაკოთ მტკიცე საზოგადოების შედგენასევე. თქვენ დამეთანხმებით, რომ ჩვენ ყველანი ბუენოს-აირესში უნდა დავრჩეთ და ველოდეთ დროს; სიმართლე მოითხოვს იმაშიც დამეთანხმეთ, რომ განთავისუფლების დრომ განცალცალკავებულთ არ მოგვასწროს, თორემ ყველანი სათითაოდ როზასის მსხვერპლნი შევიქნებით.

«შევერთდეთ ერთად, ვიმოქმედოთ ერთად, მკვლელობა მკვლელობით ვადაგუსდოთ მტარკალს, რომ ან ხალხის აჩუ-

უღობა მოვასდინოთ და ან ერთად გავიდეთ ქალაქიდან, როდესაც მტარკლის მორკენის იმედი გადაგვიწუდება, ან კიდევ დავისოცნეთ ჩვენის დედა-ქალაქის ქუჩებში და მით მაგალითი ვუჩვენოთ ჩვენს თანა-მოასრეთ.

«თუ ჩვენ მტკიცე საზოგადოება გვექნება, მაშინ შემოვა თუ არა რევოლუციონერების ჯარი, ყოველს ღონის-ძიებას მოვიხმარებ და მოვიასლოვებ იმ დროს, როდესაც ჩვენ სისხლში შთანთქმას გვემუქრებიან. ნუ შეძწწუნდებით, მანონო! იმათ უნდათ ჩვენი დასოცვა, იმათ უნდათ ჩვენი შეშინება მუქარით. თუ მე მოვასერხე და უდრო-უდროვოდ ავადებინე მათ იარაღი ხელში და თუ ისინი გაცაფცაფკეკებულთა მაგივრად შესვლებიან მტკიცედ შეკავშირებულს ხალხს, მაშინ იმათ იმავე თავ-ზარს დავსცემ, რა თავზარის დაცემასაც ისინი გვიქადიან.»

«მე, რომელიც, ვინ იცის, რა საშუალებას არა ვხმარობ მტრების საიდუმლოების შესატყუობად; მე, რომელიც გასისხლიანებულს ხელს ვართმევ ჩვენის ქვეყნის ჯალათებს მაშინ, როდესაც ჩემს გულში ბოღმა ტრიალებს,—მე ვინვამძვინვარებ მათ, წაგაქვებ ხალხის დასახოცად, რომ მეორეს მხრით ხალხი ავაყაყანო და ავაჯანყო იმათ წინააღმდეგ. იმ დღეს, იმ წამს, როდესაც ერთ-ერთი პატრიოტი შუადღისას დასცემს ხანჯალს გულში ერთ-ერთს მტარკვალის მოხელეს,— ის დღე და წამი უკანასკნელი იქნება მტარკვალისათვის.»

დანიელს შირისასე აენტო, თვალებიდან ცეტსლი სტვიოდა. ყველამ იმას დაუწყო ცქერა. მხოლოდ ედუარდო იჟდა უძრავად სტოლზედ დაყრდნობილი.

— დიად, სთქვა ერთმა ყმაწვილმა კაცმა, თუ საზოგადოე-

ბაა საჭირო, ეს საზოგადოება დღესვე უნდა შეკადგინოთ, რომ ვეწინააღმდეგოთ მტარვალს.

— საზოგადოების შედგენა ხვალ იუოს, სთქვა ხმა-მადლა დანიელმა.

«საზოგადოება პოლიტიკური, რომ მივანიჭოთ ჩვენს მამულს თავისუფლება და კანონები.

«საზოგადოება ვაჭრობისა, ლიტერატურისა და მეცნიერებისა, რომ განათლება წინ წავიდეს.

«საზოგადოება ყოველის კეთილის საქმისათვის და წარმატებისათვის.

«მოიგონეთ, რომ თქვენნი წინა-პარნი, ამერიკელები შეადგენდენ ერთს ძმურს საზოგადოებას, რომელმაც ხანგრძლივს ომში მამაცურად დაიცვა თავისუფლება საზოგადო მტრისგან. ესლაც შეერთდით ერთად, რომ წინა-აღუდგეთ საზოგადო მტერს ჩვენს განათლებისა და წარმატებისას!»

ამ სიტყვის დროს დანიელ ხელ-ხელა წამოდგა თავის ადგილიდან, და სხვანიც უკვლანი დანიელის სიტყვით აღტაცებულნი ფეხზედ წამოდგნენ. როგორც კი გაათავა დანიელმა ლაპარაკი, ედუარდომ ჩაიკრა იგი გულში.

— მიუერეთ, ბატონებო, სთქვა ბელგრანომ, რომელსაც ხელი დანიელის მხარზედ ედო, — მიუერეთ, მე ვსტირი, მაშინ როდესაც ჩემი თვალები უმაწვილობხდგანვე გადაჩვეულნი არიან ცრემლების ღვრას. მიხვდით, რისთვისაც ვსტირი? არა მგონია. თქვენ გატაცებულნი ხართ ჩემის მეგობრის სიტყვით, მე კი ჩვენის მამულს მომაკალხვედ ფიქრით; მე ვსტირი იმაზედ, რომ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაინახავს ჩვენის ქვეყნის თავისუფლების ვარსკვლავს, ამისთვის, რომ ჩვენ არა გვაქვს არც

ხასიათი და ანტ ძალა იმისთანა საზოგადოების შედგენისა, როგორც შეადგინეს ჩვენმა წინა-პრებმა...

— გაჩემდი, ედუარდო, თუ ღმერთი გწამს გაჩემდი, წას-ჩურჩულა ყურში დანიელმა თავის მეგობარს.

«დიად, ჩემო მეგობრებო, შევერთდეთ მტკიცედ. მე შევადგენ წესდებას ჩვენის საზოგადოებისას; რასაკვირველია, იგი ვრცელი არ იქნება—იქ იქნება მოხსენებულნი რომ შევიკრიბნეთ ხოლმე ნახევარს საათს, როდესაც საჭირო იქნება.

«დღეს მანისის რც-და-რთხია. ჩვენ გავშორდებით ერთმანერთს კიდრე რც-და-სუთის მანისს მზე აღმოვიდოდეს და მოგვყურედეს თვის სხივებს.

«თხუთმეტს ივნისს ჩვენ კიდევ შევიკრიბებით ამავე სახელში და ამავე დროს.

«ერთის სიტყვის ნებას კიდევ გთხოვთ: ეცადეთ ყველანი, რომ ქალაქილამ აღარაგინ გავიდეს. მაგრამ თუ ვისმეს ქალაქილამ გასვლა მტკიცედ ექნება გადაწყვეტილი, დეე ის ჩემთან მოვიდეს, ყველაფერში დაგეხმარები. მე ყველამ განგებ მლანძღვთ და მაგინეთ ყველასთან. ნურაფრისა გეშინიანთ: მოვა დრო, როდესაც მე ავიტილებ თავილამ უოკელს ლანძღვას და გინებას წინაშე სამშობლოს თავისუფლების ტრამპისისა. კმაყოფილნი ხართ თქვენა და მენდობით თუ არა?»

უმაწვილი კაცები გადესვივნენ დანიელს და დაჭკოცნეს.

ამის შემდეგ გაიღო ზალის კარები და უმაწვილი კაცები წავიდნენ თავთავიანთ სახლებში. დაჩხნენ მხოლოდ დანიელ და ედუარდო, რომელნიც შევიდნენ ზალის გვერდით რთახში, იქ ნახეს ერთი კაცი, რომელიც ყურს უადებდა უმაწვილების ლაპარაკს.

— აბა, რას იტყვით, ბატონო?

— რაზედ, დანიელ?

— კმაყოფილნი ხართ?

— არა.

ედუარდოს განცინა და დაიწყო ოთახში სიარული.

— მაშ რა აზრზედ დადექით, ბატონო? ჭკითხა დანიელმა თავის ასაღს მოსაუბრეს.

— იმ აზრზედ, რომ ისინი ყველანი აღტაცებულნი წავიდნენ აქედამ, ესლა ყველა მზად არიან წმინდა საქმისათვის თავი გასწირონ, მაგრამ თხუთმეტს იგნისამდის გი იმათგანი ბევრი აღარ დაჩქება ბუენოს-აირესში და გინც დაჩქება იმათაც დაავიწყდებათ საზოგადოების შედგენა.

— მაშ რა უნდა გქნათ? სთქვა დანიელმა ჯ დაარტყა სტოლს ხელი. იმან თითქო დაივიწყა ის პატივის-ცემა, როგორც პატივის-ცემითაც ექცეოდა ამ კაცს, რომლის კეთილშობილური სახე ამტკიცებდა იმის ჭკუის ძალას და დიდ-სულოვნობას.

— რა ქმნათ?... იმუშავეთ, იმუშავეთ, რაც ძალი და ღონე გაქვთ, იმ საქმისათვის, რომლის შესრულებაც მოძალის კალი იქნება.

— მე რე რომასი?... სთქვა დანიელმა.

— რომასი არის ჩვენის წუობილობის ნაყოფი და ეს წუობილობა ხელს უმატავს მას.

— რომ ის მოკლას ვინმე...

— ვინა? ჭკითხა დანიელს დიმილით მოსაუბრემ.

— რომელმაზე გულისხმობს პატრიოტმა, ბატონო.

— არა, დანიელ; ეგ ოცნებაა. მტარკადის მკვლელი ოცში ერთი უნდა იყოს, ან სულით მდაბალი, რომ შეიძლებოდეს იმის შესყიდვა, რომლისთანა კაციც ჩვენს კრებაში არ მოიპოვო.

გება, — ან მეტის-მეტად გატაცებული ღანატიეოსი, როგორცაა  
ჩვენს დროში ვერ შესვლებით.

— მაშ რა უნდა ვქნათ, რა?

— ავი გითხარით, რომ იმუშავებთ მეტში. მხოლოდ მე-  
გობრული და პატიოსნური მუშაობა ერთის დიდის საზოგადო-  
ლო საქმისათვის გამოგვიყვანს ჩვენ ესლანდელის ძღვომაჩე-  
ლობადამ. ერთი კაციც კი, რომელიც ემსახურება საზოგადო-  
თავისუფლების საქმეს, ძვირ-ფასი არის ჩვენთვის, — ასე არ  
არის, ბელგრანო?

— მართალია, ბატონო.

— დღეს ჩვენ საკმაოდ ვიმუშავებთ, ხალა კი წავიდეთ აქე-  
დამ, ჩემო მეგობრებო.

— წავიდეთ, ბატონო, უთხრეს უმაწვილმა კაცებმა და გაჭ-  
ყენენ იმ კაცს, რომელსაც, როგორც ეტუობოდა, დიდი გავ-  
ლენა ჰქონდა მათზედ. თვითონ ამ უცნობმა კაცმა მისცა ხე-  
ლი ედუარდოს, რომელიც რის კარი-ვაგლასით ადგამდა ფეხს.

ერთგული ფერძინი იჯდა სასლის კარების წინ და თვალ-  
ყურს ადევნებდა, ვინც კი უახლოვდებოდა ამ სახლს.

— ეკიპაჟი მოვიდა? ჰქითხა მას დანიელმა.

— მოვიდა და ნახევარ საათია გულით ქუჩის პირას.

დანიელის ბძანებით ფერძინი სახლში შევიდა და იქი-  
დამ ისა და ედუარდოს მოსამსახურე ერთად გამოვიდნენ, რის  
შემდეგაც ახალი პირი, ედუარდო და იმის მოსამსახურე წა-  
ვიდნენ ქუჩის-პირისკენ ეკიპაჟში ჩასასხდომად.

მარტო დანიელ თავის მსახურით დადგა სახლის წინ, მე-  
რე შევიდა ეზოში და ნელა დაუშტვინა. ვიღამაც სახლის ბა-  
ნიდამ სმა მოსცა.

— აქა ვარ. ნებას მაძლევ ჩამოვიდე, ჩემო საყვარელო დანიელ?

— ჩამოდი, ჩემო საყვარელო მასწავლებელო, უთხრა დანიელმა ბანზედ მდგომ კაცს, რომელიც ჩვენი ნაცნობი დონ-კანდინო როდრიგესი იყო.

— დანიელ, შენ შე სულითაც და ხორცილთაც...

— წავიდეთ, წავიდეთ, ბატონო, კვიზაყი გველის.

დანიელმა და დონ-კანდინომ დასტოვეს დონა მარსელინას სახლი, რის შემდეგაც ფერმინმა დაკეტა კარები და გასაღები ჭიბუში ჩაიღო. დონ-კანდინო და დანიელ კვიზაყში ჩასხდნენ. როცა ფერმინი და ედუარდოს მსახური მანუელიც თავის ადგილას დასხდნენ, კვიზაყი მაშინვე გაქანა განზამბის ქუჩაზედ. დანიელმა უცნობი კაცი თავის სახლში შეიყვანა და დანარჩენები კი თან წაიყვანა.

### თავი შერგე.

იმედებია, იმედები...

— ახლის შეიღნისკენ, — უთხრა დანიელმა თავის კუჩქს და ამანაც გარეკა ცხენები ხსენებულს ადგილისკენ, სადაც დონ-კანდინო გადმოსვას, წადგან იქვე ახლოს სცხოვრებდა. შემდეგ უმაწვილი კაცები თავის მოსამსახურეებით დანიელის სახლში შევიდნენ ღამის თორმეტის საათის ჩახვეარზედ.

სახლში შესვლის უმაღვე დანიელმა გაისადა ტანისამოსი და ბაღისათვის ახალი ტანისამოსი მოითხოვა. ამ კაცმა, რომელიც მუდამ ყამს სოფლის მკვლევარე ცხოვრებაში დატრიალებდა, ადვილად რა იყო დალაღვა და დასვენება, რომ იგი სულითა და გულით ეკუთვნოდა იმ წმინდა საქმეს, რომელსაც ემსახურებოდა.

— გამიგონე. მე ცოტა არ არის ფეხმა ტკივილი დამიწყო და ვაი თუ დანიშნულს ვადაზედ ვერ მოვიდე, უთხრა ედუარდომ.

— ახლა ისიც მიიღე მხედველობაში, რომ მალე თორმეტი საათი შესრულდება, რომ ამ დროს ამაღია და ფლორენსია ბაღში უნდა მივიდნენ და მეც იქ უნდა ვიყო და ხელი მოკუწყო მათ ზოგიერთა საჭირო პირების გაცნობაში, უთხრა დანიელმა და შევიდა საწოლ ოთახში ტანისამოსის გამოსაცვლელად. ფერმინმაც მაშინვე ანთო ორი სანთელი სარკის წინ და მოუმზადა სანადიმო ტანისამოსი.

— ღმერთმანი შენი ცხოვრება მშურს, დანიელ! უთხრა დანიელმა და გადაწვა სელზე.

— რათა, ჩემო საყვარელო ედუარდო?

— იმისთვის რომ ბუნებას შენ ორგინალურ და ამასთანავე ბედნიერ კაცად დაუბადავხარ.

— შენ არა ხუმრობ?

— სულაც არა, მეწმუნე. შენ საოცარი ნიჭი გაქვს იმისთვის, რომ დაივიწყო წარსული და იცხოვრო აწმყოთი, შენ განსაცდელში აგდებ შენს თავს, სულითა და გულით თანაურგონობ პოლიტიკურს საქმეს და აძლეკ მას მიმართულებას. შენი გონება ვითარდება, იღვწნება, მთვლობელობს ეხლანდელს მდგომარეობასედ, და ხუთის წამის შემდეგ კი, შენ, პირველი მოღვაწე აზრისა, მჭადაგებელი დიდის იდეებისა, ხდები უსაგნო ცხოვრების მიმდევარ კაცად. შენ სომ იცი საცა ვიყავით და რაც გავაკეთეთ, — ესლა კი სარკეს წინ ირთები, როგორც ერთი ქრათეშურტა ჭრანტოგანი, ისეამ თავსედ პომადას ისეთის აღტაცებით, თითქოს შენი დანიშნულება ცხოვრებაში ეს

იუეს აი, ჩემო მეგობარო, ამისთანა ხასიათის კაცს ეძახიან ბედნიერს კაცს.

— აბა, რას იტყვი, ასე კარგი იქნება? უთხრა დანიელმა ჯ სჩვენს ეელზედ გაკეთებული მშვენიერი ეელსახვევი.

— დამეკარგე აქედამ ერთი, და! უთხრა ედუარდომ თითქმის გაჯავრებულმა დანიელის ამისთანა ქცევით.

— კარგი, დაკვირვებები, უთხრა დანიელმა და კვალად დაიწყო საჩუკეში ტანისამოსის გასწორება.

— რა არის, ჩემო ძვირ-ფასო ედუარდო, განაგრძო მან, განმარტე შენი ჰსისიოლოგიური შესედულება, შენ ხომ ჰსიოლოგია კარგად იცი. რატომ ჰსუსხს არ მაძლევ? .. მაშ შენს მაგივრად მე ვილაშაჩაკებ.

როცა დანიელმა ჩაჭმა გაათავა, ედუარდოს მოუჯდა გვერდით.

— გამოგონე, ედუარდო, ჩემი ხასიათი ადვილად ასახსნელია, ამისთვის რომ იგი არის გამომეტყველები ბუნების კანონებისა. როგორც ფიზიკური ბუნება, ისე კაცის სწეობაც იცვლება და სხვაფერდება; ერთს დღეში, თითქმის ერთს წამშიაც, ჩვენი გული, სულის მოძრაობა, იცვლება ყვავილივით. რაც უნდა დიდ საგანზედ ფიქრით გქონდეს გონება მოცული, მაინც კალამს, რომლითაც ვსწერთ, ბუნარში ცეტსლს, წიგნებს, ბავშვის სიცილს, ერთის სიტყვით უბრალო რამეს შეუძლიან შეჭსცვალოს შენი დიდი ფიქრი უბრალო ფიქრზე. ბედნიერების დროს გამოტყუვება უბრალო რამ, რომელიც მოგიშსამავს ცხაკრებას და მოგისმუგუნის გუეს. ამისთანავე, ედუარდო, მე ბუნოს-ანჩესელი ვარ და ხომ იცი რომ ჩვენი სალსა დაუდკრომელის ხასიათით გათქმულია. ჩვენმა სალსმა დაბადა მტარვალობა, რომ ელაატნა თავისუფლებისათვის. შენც თვითონ

ასე ფიქრობ, ედუარდო. გინდა ესლავე დაგიმტკიცო, რომ დიდის ჭკუის კაციც ადვილად უტეკებს საზოგადოდ სასარგებლო იდეას და ვარდება პიროვნ ცხოვრების მოტეკში?... მაგალითად შემძლიან თვითონ შენც აგილო.

— შე? სთქვა ედუარდომ და შესედა დანიელს.

— დიად, შენ, სწორედ შენ. ის კი არ გააკვირვებს, რომ მე წითელის პოლიტიკურის საქმიანად გადავდივარ საბალო ტანისამოსზედ, ანა, სულაც ანა; შენ ბრახიანობ შენს ბედზედ, რომელიც ნებას არ გაძლევს ესლა შენც ჩემთან წამოსვიდე.

— რას ამბობ, დანიელ, რასა!..

— ტყუილად თავის მართლუფლობას ნუ დაიწყებ. შენ ჩვენს კრებაზედ ლაშარაკობდი, როგორც ფილოსოფოსი და ესლა, რამდენიმე წამის შემდეგ, მთლად შთანთქმული სარ შენის გულის საყვარლის ფიქრში. შენ ფიქრობდი შენს სამშობლოზედ და ცოტა ხნის შემდეგ, კი აძლიაზედ დაიწყე ფიქრი. შენაჭფიქრობდი თავისუფლების მოპოვებაზედ. ესლა კი უფრო ძლიერ ფიქრობ როგორ შეიპყრა ქალის გული. შენ დასტიროდი შენის ქვეყნის ბედს, ესლა კი სტირი იმაზედ, რომ შენის სატროფოს თვალებს ვერა სედავ. რაც მართალია, მართალია, ედუარდო. აი ეს არის კაცი, აი ეს არის ბუნება.

ედუარდომ ჩაღუნა თავი და დაიწყო თმის სწორება

— შენ კი არ გეგონოს, ჩემო მეგობარო, რომ მე ამით შენი გაკიცხვა მინდოდას, განაგრძო დანიელმა, — სულაც ანა, მე დიდად მიხარვან, რომ შენ ჩემი დეიდაშვილი შეიყვარე. ეს კეთილშობილი, პოეტური და გულის დამტყუებელი ქალი ნამდვილად დააფასებს შენს გულს და შენს ხასიათს. იმასაც შენ უყვარსარ, სხვა რაღა გინდა?

— არა, დანიელ, ეგ შეუძლებელია, იგი მხოლოდ თანა-  
უგრძნობს ჩემს ტანჯვას.

— გუეზები იმასაც უყვარხარ. შენმა სამწუხარო მდგომარეობამ მიიზიდა იმის გული.

— ნუ თუ შენ ეგრე ფიქრობ, ნუ თუ უტყუარად შეგიძლიან განიმეორრო, რომ ამაღიას ვუყვარვარ? ჭკითხა ედუარდომ დანიელს აღელვებულის სპით.

— დიაღ, მე ვფიქრობ ამას, და კიდევ რამდენს სხვა რამესაც ვფიქრობ: მაგალითად, მე ვფიქრობ, რომ ერთის წლის შემდეგ, ანუ უფრო ადრეც, ბუენოს-აირესში ბედნიერად იცხოვრებენ ორნი შეყვარებულნი—ამაღია და შენ, ფლორენსია და მე.

— დიაღ, დანიელ, მე მიყვარს ის ისე, როგორც ჯერ არავინა შეყვარებია ჩემს სიცოცხლეში. შენ კარგად იცი ჩემი ცხოვრება, ისიც იცი, რომ ჩემი გული არას დროს არ შემსჭვალულა სიყვარულის ძალით, თითქოს ამით უნდოდა იმას შეენახა უზაკველი გრძნობა და ენერჯია ისეთის ქალისათვის, როგორსაც ვიდგენდი მხოლოდ ჩემს გონებაში. ესაა, დანიელ, ამისთანა ქალი იშვანა ჩემმა გულმა დ უყვარს იგი წრფელის სიყვარულით. მე მსურს მოვინადირო ამ ქალის გული, კიცხოვრო მასთან, დავითარო იგი ჩემის გულით საზოგადო ჩირქისაგან, ვიგებდე მცირეოდენს იმის სურვილს. აი რაში მდგომარეობს ჩემი ბედნიერება, თითქმის დიდებაც... დიაღ, ამ ქალს შეუძლიან აღძრას ჩემში ლტოლვილებანი უდიდესის საქმისადმი, იგი ამატანებდა ყოველ-გვარს შრომას... მე მოვძებნიდი დიდებას, რამ იმის უჭის ნაწილი მასაც გადაჭყენოდა!

— კარგი, კარგი, ედუარდო, უთხრა დანიელმა, — დღეს შენ

პოეტურს, აღტაცებულს გუნებაზედა სარტკრეტ უნდა, თორემ შენი სიყვარული ნამდვილი სიყვარული არ იქნება.

— მე მიყვარს იგი, დანიელ, განაგრძე ედუარდომ, მიყვარს იგი და მინდა იმის ქმარი ვიყო; ჩემი გული, სიცოცხლე, ყოველივე რაც კი მაქვს, იმას ეკუთვნის. ჩვენ ვიცხროვებით ამ ხმინ ქალაქის მოშორებით, ვიცხროვებთ ყოველთვის იმ სახლში, სადაც ის პირველად ვნახე და ვიქნებით ბედნიერნი, არა დანიელ?...

— დიად, დიად, ედუარდო, მე კიდევ უკეთესის მოძიკალის იმედიცა მაქვს: ჩვენ მალე მოვიპოვებთ თავისუფლებას და მშინ თვალწინ გარდაგვეშლება დიდი მოედანი გონების სავარჯიშებლად. ბედნიერებას ვიპოვნით ჩვენს ოჯახობაში, სოლო სსსარგებლო საქმეს ჩვენს მამულში. ჩვენ ერთად ვიცხროვებთ. ავსშენოთ საცა ამაღია სდვას, ერთი დიდი სახლი, რომლის ნახევარში შენ დადგები შენის ამაღიათი, სოლო მეორე ნახევარში მე ჩემის თლოჩენსიათი.

— მშენიერი აზრია, დანიელ! ჩვენ თვითონ აღუზარდოთ ჩვენი შეილები, არა?— და სამუდამოდ დავივიწყოთ ეს შავი და ბნელი დრო, როდესაც ყოველს ნაბიჯის უდადგმაზედ ჩვენთვის ჩვენის ქვეყნის ჯალათების ხანჯალია გამსადებული და...

— აი, ავი გითხარ! მართალს არ ვამბობდი?... ჩვენ ერთს წამს ვიყავით ბედნიერნი, რცხებამ ტეხილი მოძიკალი დაგვიხატა და შენ კი ამ შავსა და ბნელს დროს მინც კიდევ იგონებ... ახლა კი დროა გაგათავოთ ლაპარაკი, უთხრა დანიელმა. რომელიც წამოდგა ზეზედ და შეხედა საცოს, — ამ თორმეტი საათიც სრულდება.

— მაშ წადი.

— ამაღიას ორი საათის უკდეკ აღარ უნდოდა ხალში დარჩენა.

— რა უნდა გააკეთოს იქა, საწყაღმა?... იტი რა გითხრა კიდევ დანიელ: ნუ მისცემ იმ მურაღს კაცებს ამალასთან ტან-ცაობის ნებას, რომ არ მოსწამლონ იგი.

— კარგი, სხვა?

— რომესაც გამოდიოდეს, ხელი მიეცი და ეკიპაჟის მიიყვანე.

— თულორენსია კი ვინც უნდა წაიყვანოს?

— შენ ხომ ორი ხელი გაქვს...

— ჰო, მარტლა, აღარ მომაგონდა, სხვა?

— ბალის შემდეგ ამალას სახლში წაიყვან?

— მაშ ხომ მარტოკას არ დავანებებ თავს.

— მაშ დილის ორ საათზედ შენის ეკიპაჟით დიუპასკეს სახლთან მოგიტდი, სადაც ჩვენ ადგილებს შევიტყვლით: შენ შენს ეკიპაჟში გადმოჰდები, მე გამალასთან ჩაკვდები, რომ სახლში წაიყვანო.

— გწუხვარ, რომ შენ ჩემთან ვახშმის ჭამა არ გინდა.

— გამოგონე დანიელ, აგერ ცხრა საათია, რაც ის აღარ დამინახავს, მცირედი შეზრდება იჭონიე! სვალ კი მთელს დღეს ამალასთან გავატარებთ. მაშ შეგერიგდეთ, დანიელ?

— ერთის პირობით კი.

— აბა რა პირობით?

— სვალ შენ მთელს დღეს ლოგინში უნდა იწვეო.

— ეტ რაღა! განა ოცის დღის წოლა არ შეუძლია!

— შენის დაჭრილობებისთვის საჭიროა დასვენება. საკვირე კელი კაცი ხარ: დღესათის საათის განმავლობაში მარტო ერთის იუბათ იატე და კიდევ არ გინდა დაისვენო. სასაცილო დასანახია კოჭლი მოარშიეე კაცი, უთხრა დანიელმა დიმი-

— დიად, დიად... მაგრამ მაგითი რა მიშას, უთხრა ყუ-  
რუბამდის გაწითლებულმა ედუარდომ.

— რა, კაცებო! კაცებო! წამოიძახა დანიელმა ამოხვრით.

— დაიკარგე ერთი და! უთხრა ედუარდომ ზ გადაწვა სელზე.

— არა, მე ბაღში მინდა წასვლა და პირველადვე შეეს მა-  
გივრად ვეტანტაკები... მაგალითად, დონა-მარია-ხოჭეთას, —  
გინდა?

— თავი დამანებე, თუ დემოთი გწამს, თავი მომამულე,  
როგორც...

— მაშ ამაღიას ვეტანტაკები... თანახმა ხარ?

ედუარდომ ჩამოართვა დანიელს ხელი და უთხრა:

— ამაღიას.

ყმაწვილი კაცები გაიყურებენ ედუარდოს დარჩა შინ რც-  
ნებობისათვის, დანიელ კი ჩაჯდა კვიპაში და გაეჭინა გამარ-  
ჯების მიედინისკენ.

### თავი მეცხრე.

#### დანიელ სადღეგძელოსა სვამს

დანიელ შევიდა ბაღის ზაღაში თორმეტს საათზედ, რო-  
გორც მკითხველმა უკვე იცის ამ რომანის მეშვიდე თავიდან.

ფლორენსია ზაღაში დასერილობდა, დანიელ კი მაშინვე  
ამაღიასკენ წავიდა.

დანიელმა გააცნო ამაღია მანუელას, რომელსაც იმის სი-  
ღამაზე, ნაზი ხმა და მშვიდი ქცევა ძლიერ მოეწონა.

დანიელმა თავისი ქცევით მიიზიდა ყველა რომანის მომ-

ხრეები: ქალებს შეეყარებულ ქაჩაფშუტა კაცად ეჩვენა, რომლისგანაც მოულოდენ, რომ მომავალში იქნებოდა ერთგული-მოღვაწე ივედეკაციის წმინდა საქმისა.

მანუელამ ამაღლია დონა ავგუსტინასაც გააცნო, რომელმაც, როგორც ერთგულმა მოღვაწის მიმდევარმა, პირველად დაუწყო დახარკვი მორთულობასედა, ლენტეხსედა, ბლონდებსედა და სსვ.

ამ დროს მანუელასთან მოვიდა კაპიტანი მასა და მიიზატიყა იგი სტოლთან. როდესაც კი მანუელა წამოდგა ზეზე, მოტანდაკენი უეცრად გაჩერდენ; ხალხში რაღაც ჩოჩქოლი ჩამოვარდა.

ქედვარციის ქალები ეშურებოდენ გაჭეოლოდენ თან 1840 წ. ქედვარციის ბრწყინვალე წარმომადგენელს. ეველა ცდილობდა იმასთან ახლო ყოფნას. უნიტარების ქალები კი თავ-თავის ადგილებიდან არ დაიძრენ და კინც დაიძრა, ისიც სხვა ოთახში მიდიოდა.

იმ დროს, როდესაც მანუელა და ავგუსტინა წამოდგენ, დანიელმა ერთს თავის ამხანაგს დაუძახა და ყურში რაღაც უჩურჩულა, რის შემდეგაც იმან ამაღლია წაიყვანა, თვითონ დანიელმა კი ფლორენსია.

— მომილოცავს, უთხრა ყურში ამაღლიას უცნობმა, როდესაც ეველანი პურის საჭმელ ოთახისკენ წავიდენ.

ამაღლიამ გაიღიმა.

— მე შესმის ეგ დიმილი. ჩვენ ორივენი ერთის აზრისანი ვართ, მაგრამ აქ ერთი საყურადღებო გარემოება არის.

— საყურადღებო? უთხრა ამაღლიამ განცკიფრებით.

— დიაღ, დიდად საყურადღებო. მარინომ თქვენთან ტანცაობის იმედი მაინც არ დაჭკარვა, თუმცა თქვენ უარი უთხარით...

— იმ დაჭყეტილ თვალებიანმა ვაჟ-ბატონმა...

— დიად, იმ დაჭყეტილ თვალებიანმა.

— მეჩე, რა არის?

— მეჩე ის არის, რომ ის თქვენ თვალ-ყურს გადაკვნებთ, არ გაშორებთ თვალს და ერთს თავის ამხანაგსაც უთხრა, რომ თქვენ ან იმისი უნდა გახდეთ, ან...

— ყურსაც არ ვათხოვებ. მაგრამ გვინებ ვასშმის დრო არის, ბატონო, უთხრა ამალიამ თავის კაკაულეს.

— არა, არა, თქვენ იმას ნუ ესუძრებით, უთხრა კაკაულესმა, — თქვენ კიდევ არ იცით, რა კაცია ეგა...

— ეგ კაცი! ეგ კაცი... გიყვია! მიუგო ამალიამ.

ყველანი სტოლს მიუსხდენ: ფლორენსია და ამალია ერთად დასხდენ, დანიელ კი იმათ უკან დაჯდა. მანუელამ დაიჭიჩა ადგილი სტოლის თავზედ, იმის მარცხნივ იჯდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი — დონ-მანუელ ინსარტე, მარცხნივ — ინგლისის რეზიდენტი მანდუვილი. მანდუვილის პირდაპირ, სტოლის ბოლოს, იჯდა გენერალი მანსილია.

ყველანი ჩუმად იყვნენ. მხოლოდ თეფშებისა და დანახანგლის ჩახარა-ჩხურა ისმოდა. გენერალმა მანსილიამ ხალხის გასამხიარულებად დაიძახა.

— სადღეგქელა, უმაწვილებო.

ქალები და კაცები ფეხზედ წამოდგნენ.

— ღმერთმა ადღეგქელოს ამ დროს პირველა კაცი, — განაკრძო მანსილიამ, — რომელიც სამუდამოდ შემუსრავს უნიტარებს და საფრანგეთსაც არგენტინის ფედერაციის წინაშე მოადრეკინებს თავს, — ადღეგქელოს დიდებული გმირი, ბრწყინვალე აღმადგინებელი კანონებისა დონ-სუან-მანუელ როზასი თავისის ქალით.

მანსილას სადღეგებელომ იმოქმედა ხალხზედ და უკუ-  
ლამ ხმა აძოიღეს.

— სმენა იუოს და გაგონება, დაიძახა დეპუტატმა ლარი-  
ლოსმა, რომელიც სტაჟნით ხელში წამოიღო ზეზე. შეესვათ,  
განაგრძო მან, — სადღეგებელო ჩვენის გმირისა, რომელმაც  
დამტკიცა, რომ ჩვენ დამძალი ევროპა არ გვეჭირება. დეპ-  
უტატმა გაიგოს, რაინცა ვართ. შეესვათ აგრეთვე სადღეგებ-  
ელო ჩვენის მეორე გმირის მანუელიტა რომას-და-ესკურასი!

უკულანი აღტაცებაში მოვიდნენ, უკულამ დალია სადღე-  
გებელო.

— სმენა იუოს და გაგონება! სთქვა სახალხო საზოგადოე-  
ბის პრეზიდენტმა, რომესაც ანიშნა მას დანიელ ბელომ.

— ღმერთმა ქნას, დაიძახა სოლომანმა, — რომ ჩვენი დი-  
დებული აღმადგინებელი კანონებისა სტრატელობდეს —  
სტრატელობდეს მარადის, რომ ფედერაცია არ დაიდუმოს...  
ამერიკაც აგრეთვე. რომ... რომ... ერთის სიტყვით აღღე-  
გებელოს ბრწინებულ აღმადგინებელი კანონებისა, იმისი ქალი,  
რომლის დახადებასაც დღეს ვდღესასწაულობთ.

უკულამ მოიწონა სოლომანის სადღეგებელო, უკულამ და-  
ცალა სტაჟნები.

მხოლოდ ამალია ვერ მიმხვდარიყო რაცა ხდებოდა იმის  
თვალ-წინ. ის გაკვირვებული შესტკეროდა დანიელს და იმის  
თვალები თითქოს ჭეითხავდა მას: სადა ვარ? ეს რა ხალხია?  
ნუ თუ ეს ბუენოს-აირესია — განათლებული ქალაქი რესპუბლი-  
კისა? უკულა ამ კითხვასზედ დანიელიც თვალებით ანიშნებდა:  
«შეძრე ვილპარაკოთო.»

დანიელ უკულას თვალ-ყურს ადევნებდა, სოლომანს ანიშ-  
ნებდა, ლარილოსს სადღეგებელო მოუწონა, მანუელას გაუღიმა.

აგუსტინას ყვაილი უძღვნა, ამალიასა და ფლორენსიას კი უერში უჩუჩრულა:

— უნდა დალიოთ.

— მე? უთხრა ამალიამ ისეთის სიამაყით, რომ ის ამ დროს გამწოვალს დედოფალსა ჭკავდა. დანიელმა აღარაფერი უთხრა. ფლორენსია კი დათანხმდა.

— დიად, თქვენ, ქალ-ბატონო, თქვენ უნდა დალიოთ უთხრა ფლორენსიამ. მხოლოდ რადესაც ამ ვაჟ-ბატონებმა თავინთ კაცობის სადღეგძელოები დალიონ, ჩვენ ჩუმად ჩვენი მეგობრები ვადღეგძელოთ... მაგრამ... მაგრამ... უუერე, უუერე, ამალია, მანუელა რადესაც განიშნებთ.

მართლაც მანუელამ დანახავა სტაჟანი, რაზედაც მშვენიერმა ამალიამაც მისცა ვასუხი სტაჟნისაკე დანახვებით.

— ბატონებო! სთქვა რედაქტორმა მარინომ, რომელიც ქვე-ქვე უუერებდა ამალიას, ვსვამ ჩვენს დიდის გმიჩის სადღეგძელოს და იმის ქალისას, — სიგვილი შინაურ და გარეულ უნიტარებს!... ადღეგძელოს აგრეთვე ჩვენის ქვეუნის ლამაზი ქალები!... მარინომ კიდევ გადახედა ამალიას. ამ სადღეგძელოზედაც დიდი სმაურობა და ყაყანი ასტყდა, მაგრამ პოლეკონიკმა თავის წასიანის ხმით გაჩუმა ყველანი.

— ბატონებო! დონა მერსედესი გთხოვთ ცოტა ხანს გაჩუმდეთ, რადგანაც თავის ლექსის წაკითხვა სურს.

ყველანი გაჩუმდნ და მერსედესს დაუწვეს ცქერა, რომელმაც რადაც ქალადი მისცა თავის ქმარს ეჭიმს რივერს. ამას არ უნდოდა გამოერთმია ქალადი, რისთვისაც ცოლ-ქმარს შუა ჩუმი ჩხუბი მოხდა. ბოლოს ეს ქალადი მოსამსახურეს ჩაუვარდა სულში, რომელმაც ბძანებისამებრ გადასცა გენერალს მანსილის.

გენერალმა გაშალა ქაღალდი, ჰერ ჩუმად ჩაიკითხა და მკრე ხმა-მაღლა წაიკითხა შემდეგი:

სონეტი.

«აგერ ცაში მზე ბრწუენვალებს,  
 მით ნათლდება მთლად სამყარო,  
 ყველა ხმა-მაღლა ღვდადებს:  
 სიკვდილი შენ უნიტარო!  
 ჭკეუანა ძრწის და იბკრება,  
 შიშის წაჩიბ კაწთ მოცუელი;  
 მაგრამ ამით ვით შეკრთება  
 ფედერალის ღობი გული.

. . . . .  
 რას ფედერალის ხანჯალი  
 იელაებს, გაიკრიალებს,  
 ჩენი მტერი, გულით მხდალი  
 სარტში ძრომას დაიწეებს!!..»

მერსედეს როზას-დე-რიკეას.

ეს ლექსი ზოგს ძლიერ მოეწონა და აღტაცებაში მოვიდნენ, ზოგნი კი სიცილს ვერ იმაგრებდნენ.

ფედერაციის ქალები ამ ლექსს აღტაცებაში მოჭყავდა, უნიტარების ქალებს კი ამის კითხვაზედ სველა აუვარდათ.

ამის შემდეგ ისევ სადღეგებულების სმა დაიწეეს, ქალები კი სატანცაო წალაში გავიდნენ. დანიელმაც ამაღია და ფლორენსია გაიუვანა წალაში და თვითონ ისევე ჰერის საჭმელს თათსში დაბრუნდა. ის აქ გენერალ მანსილიას და პოლკოვნიკ სოლომანის შუაში დადგა, აილო, სტაქანი და სთქვან: — ბატონებო, ვსკამ იმ ფედერალის სადღეგებულოს, რომელ-

ღიჯ თავის ხანჯალს ჩაურჭობს გულში საფრანგეთის კოროლის ლუი-ფილიპეს ქვეშევრდომებს, ამისთვის რომ იმითგანი ზოგი ჯაშუშია, ზოგი გამცემელი და ყველანი კი უნიტარები. კინც ამას მოიქმედებს, იგი მოიპოვებს საუკუნო დიდებას. დამეჩქმუნეთ, ბატონებო, რომ იგინი დროს უცდიან, რადეს-საც შეეძლებათ დიდებულის აღმადგინებელის მომხრეების დახმარება!»

ეს აზრი ყველას გულში ჰქონდა, მაგრამ ვერავის კი ვერ გამოეთქვა. ამისათვისაც ეს სადღეობელი ყველას მოეწონა და დანიელს ტაში დაუკრეს.

დმერთო ჩემო! დანიელ აქვსებდა თუ დეკლეს უნიტარების დახმარებისათვის!... დიად, იმას სულით და გულით უნდოდა, რომ ერთ-ერთის ბუენოს-აიჩესში მცხოვრებ უცხო ქვეყნელის სისხლი დაღვრილიყო. ჩვენ კი ვსთქვით, რომ დანიელ წმინდა ზნეობის კაცი იყო, წარმომადგენელი ევროპის იდეებისა თავის სამშობლოში. მართალიცა ვსთქვითო იმას უნდოდა, რომ ერთის კაცის სიკვდილს აელეკვებინა საფრანგეთი, რომ მას შეეძურა მტარვალის როზასის ძალა და არ მიეშვა იგი მთელის ხალხის ამოწყვეტამდის. ის იმ აზრისა იყო, რომ ერთის კაცის სიკვდილი არასუერია, თუ კი მთელს ხალხს ამით ეშველება რამე.

ამის შემდეგ დანიელ გამოვიდა ზაღაში ცოტა არ არის მოწყენილის სახით. ზაღაში იგი მივიდა ამაღიასთან და უთხრა ჩუმიად:

- წასვლის დროს. ამაღიამ შენიშნა დანიელს მოწყენილობა და მიზეზი ჰკითხა.
- არასუერია, მიუგო დანიელმა, მე დღეს ისეთი სადღე-

გძელთ დაგლიე ჩემის ქვეყნის დახსნისათვის, რომ ის ჩემს  
სახელს ჩირქსა სტახოს.

— წავიდეთ, წავიდეთ, ფლორენსია, უთხრა დანიელმა თავის  
დანიშნულს, რომელიც ამ დროს ამაღიასთან მოვიდა.

თავი მკათე

ბალის შემდეგ.

იმ დროს, როდესაც დანიელ სადღეგძელს სკამდა, დონა აგუსტინა როზას-დე-მანსილია კიდევ ამაღიას ელაპარაკებოდა ჩატმა-დახურვაზე და ჭბირდებოდა მალ-მალე მისგანს. მანუელა როზასისამ არ აღუთქვა ვიზიტები, მაგრამ მალე ღობა კი გამოუცხადა ამაღიას.

როდესაც ამაღიას, ფლორენსია და დანიელ გამოვიდნენ ბაღიდან და ამაღიას ეკიპაყით წავიდნენ ფლორენსიას სასლისკენ, იქ მეორე ეკიპაყი დახვდათ.

დანიელმა ფლორენსია გადასკა ეკიპაყიდან. ფლორენსია გამოეთსოვა თავის თანამგზავრებს და შევიდა შინ. მეორე კარკეტიდამ ედუარდო ბელგრანო გამოვიდა. ამავე დროს ამაღიას ეკიპაყიდან დანიელ გამოვიდა. უმაწვილმა კაცებმა ერთმან-ერთს სალამი მისცეს, რის შემდეგაც დანიელ ჩაჯდა თავის ეკიპაყში, რომელშიაც წინად ედუარდო იჯდა, თვითონ ედუარდო კი თავის მშვენიერს ამაღიასთან ჩაჯდა.

ამაღიას ეკიპაყის გუჩრად პედრო იუო, ლაქიად ბელგრანოს მოსამსახურე. ეკიპაყი გაექანა ამაღიას სასლისკენ. გზაზედ ამაღიამ ედუარდოს ბალის ამბავი უამბო.

ამ დროს მალაის ეკიზას სავი ცხენოსანი წამოვიწი. რამა მათგანს გზა გადუჭრეს მუიზას მესამე გიგეიზას კარებთან მივიდა და სთქვა მღელვარეს სმით:

— ბატონო ჩემო, ჩვენ მივიდობიანდ მოქალაქენი გასლავართ. მე ვიცი, რომ თქვენ ბატონი ბელო მოგდევთ, მაგრამ მე მაინც საჭიროდ დავინახე მივაცდილოთ სახლად და რადგანაც ეს ადგილები მიუჩუებულად ადგილებია და ცოტა ახრ არის საშიშროება იგივე ამიტომ ხე სობ ჩემოც ხე —

ეკიზაეი შედგა.

შედრო და ედუარდოს მოსამსახურე დაატყვედენ ცხენოსნებს და მოიმარჯვეს იარაღებისა და სხვათა მიხედვით

ედუარდომაც შუბიანი ჯიხნი მოამოსადა.

ინტე მოსაუბრე ცხენოსანი მანტიასი იყო. ვასკულები კერც ამალამ და კერც ედუარდომ კერც იცნეს. ბელოს იხუჯ ამალია მისკდა, რომ ეს ის კაცო უნდა იყო იგივე იყო რომელიც ბაკვირვა მან ბალში თავის მშვენიერებით. მან ბალში ბაკვირვით უცნობს კაცს კერც არ გაეთავებინა ლაბანაკი, რომ ამალიამ ედუარდოს აჩუქა უფროსი უფროსი.

— ეს მარინოა...

— მარინო!... სთქვა ედუარდომ ბაკვირვებით...

— დიად, მარინო... გიჟი...

— არა, გიჟი ვი არ არის, მერალი კაცია, ბატონო, დანიას ედუარდომ ხმა-მალა, ეს ქალი თქვენს დასმარებს, არა საჭიროებს, ამისათვის გთხოვთ თქვენის ამსანაკებით უკან წაბმანდეთ.

- მე თქვენ არ გელაზაკებთ, ბატონო ბელო.
- აქ ბელო არავინ არის, აქ არის ბატონი...
- ჩუმიად, ღვთის გულისათვის!... უთხრა ამალიამ, მერე

მიუბრუნდა მარინოს და უთხრა: — გმადლობთ, ყურადღების-  
თვის, ბატონო, და ამნსთანვე გთხოვთ ჩემთვის ნუ შესწუხ-  
დებით.

— ეგ მკეტის-მკეტას მე უთხრეთ, თქვენა მთხრეთ — რა  
საჭიროა სასეთის სიტყვები, სთქვა. ედუარდომ და გადაჭყობე-  
ლი კენჭაყის კარების გასაღებად, მაგრამ ამაღვამ არ გაუშვა  
და ისეკ თავის ადგილზედ დასვა.

— მე მგონია, რომ ამ ბატონმა არ იცის კაცთან თაყაზისა-  
ნი მოჭტევა, სთქვა მარინომ.

— კაცები, რომელნიც უცნობ ეკიპაყს უშალამისას გზაში  
უხვდებიან კეთილის სულისანთ არ იქნებიან!... გარკვე შედრთ,  
ცხენები, დაუძახა ედუარდომ ისეთის სახიანის ხმიო, რომ  
ცხენოსნებო იმ წამსვე ჩამოეცალნენ. შედრთაც გარკვეც ცხენები.

გთხრეთ და ის სომოთ, რომ მე არავეს წყენა არ მინდოდა,  
მაგრამ თქვენი კაომაწყენინუთა რა ცოთავის დღეში არ დამბ-  
ვიწყდება, უთხრა მარინომ, რომცნენ მანათ ინლან მან გინაც  
ენე წამის შემდეგ მარინომ მიანბრუნა ცხენო და უგანვე გაბ-  
რუნდა. რამდენიმე წამის შემდეგ ამაღვიოდა ედუარდო შევიდ-  
ნენ შინ სელი-ხელს ჩაკიდებულნი. ამ დროს ამაღია კუბნებო  
და ედუარდოს.

— დიად, ბედნიერი ვარ... და რად არ უნდნ ვალკიარო ჩე-  
ში ბედნიერება?

— ამ შემუენიერმა ამაღიაში პირველად იტყვნო მტრთუინლებელ  
კონტრისმქელა.

(შემდეგი იქნება)

## ისტორიული სურათები

(უბედური \*).

ქართლოსის ცოლის შემდეგ საქართველოს ერის ზოლი-  
ტიურის თაგისუფლების აღსადგენად მოქმედებდნენ დედა და  
ორი დანი საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზისა. როცა  
ეს დედაგაგნე მოქმედებდნენ, კაცობრიობის ცხოვრება ძლიერ  
ანკუელ-დარეული იყო. ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო  
თითქმის ყველა სახელმწიფოები, დაამხო სამეფო ტახტები და  
გასდა მარტო თვითონ სულმწიფედ. ამანვე დაიპყრო საქართვე-  
ლო, მოჭკლა მცხეთის მამასახლისი სამარა და ამისი ძმა—  
ძამა ფარნავაზისა. დაქვრივდა ფარნავაზის დედა, დარჩნენ ობ-  
დად ფარნავაზიც და მისი დებიც, რომელნიც ძმებზე უფროს-  
ნი იყვნენ. საქართველოს გამგებულად გასდა მტერი აზონი,  
«კაცი ძნელი და მრისხანე», დაუწყო ქართველებს დევნა და  
უწყალობა სოცვა. ვისაც კი ქართველთაგანს თვალში რამე ჩი-  
ნი ვაყვაცობისა ჭჭონდა, უკვლავ მოკლა და ქართველობა და-  
აწილდა. ამის შემდეგ იმის შემდეგ ნათესაობა დაიწყო და  
ამ შემდეგ უდმობედეს დროს დედამა და დებმა ფარნავაზი  
ქვე მამულის საიუვარულში აღსადგეს, და მკრმე აწამტოვან  
დაუშალეს იმას აზონის წინააღმდეგობა, რამედ სხეობითად

\*) «ივერია» № 4—ნო 1882 წ.

ამხნეებდენ იმას მოქმედების ახსარეზზე. ისინი თან მისდევ-  
 კენ იმას ყოველგან, სადაც კი მათი ყოფნა საჭიროა. ფარნა-  
 ვაზის გულში დედას რომ არ გაეღვიძებინა სიუმაწვილობი-  
 განკე უფლების მოუკარეობა, იმას იქნება არც კი მოენდომე-  
 ბინა მეუობის შოვნა. უეჭველია, ამ გვარს სურვილის გაღვი-  
 ძებისათვის, კაცის გულში დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდას.  
 «ქვევს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო», ამბობს ქართვე-  
 ლი სალხი. თუ ასეა, მაშ უეჭველია, ფარნავაზის დედამ და-  
 დებმა მიიღეს მონაწილეობა ქართველ ჩამომავლობის თემების  
 შეერთებაში ერთ მეფის უფლებას ქვეშ; იმათ იზრუნეს ქარ-  
 თველთ სალხონობის აღდგენისათვის, იმათის მეცადინეობით  
 აღსდგა მამა-პაპური საჩქმუნოება, ზნე, ჩვეულება და ენა. ეს  
 ნამდვილად ასეც უნდა ყოფილიყო. მთელს ქვეყანაზედ დედას  
 შვილზე გავლენა ჰქონია, როგორც ამბობს შაშქოვი, და ეს  
 ჩვენშიც, რასაკვირველია, ასე უნდა მომხდარიყო. და ან თ  
 გასაკვირი არ იქნებოდა, რომ შარტო საქართველო ყოფილი-  
 იყო ამ შემთხვევაში გამოირცხული.

მაგრამ ქრისტეს ქვეყნად მოსვლამდე ქართველებს არა  
 ჰქონდათ მოსაწონი საჩქმუნოება. ისინი თაყვანსა სცემდენ  
 ქართლოსის სათელავს, როგორც გაღვიძებულს მამათ-მთა-  
 ვარს, კერძს არმავს, კერძს შოთას, რომელიც ხენა-მთესგუ-  
 ლობის ღმერთად შიანდნათ; აგრეთვე ჭკრუბებს ცაციმს, ჭკაიბს,  
 არტემის ჭ ჰალონს; კიდევ ცეცხლს, მთვარეს, მზეს ჭ შვიდს  
 ვასკეკლავს—«მჩაკალს.» ამათი მსხვერპლი იყო სხვათა შო-  
 რის სისხლი კაცისა. უბრალო და უმანკო უმაწვილებს ექვსა  
 სჭრიდენ ამ კერუბების წინაშე. ეს უწყალო ჩვეულება—გულტი  
 უწყებდა და უმწარებდა გულს დედათა, ათქმევინებდა მათ მწა-  
 რე სამდურავს მამა-პაპურს საჩქმუნოებაზე. ახა რომელი დედ

არ მოინდომებდა იმ საწმინდეების ამოგდებას, რომელიც მსხვერპლად ითხოვდა იმათ საყვარელ შვილებს და იმათ კი მწარე და მდუღარე ცრემლით ატირებდა? დიად! მოიწადინეს დედა-კაცებმა და კიდევაც შეუტყალებს ქართულ ხალხს საწმინდეობა. იმათ დაიწიეს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება და კიდევაც დააგვირგვინეს თავიანთი კეთილი წადილი. კაცები უარს იყენებენ იმათ განზრახვაზე. ამით ილახოს ტავილებით შვილი არ ეშობნათ და არც აგრე რიგად გული დაეწოდათ, როცა თავის საკეთილ-დღეოდ ურმებს უელსა ჭსჭრიადენ. დედა-კაცებს კი სულის კვეთება მოსდიოდათ; კავშებით ეკსებოდათ გული, როცა უყურებდენ, რომ იმათგან ტანჯვითა და მწუხარებით ნაშობს შვილებს, მრავალს ღამეს აკვანსე უშილოებით აღზრდილთ საყვარელ ნორჩთ, ახლა უელსა ჭსჭრიად ცეცხლში ჭსწვენ. ამ გვარმა უსამართლობამ ასეთი სიმტკიცე ხსნათისა და ნებისა დანერგა დედათა გულში, რომ კაცებმა ვერ შეჭსტალებს თავიანთ მძლავრობით მათი განზრახვა. იმათ მაინც გაავრცელეს საქართველოში ქრისტიანობა.

როცა 45-სა და 60 წლებს შუა ქრისტეს ამაღლების შემდეგ საქართველოში მეფობდა ადერკი, სამცხე-კლარჯეთში მთავრობდა ქერიკი დედა-კაცი გვარად სამძივარკი. ამ დროს მოვიდა აქ ანდრია მოციქული და დაიწყო სამცხეში ქადაგება ქრისტეს სჯულისა. გაიგონა თუ არა ამ მთავარმა დედა-კაცმა, რომ ანდრის ღმერთს კაცის სხვერპლად შეწირვა დიდ ცოდვად მიაჩნიაო, დიდად მოეწონა ეს ამბავი და მაშინვე თვითონაც იწმინა ქრისტე და თავის მტირე წლოვანს შეილსაც მიაღებინა ქრისტიანობა. მაგრამ, რადგან მარტო ამათის წმინდნებით არა გამოვიდოდა-რა, მოიწადინა ქრისტიანობის ხალხში გავრცელება. მის ჩაგონებით ხალხმა მიიღო ახალი სარ-

წმუნობა. სამცხე, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი ანდრიაშ მოაქრისტიანა დედა-კაცის შემწეობით მაგრამ, საუბედუროდ, დედა-კაცისაგან დაწყობილ საქმეს მეოვემ ადრეკიმ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. შერტულ თუ არა, სამცხე-კლარჯეთში და მთელმა დასავლეთის საქართველოში მა-მა-პაპური სარწმუნოება გამოიცვალა, ძლიერ იწინა და მადლად მიაქცევა სალხი ისევე მკვლეს სჯულსუ და ძლიერად დაეცა ტუქსა სამცხის მთავარი სამშვიკარი და თავადობა. მაგრამ ქრისტიანობა მანც არ მოკვდა ამ დეჟნით. პირველ საუკუნის დასასრულს დასავლეთ საქართველოში ტუსაღად გამოგზავნულ ტროიანე იმპერატორში ეპისკოპოსი კლიმენტი რომაელი და ამანა და პონტის ეპისკოპოსმა პალმამ, ჩამომავლობით ქართველმა—მეგრელმა, და ჰმისმა შეიღმა მარკიონმა დაიფეს ქრისტიანობა სამცხე-კლარჯეთში და დასავლეთის საქართველოში. მეორე საუკუნის დასაწყისში მცხორებები ეპისკოპოსი ლიონისა (საფრანგეთშია) ირინეო ამბოზს, რომი ივერისში სხვა ქრისტიანობა აჩისო.

მაგრამ ამ დროს ქართლ-კახეთის ქართველები ჯერ ქრისტიანობას არ აღვიარებდენ. სამცხე-კლარჯეთის დედა-კაცმა მეტადინეობდენ ქრისტიანობის გავრცელებას ამ მანრებშიც, რადგან ეს საქმე იმათ თავიანთ მოკვლეობათ მიიღეს. კაცების წინააღმდეგობამ ვერ მოდრეკა და ვერ გასტენა სიმტკიცე იმთის განხრახსვისა. იმათ მანც დაამხვეს ყოველგან საქართველოში წარმართობა და შემოიღეს სჯულად ქრისტიანობა. ეს ამბავი მოკვდა 318 წლის შემდეგ ქრ. ნდინადებისა, მოციქულთა სწორის ნინოსაგან, რომელიც, როგორც ამტკიცებს ბ. ჩუბინოვი, ჩამომავლობით იურა ქართველი—ჭანო-მეგრელი 1).

1) იხ. «ეცნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კავადოკიის ანუ ქანეთის მკვიდრთა მოსახლეთა», გვ. 11, 12, 13.

— ენა გზისა კი თქვით უნდა იმას, რომ ნინო ქართველი იყო მტყუან იყო, მას რომელს უნაზე ქადაგებდა? იმენ კარგად იცოდა და, ამბობს ცადმონაცემი, ბერძნული და სებრატული; ქართული ენის ცოდნაზე კი, მარტალია, ანაბრის რა ხატქვამი, მაგრამ იცით რათა? ამისათვის რომ ქართული ენა იყო მისი სამშობლო ენა და ახლა რაღა თქვი უნდა დათბ მწერალთა რომ ნინო ქართველი იცოდა და, დამტკიცება იმისი, რომ ქართველმა ქართული ხტოსო, სწორეთ რომ სასაცილოა, დაღუ ნუტარმა იმისი ვარგად იცოდა ქართული ენა. რომ არ სცოდნოდა, ვერც იქადაგებდა ქართველ ხალხში და ან კი რატომ უნდა სცოდნოდა? იმისი დედ-მამანი იყვნენ კავადოკიის მცხოვრებნი და აქ ცხოვრებდნენ ღაზები — ქარაუელები. ასე ამტკიცებენ მეცნიერნი, რომელნიც იკვლევენ კავადოკიის ძეგლებურ მცხოვრებლების გვარ-ტომობას.

მაგრამ სსქმე ის რომ ცრუ ვარს, ბტრდა ნინომ ქართველი ენა კარგად, თუ არა. ჩვენთვის აქ სასიქადულოა, რომ ის იყო ქართველი შთამომავლობისა და მან გვარტელს სა-ქართველოში ქრისტიანობა. აი ის ვარებობანი, რომელთაც გამოიყვანეს იგი სამისიონერო მოქმედებაზე. მისი დედ-მამანი რომ ბრად შესდგნენ, ის წავიდა იერუსალიმში იქვერ შე-ისწავლა კარგად ქრისტიანობა, მეტე წამოვიდა სამშობლო-საქართველოში მტკიცე განზრახვით, რომ დანერგოს ერთ-სიხალსორც ხალხში ქრისტეს სწავლა. ის ბრვიდა მცხეთაში 5 აგვისტოს. ექვსამ თვისას იყო მარტო კერძო დედობა, ხალხი იქ მიდიოდა დღეობაზე, ნინოც მქ წავიდა, აქ იმან ვა-იცნო მეფე მიწიანის ცოლის, სეფე-ქალი (Фрейлина), სახე-ლად შრომანს, რომელმაც სთხოვა მოდი, სასახლეში და იქ იტ-ხოვრე, მაგრამ ნუტარმა ნინომ არ ინება. ამ საღამოს იქ შეი-

ესიზნა მეფის ძეგლის ცოლს ანასტასიას, მეტე გაცივნო მცხეთელ ურბის მღვდლის ქალი სიდონია და კიდევ სხვანიცა, მაგრამ ანასტასიას არ მოჰშორდა. მასთან იცხოვრა იმან ცხრა თვე. ამ დროს განმავლობაში შეისწავლა მცხეთელების ხასიათი და თავის სახლის პატრონის ცხოვრების გარემოება. როცა შეიტყო, რომ ანასტასია უშვილო არისო, იმან უწყალოდ და გახსნა შვილადება მისი. შეიტყეს მისი ასეთი ექიმობა მცხეთელებმა და დაიწყეს მასთან აკად-მეოფების მოყვანა საწამლოდ. ის ყველასა სწამლობდა და არჩენდა. ამ ხელობით იმან შეაყვარა ხალხს თავი. იმას ახლა ყველანი პატივსა სცემდნენ. მოდიოდნენ იმასთან და ყველაფერში რჩევასა სთხოვდნენ და იმასაც არ ჭმუხდა მათთვის თავისი ცოდნა. სამ წლის განმავლობაში იმან ასე შეიძინა ხალხი, რომ ყველა მის ღმერთსა ჭყვიდა. მაგრამ უფრო მომეტებულად ის დედა-გატებს, იხლოვებდა. ვისაც კი რაიმე სიკეთე უფრო მთავანს, ყველას მხოლოდ ისა სთხოვდა, შრომის ფასად, რომ სწამდეთ ქრისტელმეტო და ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობელი, ამ სახით იმან 12 დედა-გატი დაიმოწაფა, და ხალხის გულისც კეთილის ყოფით მოიგო და მოინდო. ის ახლა ყველას მიანდა წმიდა დედა-გატად. თვით მეფე მირიანი ეუბნებოდა იმას, რომ შენ ახმაზ კერპის შვილი ხარო. ასე რომ გაიერთგულა ყველანი: მეფე, დედოფალი, დიდებულნი და დაბიო ხალხი. ის გამოდის ქრისტიანობის საქადაგო ასპარეზზე. თანა ჭყავს თორმეტი დედა-გატი; შრომანა ანასტასია, სიდონია, ძეგლის ცოლი და სხვანი და მხედრ ქადაგებს ქრისტეს სჯულს. მეფე მირიანი და სამეფოს დიდებულნი გაცნი მას ემტერებიან, მაგრამ დედოფალი, მანა და სალომე უკარმოდელი მას უსარჩლეობიან და გატებს ნებას არ აძლევენ, რომ რაიმე აზრონ ნინოსა

და იმის თაჩმეტს მოწაფესს იწყებს ბრძოლას. დედა-კაცებსა და კაცებს შორის. შამა-კაცებს არ უნდათ, რომ საქართველოში ქრისტიანობა გაგრძელდეს, მაგრამ სამ წლის განმავლობაში კაცების წინააღმდეგობა გასტეხეს დედა-კაცებმა და მოაქცირეს ქრისტეს სჯულზე არამც თუ ხალხი, არამედ მეფეცა და სამეფოს დიდებულნი. ვანნიც დედა-კაცებმა გაიმარჯვეს მცხეთაში. შამა-კაცი დატოვრნილდენ იმათ სურვილს. დედა-კაცებმა მოჰსადეს მეფეს წარმართობის ტვირთგინი და დაჰსურეს ქრისტიანობისა. სწავლა ქრისტესი აღვიდა საქართველოს სამეფო ტახტზე. ქრისტიანობა გამეფდა მცხეთაში, მაგრამ ეს არ გამართდა. საჭირო იყო მისი გაგრძელება საქართველოს მასრებშიაც. დედა-კაცებმა დაიწყეს აქაც მხნედ და მტკიცედ მოქმედება. მიზანი მეფის შვილის (რეჟის) ცოლმა მოაქცია ქრისტიანობაზე იოანის ხეობაში მცხოვრები ქართველი ხალხი და აღმართა უჯარმაში ჯვარი ქრისტესი. შამავე დროს მივიდა ქიზიყში წმინდა ნინო და აქაური დედოფლის სუჯის შემწეობით გააქრისტიანა ქიზიყელები და დანარჩენი კასეთის ხალხი, და რადგან კასეთი ძალიან მოეწონა, ის აღარ წამოვიდა მცხეთაში, იმან აღმართა საკანად სოფელი ქიზიყისა ქედელი. აქედგან დაწერა წიგნი და გამოუგზავნა მეფე მიზანს, რომ კასეთი მთლად გააქრისტიანეთ. წერილი გამოატანა ქიზიყის დედოფალს სუჯის. ეს შეჰდა ცხესუნ და მოადგა თავის შამალით მდინარე ანაკის შირსს. წყალი აღიდებელი დაჰხვდა, მაგრამ არ დაერიდა მდინარის დედას, არ შეუშინდა, ჩაბლოშო მის ცხენს და გასტერა მცხეთაში: მრულდა მეფეს გამარჯვება და მთელს საქართველოში ქრისტიანობის სამეფო ტახტზე აღსკვლა.

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ დედა-კაცებმა ქრისტიანობა

განგრძელეს საქართველოში და მეჩემ დაწყებდნენ. სრულიად  
 დატოვა იმათ შორისდამქს შთამომავლობისათვის სასწრაფოდ  
 გადაცემა წმიდა-ნინოს ცხოვრებისა. ნინოს რომ შეატყეს  
 გადასახლების მოახლება საიქოს, შეიყარნენ მისნი თანა-მშრო-  
 მელნი დედანი და ჰკითხვიდნენ მას დაწყებდნენ ცხოვრების  
 გარემოებს. ბატონი-შვილიც რევის ცოლმა მითითსოვა სა-  
 წერ-კალამი და აღწერა მისი ცხოვრება და ღვაწლი და ასე  
 ჩაგდო დედა-გაფთხევა საბერკველი ქრისტიანული მწიგნობრო-  
 ბისა ქართველ ხალხში.

ამ სახით ძველებური სწწმუნოება მთიანეთს კერძები და-  
 ემსგნენ წინაშე ქრისტეს ჯვარისას სამეფოსი და ქართველ ხალ-  
 ხის მივარკვლად მიბღეს ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობელი მარ-  
 რიამი. მიიღეს სწწმუნოებრივ დოღმატად რომ დედა-კაცი  
 მარამი არის ქვეყნის პატრონი და სამოქალაქო ცხოვრების მტკე-  
 ლი. უკვკელია, რომ თუ დედა-კაცს წინათუგასე არ უყურებდნენ  
 ქართველები, ასლა წმინდა ნინოს ქადაგებით ქართველი ხალხი  
 ასე ძაღუ არ შეიცვლიდა პირს საზოგადოდ დედა-კაცზე და მას  
 არ მიიღებდნენ თუკი სალაცაჲ სატად. ასლა იგი არის საქარ-  
 თველოს მეფის წინაშე მღვთისა, სასოება და იმედი ქართვე-  
 ლი ხალხისა. გასაჭირს დღესა. ერთის სიტყვით, დედა-კაცი  
 ღვთის-მშობელი საქართველომ იცნო პატრონად და მტველად  
 სამშობლო ქვეყნისა, მამა-კაცი წმინდა გიორგი — მკალათად  
 მხნეობისა, ვაჟ-კაციანისა და გმირობისა ქართველ ხალხს თაჟ-  
 ვის-უფლებისა, ენისა და სწწმუნოების დაცვისათვის. და რა მათ  
 ამის შემდეგ სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობა, საწმ-  
 წმუნოებისა და ქვეყნის დაცვა მტრისაგან იშეუქმნა მოქალაქე-  
 ბად, როგორც კაცისა, აგრეთვე დედა-კაცისა. ამის მიხედ-  
 იყო ის, რომ ქრისტიანობას მიღებით საქართველომ გადაი-

ტენს სწავსეთი. ჩვენდა საქართველო დიდსი უკანასკნელში  
 სწავსეთი და უწყო მას. განუწვევტელანბნობდა. ამ ვარემოე  
 ბამ გაჭყო ქართველთ დედა-კაცებო და ვაცების იმით განსაწი-  
 ლეს შრომა სამშობლო ქვეყნის ქეთილადღეობისათვის. ვაცებო  
 მა მჩაღეს თავისათვის ქვეყნის მტრისაგან მსხვილით დატვი-  
 მოკალეობა, დედა-კაცებო — თჯახური და მოქალაქობრივი გე-  
 თილად ცსრკრებისა. ასე ამ სახით უნებლიად შეიქმნა ქარ-  
 თველნი დედა-კაცი მოქალაქობრივი ცსრკრებეს ბურჯად და სვე-  
 ტად. მის მოკალეობად შეიქმნა ქართველთ თჯახობის სვია-  
 ნობა და ბედნიერება. რადგან სამშობლო ქვეყნის ბუდის ტვირ-  
 თვა გაიყო რადა, ამისათვის დედა-კაცი უამოვიდა ახალ-თაო-  
 ბის განათლების ასწავლებს და უნდა გუელ-წიბველად აღვიან-  
 რათ, რომ იმათ სასულეირო წოდებასუ, მეთით უნთ თავად-  
 აზნაურობასუ ნაკლები სმისა-ური არ მიუძღვიოთ. წინაშე სამ-  
 შობლო ქვეყნისა. ამ უზრის დასამტვიცებლად ახლანკენა გვსურს  
 ავსსნათ შემდეგი კითხვები! შეკლადინენ თუ არა დედა-კაცებო  
 მამა-კაცებს ერის განათლებაში და სამშობლო ქვეყნის ბოლი-  
 ტბურად გაძლიერების საქმეში.

მატიანეთაგან ხჩანს, რომ ქართველი ხალხი რადა იყო  
 გაყოფილია ერთი ნაწილი, ხელ-მარჯვე, მუდამ მტრის ელმუ-  
 ბოდა, მეორე — ხენა-მთესველობას. მისდევდა, რომ ქვეყნას არ  
 მოჭლებოდა სასრდო. მასსადამე ასაკში მოსულ მამა-კაცობ-  
 ბას სრულიად არ ეცალა წიგნის შეხწყლისათვის: ამის გამო  
 თავად-ზნაურობის ასალ-მოზარდ შეიღებისა ცტელა ქალების  
 აღმზრდელნიც იუკენა სასულეირო წოდება და დედა-კაცობის  
 ამით ხელში იყო ქართველ ხალხს სწავლა განათლების საქმე  
 მუთუ თავადსა, თავადი მტკესა, თავადი-თავადსა, აზნაურთა  
 ნაურსა და გლეხთა გლეხსა უზრდიდნენ შეიღებს სამხედრო საქმე

მეში. დედობელი, თავად-აზნაურების ცოდვები და გლეხთ დედა-კაცები კი განაჯივითებდნენ სწავლაში ერთმანერთსა, შვილებსა და ქალებს. «ხელი სელს იბანსო», რომ იტყვიან, იქნება, ამაზე იუოს ნათქვამი. «ხოლო მისცა მეფემან მირდატი,» ამბობს. «ქართლის ცხოვრება», მე თვისი ვახტანგი გორგასლანი საუკმაგ სპასპეტსა აღსაზრდელად, «რამეთუ წესი იყო, რათა შეიღნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა იზრდებოდნენ.» (იხ. გვ. 110). მასთან ერთად იყო შესრდილი აგრეთვე არტვან ერისთავი და იყო მეფის «მუძეს-მტე.»

ეს ძველებური წესი აღზრდისა იმაში მდგომარეობდა, რომ უმწვილს წერა-კითხვას დედა-კაცი ასწავლიდა, სამხედრო საქმეს კი ამ ასწავლებული დედა-კაცის ქმარი.

ამაზედ არის ნათქვამი, რომ «წიგნი დედა-კაცის საქმეა და არა მამა-კაცისაო.» მაგრამ ქართველი ხალხი იმისთვის კი არ ამბობდა, წიგნი დედა-კაცის საქმეა, რომ მისი სწავლა ვითომც კაცების მოკალეობად არ მიაჩნდა: ამ გვარი თქმულობის მაზესი მხოლოდ ის იყო, რომ დედა-კაცები ასწავლიდნენ წიგნს თავადსაც, აზნაურსაც, გლეხსაც, ქალსაც და ვაჟსაც. არის სათუძველი ვითეცოთ, რომ სახეროდ და სამღვდელთაც, თუ არა უკვლას, მრავალს მჯინც არის, დედა-კაცები ამზადებდნენ: ისინი ასწავლიდნენ ქართულს წერა-კითხვას, დავითს, სასარებას, სამოციქულოს. მაგალითად სახელოვანი გიორგი მთაწმინდელი დედა-კაცისაგან იზრდებოდა სამცხეს ტაძრისის მონასტერში, რომელიც დედათ მონასტერზე იყო. ამ მას ასწავლიდა მამიდა თეკლა. მერმე ცოტა რომ წამოიზარდა გიორგი, ასწავლიდნენ მას ბერებმ და მათ შორის ილარიონ თუდაელიცა. ბოლოს აქედანაც გაიუკანეს ის და მისცეს აღსაზრდელად კიდაცა ფეოფანა კოკიკის<sup>1)</sup>. ამ კაცის ცოდმა გი-

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 215.

ორგი წაიყვანა კონსტანტინეპოლში და მის შემზრუნველობის ქვეშ ის სწავლობდა ბე-მეტნიერებს თერთმეტი წლის განმავლობაში. ცხადია, რომ წიქს-გოთსკეს და სწავლა-მეტნიერებ მართლმად-გაცემის დაკეთების დაკეთების არ შეადგენდა იმას სწავლობდნენ კაცებიცა, მაგრამ მათი მასწავლებლები უმაწვილობაში იყვნენ დედა-კაცები. პირველ-დაწყებითი სწავლა მათს ხელში იყო. ჩვენ ძველებურ ქართველობას კარგად ესმოდა, რომ უმაწვილს ისე ვერავინ აღზრდის, ისე ვინც ვერ მოუვლას და ვერ გაწვრთნის, როგორც დედა-კაცი ამისათვის რომ დედა-ვაცს დიდი გავლენა აქვს უმაწვილზე. ამ ჭეშმარიტებას ევროპაში მხოლოდ ასლამიანნი და ჯერ კიდევ არ არის იგი ცხადობაში განხორციელებული. მხოლოდ სტრანგეთს ასლამიანად მოუვიდნია ხელს მისთვის. მათ სკოლებში ქალები მხოლოდ ასლამიან სწავლიან. ძველებურს დროში ასე არ იყო იქ, ევროპაში. ჩვენში კი ეს ჭეშმარიტება ძველის-ძველადგანვე მიღებული ყოფილა. თითქმის არა გვეყავს არც ერთი სასულიერო მეთე, რომელსაც რომ წიგნი დედა-კაცისაგან არ ესწავლოს, რომ მის ზონებას განსწავლობა და პოლიტიკურს ნერვს მათს გვამში დედა-კაცების მეტადინეობით არ ჭქონოდეს სექსუალ გავლენა. — იმათ დიდი გავლენა ჭქონდათ მათს მოქმედებაზედაც და ქვეყნის ბედზედაც. საქართველოს მატინანენი, მაგალითად, მრავლითხრობის, რომ ჩვენს პირველ მეთე თარხნაჟანი, როგორც უკვე ვსთქვით, აღსანიშნავს მისმა დედამ და დებმა. მეთე განტანგ გორგასლანი მოქმედებს თავის დედისა საგდუსტ დედოფლისა და დის სვანანძეს დარიგებით. «კითხვითა დედისა შენისათა გამოიჩინე ერთი ვინმე ჩვენგანი წინამძღვრად სხვისა ჩვენისა», ეუბნება იმას ჯუანშერ სხვისმეტ, და ჩვენ წარვიდეთ და გიძიოთ შერი ოგსთაგანო; ხოლო შენ იყავ ში-

ნს და განსებდნე შეიფარდნათ. ამ რჩევასუ ვასტანგი დედას  
 ვეითხებდა. მკრძმ, როგორც ვეტუობა, სალკანო რჩევასი არც  
 დედა და არც და სკრანძე თანახმა არ გახდნენ. ამის შემდეგ  
 ვასტანგი სწერს ანდრეძს და აძლევს დედას თუ ომში მე მომ-  
 კლეს ოსებმა, ჩემმა დამ სკრანძემ შეირთოს ქმრად მიჭრან ზ  
 გაძეუდეს ჩემს მაგიერო<sup>1)</sup>. ასე, დედის ჩაგონებით ეს თანახ-  
 მს არ გახდა. ფარები ჯუანშერისათვის ჩაებარებისა და ვას-  
 ტუმრებისა ოსეთში საომრად. იმან დასტოვა სამეფოს გამ-  
 ბეებლად თვისი დედა საგდუსტი ზ და თვისი სკრანძე და  
 თვითონ ჯაილასქრა<sup>2)</sup>.

კავკასიიდან გამაჩვიებულნი რომ დაბრუნდა, დედამ შერ-  
 თო ვასტანგს ცალად სპარსეთის მეფის ასული ბაღენდუს-  
 ტი<sup>3)</sup>. ერთის სიტყვით, როგორც სჩანს მასტიანიდან, მეფე  
 ვასტანგი არასაკეთებს უდელთა და უდალთა, სპარსეთში, სწ-  
 ტიოქიაში და იერუსალიმში მოგზაურობის დროსაც დედა ზ  
 და იმას თაყიბთანა ჭვავს. იმას ძლიერ უყვარს კავისი დედა  
 ზ და სკრანძე, რომელი «იყო ძლიერი და მშენიერი». ამ-  
 თც ისე უყვართ ვასტანგი, რომ მას მარტოდ არ სტოკე-  
 ბენ<sup>4)</sup>. უთველს საქმეში თან მიჭეკებან და მჩხეკელებათ არიან

არც შეიძლება ვიფიქროთ, — გუჩნდურტს და სკრანძეს  
 მეფესუ ძლიერად გაკლენა არა ჭქონოდესთ. ვასტანგის მატა-  
 რაობაში დედა თუო სამეფოს გამბეებელი ამ დროს ისინი  
 მრდიდნენ იმას ქრისტიანულ წესზე. დედა იმოდენად განათ-

1) იხ. ქართ. ცხოვ. გვერ. 115. ნომერი 115  
 2) იხ. იქვე. გვერ. 115. ნომერი 115  
 3) იხ. იქვე. გვერ. 120. სენი 115-116  
 4) იხ. იქვე. გვერ. 121, 137, 138 და 144.

დებულნი დედა-კაცნი იყვნენ, რომ მისი შვილზე გულენის ჟარ-  
 უთუბს არ შეიძლება. მას ასევე იმ სამშვილდეს ციხეში მსწავ-  
 ლულნი უბისკობლნი და მათ შემწეობით შეცადინებოს შეიტ-  
 უოს ქრისტიანობას უკეთესობა «ათამ-ფანაშობასთან» შედა-  
 რებინ. იმას ისე კარგად ესმის მნიშვნელობა სახარების ქარ-  
 თულს უნაზე გადმოღებოს, რომ ბძანებს მას თარგმნას<sup>1)</sup>. ამ  
 ფაქტს ამტკიცებს პ. იოსელიანიც<sup>2)</sup>. იქნება მართალი იყოს  
 ის ჩემი უკვიცა, რომ საგდუხტმა უფრო შვილდისათვის ათარ-  
 გმინას სახარება, ვიდრე თავისთვის. მაგრამ ეს თუნდა ასეც არ  
 უოთილიყოს, აქ შესანიშნავია ღ ღიანსა სახსოვრად ის ფაქტი,  
 რომ ქრისტიანობაც და ქრისტიანული ლიტერატურაც ჩვენში  
 დედა-კაცებმა დაიწყეს მათი შეცადინებით. აღვიდა ქრისტიანობა  
 საქართველს სპიტიო ტახტზე. გაისვენეთ წმ. ნინოს ცხოვრების  
 აღწერაც სიღონის დედა-კაცისა და სალომე უვანძელისაგან<sup>3)</sup>.  
 იქნება ამის მიზეზიც ის იყო, რომ სწავლაც განათლებაც დედა-  
 კაცების ხელში იყო და მათთვის საჭირო იყო წიგნები. სამ-  
 შობლო ენაზე, ამისათვის იწყეს იმათ წერაც და მათი ბძა-  
 ნებით ქართულ ბერებმა საღმთო წიგნების თარგმნაც. აწამც  
 თუ დედა-კაცებო ტახტის მიქმკვიდრეთა და სხუებს წერა-გით-  
 ხვას ასწავლიდნენ, ისინი ჭბატრონობდნენ და იცავდნენ იმათ კი-  
 დტვან მეფეო გიორგი I-სა ზრდიდა მისი მამიდა გურანდუხტი.  
 ლიპარიტ ორბელიანმა გიორგი რომ ძალად წაიყვანა თავის  
 სახლში სამხედრო და საზოლიტიკონ საქმეებში აღსაზრდელად,  
 იმას საპატრონობლად თან გაჭყვას გურანდუხტ დედოფალი.

1) იხილეთ ქართლის ცხოვრება გვერდი 110.  
 2) იხ. Описание г. Тиф., გვერდი 96.  
 3) იხილეთ ქართლის ცხოვრება გვერდი 86.

შემდეგში, როგორც შევეჩინებოთ მოვიხსენებთ, ლეპარტი ამან დასტურებინა თავადობას და, მაგრამ მეოთხეს, თავის ძმას მიხ-  
 ცა ხელნი<sup>1)</sup>. აგრეთვე დედისაგან არის გაზრდილი მეფე  
 გიორგი მესამე, შამა თამარ მეფისა, ის გაზრდა დავით აღ-  
 მაშენებელის ასულმა, თამარმა, ეს სასულთვანი მეფე ძლიერ  
 მადლობელი იყო ამ თავის გაზრდელისა. როცა სომხეთში  
 დაამარცხა მუსულმანების (ამიერები და ანის ქალაქში თავისი მომ-  
 ხრე კაცი დააყენა მმართველად და დაბრუნდა საქართველოში,  
 მაშინ იმას მიეკებნენ, როგორც მტერსუ გამარჯვებულს: ქა-  
 თალიკოზი, თეილასოფოსნი, თავისი ცოლი ბურდუსანი და  
 გაზრდელი თამარი. აქ ის პირველად მოვიდა თავის გაზრდელ-  
 ლისა მამიდის წინაშე და თავისი ჭსტა. რის გამო სიხარუ-  
 ლით თამარმა იტონა, ეტყობა. გიორგი მეფე თავის ჭკუთ  
 გამჭრისობას, პოლიტიკურად ქცევას და საქმის ცოდნას, ქვეყ-  
 ნისთვის ვითილად მოკლას და მუსულმანების ამიერებთან თავის  
 მედიდურად და მეფურად დასტურას, ყველა ამ ცოდნას, თავ-  
 ვის გაზრდელს მიაწერდა. ასე რომ არ უთავილიყო, ის თა-  
 ვის მამიდას პირველად მარ მოსაუბრობდა. აქ ის არც ქათალი-  
 კოზსა და არც თავის ცოლს მსუთ ზატივს არ ამღევს, რო-  
 გორც თამარს. მამიდასთან ამბოჯის-ყოფის შემდეგათ, ამ-  
 ბობს მატონე, ის აურცხვენჯღითა პირითა და ასოჯანითა სა-  
 ხითა გარდასენა ცოდნას და ცურცათ<sup>2)</sup>. ივერიის გიორგი  
 გიორგი მეფე უსამართლოდ მოიქცეოდა, ასეთი ზატივი  
 რომ არ ეცა თავის გაზრდელისათვის და თამარი მართლაც,  
 ღირსი იყო ამ გვარის ზატივისა. ის ნამდვილი ქართველი ქა-

1) იხ. ქართლის ცხოვრება გვერდი 227  
 2) იხ. იქვე გვერდი 268

ლია და დედას. ის ცოლად ჰყავდა შირვან-შაჰს, სჯულით მუსულმანს, მაგრამ ქართველობა, თავისი დედ-მამის ენა, სამშობლო ქვეყანა და სარწმუნოება მან ქმარს არ ანაცვალა, არ დაივიწყა. ის უნერგავს თავის შვილს აღსართანს ქართველების სიუკარულს. ქართველი დედის ბუნება სძლეეს მუსულმანი მამის ბუნებას. აღსართანი სულით და გულით გამსახურება სა-ქართველოს კეთილ-დღეობას; სისხლსა ღვრის ომში მის მტრებთან. ამისათვის მეფე გიორგის უყვარს ის, როგორც ძმა, «რამეთუ მამიდისა მისისა თამარის ძე იყო»<sup>1)</sup>. ის თუმცა იყო მთავარი შაჰი-შირვანისა, მაგრამ ისე უყვარს დედული სამშობლო, რომ სცხოვრებს ხან თბილისში, ხან თავის სამფლობელოში. მის დედას თამარს თბილისში თავისი სასახლე ჰქონდა და სამეფო სასახლის პირის-პირ. ამ სასახლეში სცხოვრებდა აღსართანი, თბილისში ყოფნის დროს. იქნება ამ სასახლეში აღზარდა თამარმა მეფე გიორგი და თავისი შვილიცა. იქნება აქ ჩაუნერგა დედამ შვილს ქართველების სიუკარული და აკრეთვე ჩააგონა მას, რომ ქართველებთან ერთობა და ძმობა ჰქონოდა. «სე ნაყოფით იცნობებაო.» თამარის ჭკუისაგან მოსალაღნეფი იყო ასე მხნედ შეცადინებო ქართველთ დიდებისა და გამდიერებისათვის. იგი იყო შვილი საქართველოს უძლიერესი მეფისა და ვით აღმაშენებელისა. თუ ვისმეზე შეიძლება ითქვას: «მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოჩნახეო», — უფრო სამართლიანად შეიძლება ეს ითქვას და ვით აღმაშენებელის შეილებაზე. მამასავით ისინიც ქვეყნის აღმაშენებელი არიან. თამარმა ქართლში «აღაშენა თიღვას ჯვარის მოჩასტერი, გუმბათიანი, დიდ-მშვენიერი, კეთილად ნაშენი და მრავალ შენო-

<sup>1)</sup> იქვე გვერდი 272.

ბიანი»<sup>1)</sup>. ის იყო დღათ მონასტერი. ის აღაშენა თამარმა ქმრის სიკვდილის შემდეგ, შეიმოსა მონოზონობა<sup>2)</sup> და დასახლდა აქ. ამ მონასტრის გარემოს ახლა მრავალი შენობების ნანგრევები იპოვება. რას მოგვითხრობენ ისინი, თუ არ სკოლის ყოფნასა? ჩვენი ეჭვი მით უფრო მართალია, რომ ყოველს მონასტერთან სკოლებიც იყო გამართულიო, ამბობს გარდმონაცემი. თუ ასეა, მაშ თამარსაც სკოლა ჰქონდა თავის მონასტერში, როგორც «ოსტატ» დედა-კაცს.

თამარსაკით იქცევა ამისი დაი კატოცა. ეს იყო გათხროვილი საბერძნეთში<sup>3)</sup>. ამ დედა-კაცმა ქმარი და შვილები უკვლანი გააქართველა. მოსხენებულ გიორგი მეფის დროსვე ის მოვიდა შვილებით და ქმრით თავის სამშობლო ქვეყანაში. მეფემ აუშენებინა მას თბილისში სასახლე თამარის შვილის აღსართანის სასახლესთან, რადგან დეიდა-შვილები იყვნენ. ისინი აქ დასახლდნენ სამუდამოთ. იმათ მისტეს კასეთში აგრეთვე დიდი მამულები და ციხე-ქალაქები. ამ ქალის შთამომავალნი არიან ახლანდელნი ქართველთ თავადნი ანდრონიკაანი, რომ ეს ასე იყო, ამას ამტკიცებენ სხვა მწერალნიცა; აწრის გარეკა მხოლოდ იმაშია, რომ სხვები არ ამბობენ, — ანდრონიკანთ დავით აღმაშენებელის ასულის კატოსაგან ჩამომავლობას. იმათი აწრი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ანდრონიკანი ბაგრატიონების ნათესავნი არიანო. მაგრამ ეს როგორც ვინდა იყოს, ჩვენ ამის დაწვრილებით გამოკვლევას არ შეუდგებით. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ ამ ფაქტ

1) იხილეთ გეოგრაფია ვახუშტისა, გვერდი 264.

2) იხილეთ ქართლის ცხოვრება გვერდი 264.

3) იხილეთ იმავე წიგნში გვერდი 271 და 272.

ტყე უუკრადება მიგვექცია ქართველი ქალებისა და გვეთქვა, რომ ძველებური დედა-გატები არა ჰგვანდნენ ახლანდლებს. ახლა ქართველი ქალები უცხო ტომის კაცს ჰმჩად რომ შეერთავენ, ანამც თუ თავიანთ ქართველობას ივიწყებენ, ანამედ მტრად უხდებიან იმასაც და ქართულს ენასაც. ისინი მეცადინეობენ ქართველებისა და ქართველთ ენის დამხობას. არ იქცვიან ისე, როგორც იქცეოდნენ ძველს დროში ქართველი ქალები. მაშინ, იმ ნეტარს ძველებურს დროს, როცა ქართველი ქალი უცხო ტომის კაცს გაჭყებოდა, არ ჰგარგავდა არც თავის სარწმუნობას, არც ენას, არც ქართველობას; ეძებდა სამშობლო ჰქვეყნის კეთილ-დღეობას, ესარჩლებოდა ქართველებს, თუ ვისმეს მათგანს ნახავდა თავის ჰმრის ჰქვეყნაში მისულს. ასე იქცეოდა მაგალითად რუსუდან დედოფალი, დაი მეფე გიორგი მესამისა. ის იყო გათხოვილი მცირე-აზიაში და ჰყავდა ვიღაცა მაჭმადიან სულთანს, როგორც ამბობს «ქართლის ცხოვრება» 271 და 292 კაბადონებზე. აგრეთვე ესარჩლებოდა ქართველებს მცირე-აზიის სულთნის ვიასდონის ცოლი თამარი, რომელსაც თათრები «გურჯი-ხათუნს» ეძახდნენ <sup>1)</sup>. იმას ჰმარი სიკვდილს უქადის, მაგრამ ის მანც არ იშლის მმათათვის წასარჩლებას. ის ჰრისტიანობს; იმას ოთახში უკიდია სკტი ჭკვედრება ღმერთს ჰრისტიანულად <sup>2)</sup>.

რუსუდან დედოფალი, «სულთანის ცოლ-ყოფილი», თავის მმას, გიორგი მეფეს, შეიღსაც უზრდის და დიბლომატობასაც უწევს. ის ზრდის სამშვილდოს ციხეში სახელოკან თამარ დედოფალს და მის ჰმარს დავით სოსლანს. მაგრამ, რო-

<sup>1)</sup> იხილე ქართლის ცხოვრება გვერდი 356.

<sup>2)</sup> იხილე იქვე გვერდი 366 და 367.

ცა საჭიროება მოითხოვს, ის გამოდის თავის სსსახლიდგან ღერკვა სახელმწიფო საქმეებში. 1162 წელს, როცა ამისმა მამ გიორგი მეფემ დაამარცხა მცირე-აზიის ემირები და სულთნები და ამით მოიმდურა სამაჭმადიანო ქვეყნები, მაშინ რუსუდანი გაუკრივა ამ საქმეებში. სულთნებმა სთხოვეს ჩვენს მეფეს შერიგება. ამ თხოვნასე მეფემაც თანხმობა განაცხადა. დაიწყო მოლაპარაკება შერიგების პირობებზე. მეფემ დიპლომატად დანიშნა თავისი დაი რუსუდანი, ამისათვის რომ იმან კარგად იცოდა აზიის სულთნების წესი და რიგი <sup>1)</sup>). დიდებული მანდილოსანი დატრიალდა ჯარასაფით: შეარჩია მახსუბარნი და ასე დაამშვიდა ჩვენცა და იმათი ქვეყნებიცა.

რას ამტკიცებს რუსუდანის დიპლომატად დანიშვნა, თუ არა იმას, რომ ამ დროს კაცთაგან მასზე არც ჭკუიანი და არც სამეფო საქმის მცოდნე არავინ მოიპოვებოდა საქართველოში? დიად, მატანე ამბობს, რომ მან კარგად იცოდა აზიის სულთნების წესი და რიგიო. იცოდა—საიღამ? განა იმისთვის იცოდა, რომ ის სულთნის ცოლ-ყოფილი იყო? მე არ ვყოფ უარს: იქნება იმასაც ჭკონდა მის სწავლა-ცოდნაზე გაკლენა, მაგრამ არ არის საფიქრებელი, რომ ყოველი სწავლა მას ქმრის სელში მიეღოს. «ქართლის ცხოვრება» ამბობს, რომ ის ძლიერ განათლებული ქალი იყოვო.» რუსუდან დედოფალი, ყოვლითა სიბრძნითა აღსაკვე, მოქმედებდა: აქთ ბაგრატიონთ გვარ-სეობითა აწყობდა რიგთა სახლისათა და ქვემოთ <sup>2)</sup> სვარასნისა და ერასისა სულთნთა სძლობით გამეცნიერებული, მუნებრივთა სასიობათა და შეებათა მოქმედებ-

<sup>1)</sup> იხილეთ იქ უ გვერდი 291.

<sup>2)</sup> იხილეთ ქართლის ცხოვრება გვერდი 293.

დალ. აიგივე ისტორიული აღწერა, 293 გვერდზე, ამბობს რუსუდანისაგან აღსრდილს დავით სოხლანზე: «თავის მოსგლის (საიდგან?) ერთ წლის შემდეგ დავითი ისე წაემჯობინა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და კვირცხლსა, მოასპარეზესა და სელოსანსა, ყოველის-ფერში განვითარებულ მწიგნობარსა, რომ გასაკვირია, შინათ ვინ ყოფილა ამისი მასწავლებელი და თანა მოსწავლე, და თუ გარედგან საიდანმე გამოქცევას სწავლა, მაშ სჩანს, იმის მასწავლებელზე უკეთესი მეცნიერებაში განვიყარებულნი კაცი აღარავინა ყოფილა ქვეყნისა?» უპასუვლია, რომ ამ სიტყვებით მატთანე აქებს რუსუდანს, რომელმაც აღზარდა თამარი ღ დავითი. ის მართლაც, ასეთი განათლებული ქალი რომ არ ყოფილიყო, კერძ გაზრდიდა ისეთს მოწაფეს, როგორც იყო საქართველოს მასწავლებელი თამარ დედოფალი.

რუსუდანსავით მცოდნე და გამჭრიახი დედა-კაცი თითქმის სხვა აღარავინ მოიხსენება ჩვენს მატთანეში. იქნება მასზე უფრო განათლებულნი და მცოდნენი მანდალოსანნი კიდევ ბევრნი იყვნენ ძველს დროში, მაგრამ მწერალთ, საუბედუროდ, არ მოუხსენებიათ. ვიცი მხოლოდ ერთი პირი კიდევ, რომელიც თუ არ აღემატება რუსუდანს, ნაკლები აღარ არის. ეს არის ბექა დიდის ჯაყელის ცოლი ვახახი. ის იყო ღვთისაგან გამოგზავნილი ხალხისათვის ნუგეშის-მცემელად. მაგრამ მის საქვეყნო მოქმედებას ჩვენ მეტე ავსწერთ, ახლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ამ ვახახმა და მისმა ქალმა ნათელამ აღზარდეს სახელგანთი საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალე. 1289 წელს მეფე დიმიტრი თავდადებული მონღოლებმა რომ მოჭკლეს, მაშინ, ჯერ მცირე-წლოვანი, გიორგი

დამ ნათელამ მოიტაცა <sup>1)</sup> და მოვიდა სამცხეში დედ-მამასთან. აი აქ შეუდგნენ გიორგის აღზრდას ბექა სამსედრო საქმეში, დედა და ბებია კი სწერთინდენ სწავლა-განათლებასში <sup>2)</sup>. ვახსნი იყო აგრეთვე ობოლთა და უღონოთა აღმზრდელი. ამათ უკვლას აღსაზრდელად ვახსსმა მოიხატოთა თავის სასასლელში, თუ კი სადმე საქართველოში «კეთილი და მოღვაწე და მეცნიერი ეპისკოპოსო, გინა მონაზონი» მოიპოვებოდა და ასწავლებინებდა წერა-კითხვასა. ეს მოსწავლენი და მასწავლებელნიც იმის სახლში უკვლანი იმისივე ხარჯით იკვებებოდნენ. ჭკვენიისათვის ამ სასარგებლო მოქმედებას ვახსსმა მაშინ უფრო მოუმატა, ამბობს მატთანე, როცა მას მოუკვდა ჭმარა ბექა <sup>3)</sup>.

დედა-კაცებმა აღზარდეს აგრეთვე სახელ-განთქმული მეფე ალექსანდრე I. ის აღზარდა «მრავლის ჭირნახულობითა» ბებიაძე ჭუნა ამირეჯიბის მეუღლემ <sup>4)</sup>.

თუ საქართველოს სახელ-განთქმული მეფეების აღმზრდელნი იყვნენ დედა-კაცები, ვილა იყვნენ ერის განმანათლებელნი? ასწავლიდნენ თუ არა ამათაც დედა-კაცები? ამ კითხვის პასუხად მე მატთანეში არაკითარი შენიშვნა არ აღმომიკითხავს. მაგრამ ვეჭვობ კი, რომ იყვნენ. ამ ეჭვს ვაფუძნებთ ხალხის გადმონაცემზე. დღევანდლამდე ქართველი ხალხი ამბობს, რომ დედა-კაცების ხელში იყო ქალ-ვაჟთა სწავლებაო. ამ მასწავლებელ დედა-კაცებს ხალხი ეძახის «ოხტატებს.» ხალხის სიტ-

1) იხილე ქართლის ცხოვრება გვერდი 425.

2) იხილე იქვე გვერდი 426.

3) იხილე იქვე გვერდი 446.

4) იხილე იქვე გვერდი 473.

აქით, არ იყო ისეთი სოფელი, რომ ოსტატ დედაკაცებს სკოლა არა ჰქონოდათ. ისინი ასწავლიდნენ ქალებს და ვაჟებს ერთად; ვაჟებს წერა-კითხვას, ქალებს ამასთანავე ტრანკვილასაც. გაზეთი «დროება» 1880 წელს მე-119 №-ში ამბობს: «ჩვენში ძველადგანვე სწავლა-განათლების საქმე თითქმის ქალების ხელში უოფილა. პირველნი გამავრცელებელი წერა-კითხვის ხელში ქალები უოფილან. უკვლას ახსოვს ის დრო, როდესაც სოფლებში და ქალაქებშიაც ზოგიერთ დაბნეულ დედაკაცებს სასწავლებელი პატარა პანსიონსავით ჰქონდათ გამართული და თვითოეული ამათგანი ათს, ოცს, და ხან მეტს შვირდებს (ქალსა და ვაჟსა) მიიბარებდნენ ხოლმე და ქართულ წერა-კითხვას და საღმთო-წერილს ასწავლიდნენ..» «სულ ძველათო, ამბობს იგივე გაზეთი იმავე №-ში, ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში, როდესაც კაცები — მამები, ქმრები და ძმები მუდამ ლაშკარში და ომში იყვნენ მტრის მოსაგებლად და სამშობლოს დასაცველად, მაშინ გავრცელება ჩვენებური წერა-კითხვისა და მწიგნობრობის საქმე ქალების მოვლავლობით მიდიოდა, და იმ დროს ჩვენში ქართული წერა-კითხვა ერთი-ორად უფრო უოფილა გავრცელებული, ვინემ ასლა არისო.» უწინდელს დროში, ამბობს ალექ. ჯამბაკურიან-ორბელიანი<sup>1)</sup>, ქალების უსტარტ მიწერ-მოწერა ერთმანერთან, უპირველესი სკეტი იყო ქართული უნის სიტყვიერებისა, იმათი მდაბიური მიწერ-მოწერა ასეთი სასიამოვნო ქართული იყო, რომ მეტად საუცხოვოდ გამოსთქმიდენ თვისსა აზრსა.» რომ დედა-კაცები ასწავლიდნენ ქალ-ვაჟთა, ამის საბუთად, გარდა იმისა, რაც ვსთქვი, მოვიხსენიებ იმ წესსა და ჩვეულებ-

<sup>1)</sup> იხილეთ ამის ნაწერში 128 გვერდი; გამოცემა 1879 წ.

ბასაც, რომელიც დღესაც არსებობს გლეხთ ოჯახობაში. ვგონებ, ჩვენში არ არის ისეთი ქართველი, რომელმაც თუ ცოტა-ოდენად მაინც არის იცის ქართველთა ჩვეულებები, არ იცოდეს, რას ეძახიან გლეხობაში «სადედოს», როცა ისინი ქალებს ისტუმრებენ ქმართან; და თუ ვინმემ არ იცის, ამათთვის ვიტყვი, რომ «სადედო» არის ფასი შრომისა, რომელსაც პატარძლის აღმზრდელი დედა-კაცი სთხოვს სასიძოს. ანუ უკეთა ვსთქვათ: დედა-კაცმა, რომელმაც ასწავლა ქალს წერა-კითხვა, მოამზადა, საოჯახოდ, ჩააგონა ქმრის ოჯახის მოვალეობა, პატრონს უწი და დაზღაბის ღირსი ქცევა, — აი ის დედა-კაცი ითხოვს სასიძოს საგან შრომის ფასსა, ესე იგი «სადედოს», რადგან მის მიერ აღზრდილმა ქალმა გათხოვების დღიდან თავისი ღონე ღ შეძენილი სწავლა და ცოდნა ქმრის ოჯახს უნდა მოახმაროს. ეს ჩვეულება დღესაც არსებობს იმ გლეხებში, რომლებსაც «ოჯახი-შივილებს» ეძახიან. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ძლიერ ჩინებული და სასარგებლო ძველებური ჩვეულება ჩვენ დროს ისპობა, ანუ სრულიად მოისპო, რისა გამო გლეხთ დედათა შორის წერა-კითხვამაც იკლო.

საიდგან წარმოსდგა ეს ჩვეულება, თუ არა იქიდან, რომ ძველებურს დროში ქალ-ვაჟთა ასწავლიდნენ გლეხთა ცოლებიცა? საიდგან აიღეს გლეხის დედა-კაცებმა ამის მაგალითი? ვინ ჩააგონა იმათ, რომ ისინი ასე მოქცეულიყვნენ და ესწავლებინათ ქალებისათვის ჭრა-კერვა და ქართულს ენასე წერა-კითხვა? უეჭველია, რომ ოსტატობა დედა-კაცებს ძველის-ძველად განეკუთვნებოდათ შეთვისებული. თვით თამარ მეფესაც ჭყვანდნენ თავის სასახლეში ქალები, რომლებსაც ზედამხედველი იყო «დასახლისა.» ეს ასწავლიდა აქ ქალებს წერა-კითხვას და ჭრა-კერვას, თუ არა, არა სჩანს მატიანიდან. მაგრამ აქ ჭკერავდნენ

ეს ქალები ეკლესიებისათვის შესამოსლებსა. თვითონ თამარც სასახლეში უსაქმოდ არ იყო. ის მუდამ სულ-საქმობდა და თავის «ხელთ-საქმარი განუიდის, და ეგ-ოდენი ფასი გლახაკთა მისცის»<sup>1)</sup>. მან შეჭკერა აგრეთვე თორმეტის ეკლესიისათვის შესამოსლები და შესწირა მათ<sup>2)</sup>.

დედა-კაცები არამც თუ შეელოდნენ მამა-კაცებს—სასულიერო პირთ—ხალხის განათლებაში, არამედ ისინი იყვნენ აგრეთვე შინ მშვიდობიანობის დამცველნი, ისინი იყვნენ ქართველთ ტომთ შორის ერთობის დამაყარებელნი და საქართველს კეთილ-დღეობისა და ძლიერების მოწადინენი. მართლაც რომ ასეთნი აყვნენ ისინი, ამას ამტკიცებს:

1) დედა-კაცი ისეთი პატივი ჰქონდათ დამსახურებული ქართველ ხალხში, რომ ორთ მტერთ ანუ მახსუბართ შუა თუ შემოვიდოდა დედა-კაცი და ითხოვდა ერთმანერთისთვის შენდობას და შერიგებას, უარის თქმა არ შეიძლებოდა. მეფესთან საომარად რომელიმე მიზეზის გამო გამზადებულნი მათ ფოთარნიც კი ხმალსა სტოკებდნენ, თუ იმათ დედა-კაცი სთხოვდა. აგრეთვე მეფე არასოდეს უარს არ ეტყოდა დედა-კაცს, თუ ის სთხოვდა პატივებას დამნაშავესათვის. აი მაგალითად: თამარ დედოფალმა მეფეურა გვირგვინი რომ იჭურთხა, იმ დღეებში დიდი აღრეულება მოჰხდა თბილისის სატახტო ქალაქში. მაგრამ ამ საქმეში დედა-კაცები გაეჩივნენ და დაამშვიდეს მათ ფოთრები. «თამარ მშვიდმან და მშვიდობის მეძიებელმან გაუგზავნა მათეოთრებს ორნი საპატიონი დიდოფალნი, რომელი იყო ერთი სვაშქი ცოქელ, მეორე კარავ-ჭაყელი, დედა აწ

1) იხილეთ ქართლის ცხოვრება გვერდი 312.

2) იხილეთ იქვე გვ. 311.

მეოთხთა სამძივართა.» ამით ჩაგონებით იმათ ხელი აღეს  
წინააღმდეგობასუ, მით უფრო დიდის ხალხით, რომ ისინი  
თავდებად დაუდგნენ, რომ არა ეკნებათ-რა. «ხოლო იხილეს-  
რა ესე განდგომილთა მათ, მაშინვე მოჭყვეს დიდებული ბძა-  
ნებასა პატრონისასა, მოვიდეს წინაშე თამარისა და დაკრძალ-  
მით თაუჯანი?სტეს, და აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მის-  
ცეს პირი ერთგულების, და ნების-ყოფისა მისისა»<sup>1)</sup>.

მეფე ქართლისა სვიმონ I დაუძინებელი მტერი იყო  
სპარსელებისა. იმან მათი ხსენება გასწევიტა თითქმის საქარ-  
თგელში. მაგრამ 1569 წელს კახა-ბერ უორღანაშვილის და-  
ლატობით მეფე დაიჭირეს სპარსელებმა ერთს ომში და ტყვედ  
წაიყვანეს, სდაც შახად იჯდა შახ-უდაბანდა. ამის დედა იყო  
ოთარ შალიაშვილის ქალბ. აი ამ დედოფალმა, ჟუითარცა წე-  
სი<sup>2)</sup> იყო ქართველთა, დაასვივა ხმალსა ლეჩაქი და წარმო-  
უგზავნა სვიმონ მეფესა.» ქართველთ ჩვეულებით ეს ნიშნავდა.  
გთხოვ შეურიგდე ჩემს შვილს, სპარსეთის შაჰს, აილო ეს  
ხმალი და ებძოდე ოსმალებს, და რომ სპარსეთისაგან აღარა  
გეკნება-რა, ამის თავდებად ჩემს ლეჩაქს გაძლეო. ამავე სვი-  
მონ მეფის ცოლმა ნესტან-დაკეჯანმა გადაარჩინა სიკვდილს.  
კასტანგ მუხრან-ბატონი, ბარძიმ ამილახორი ღქსნის ერის-  
თავი ელისბარი. «შეიწყალა დედოფალმან და ეკედრა მეფესა  
შენდობისათვის, შეიწყალა მეფემანცა და აფუცა ერთგულება-  
სა ზედა და განუტევა»<sup>3)</sup>. «განუტევა» — რათა? განა იმისათვის  
რომ მსუბუქი დამნაშაობა ჭქონდათ? სრულადაც არა! იმათ

<sup>1)</sup> იხილე ქართლის ცხოვრება გვ. 281 და 282.

<sup>2)</sup> იხილე იქვე გვერდი 28 და 520, მეორე ნაწილისა.

<sup>3)</sup> იხილე იქვე გვერდი 29.

ისე მძიმეთ აწუენანეს მეფის ცოლსა და მასსადაჲ მეფესადა, ვითარცა ქმარსა, რომ ჰატიკება არ შეიძლებოდა<sup>1)</sup>. მაგრამ დედა-კაცის შუამდგომლობა ისე მიღებულა იყო ჩვენში, რომ ჰატიკების უარ-ყოფა დამნაშავეობად ითვლებოდა. იმის დედობრივ თხოვნას ისეთი სიძლიერე ჰქონდა, რომ მეფის გარდაწვევითი ლებაც უქმდებოდა. 1634 წელს კახეთის მეფემ თეიმურაზმა მისთვის დელატობისა და როსტომ მეფის მხარის დაჭერისათვის ბარათაშვილების ცოლთა (რომელნიც თეიმურაზს მძევლათა ჰქევანდა) ცხვირ-პირის დაჭრა გარდასწვევითა; მაგრამ სვამან დედოფალმა ნება არ მისცა ქმარს<sup>2)</sup>. იგივე სვამან დედოფალი წარსდგა 1648 წელს წინაშე როსტომ მეფისა, რომელსაც მისი ქმარი თეიმურაზი ებრძოდა, მაგრამ პირველმა ის დამარცხა და მოამწყვდია თიანეთში დასაჭერად, — და სთხოვა ის არ დაეჭირა და მიეცა მისთვის გზა იმერეთში წასვლისა. როსტომმა აღუსრულა დედოფალს თხოვნა, მისცა ცხენნი და ჯორნი, წარუძღვანა ქათალიკოში და გაისტუმრა იმერეთში<sup>3)</sup>. აგრეთვე მოიქცა მეფე ვახტანგ მეხუთე, როცა ერეკლე პირველი მას ებრძოდა კახეთის ტასტისათვის. «დედა-მან ერეკლესამან მრუგზავნა მეფესა კედრება; რათა განუტე-ვოს ფარულად, რამეთუ უჯერო არს შენდა ტყვეობა და მამადიანობა ჩვენითა», ეუბნება ის მეფეს. კერც მამადის რჯულმა, რომელიც ვახტანგ მეფეს ეჭირა, კერც შაჰის თხოვნამ დაეჭირა ერეკლე და გაეგზავნა მასთან, კერც მტერობამ, კერც დაძარცხეს ძლიერება დედა-კაცის შუამდგომლობისა, რადგან

1) იხილე იქვე გვერდი 27.

2) იხილე იქვე გვერდი 46.

3) იხილე იქვე.

ჩვეულებისა გამო დედა-კაცის თხოვნის გატეხა უფრო უდიდეს დამნაშაობად ითვლებოდა. „უსმინა მეფემან და განუტევა ფარულად და წარვიდა ერეკლე თუშეთს“<sup>1)</sup>. აგრეთვე 1716 წელს კახტანგ მეექვსეს ცოლმა რუსუდანმა სასიკვდილოდ დასჯისაგან იპატივა სპასპეტი იესე მეფისა და ქათალიკოზი დომენტი, რომელთათვისაც ბაქარს თვალების დათხრა ეწადა<sup>2)</sup>.

2) დედა-კაცების მეცადინეობით ქართლი, კახეთი და აფხაზ-იმერეთი შეერთდნენ ერთ სამეფოდ. ეს საქმე დაიწყო პირველად იმერეთის მეფის გიორგი ლეონიძის ცოლმა (სახელი არ არის მოხსენებული). ამის ქმარმა მეფე გიორგიმ დაიჭირა ქართლი და ერისთავად დასვა თავისი ძმის დიმიტრის შვილი ტინენი. მაგრამ 878 წ. გიორგი მოკვდა და გაძეოდა მისი შვილი იოანე. მაშინ დედოფალმა დაიჭირა ტინენი და მოჭკვლა, ამისა მტირე! წლოვანი ძმა ბაგრატე კი მისმა თანაგანმზრახმა მთავარმა შაკლადიანმა შაკ ზღვაში ჩააგდებინა.

3) ამ მეფეების გვარი არ არის მოხსენებული. მაგრამ რადგან იმათ შაშას ერქო ლეონი, ამისათვის დავარქვი «ლეონიძე.» ვახუშტი იმათ ბაგრატიონებად არ იცნობს<sup>3)</sup>. ამის შემდეგ იმერეთის მეფეები დაუცხრომელად მეცადინეობდნენ ქართლისა, იმერეთისა, კახეთისა და ჭყრეთის შეერთებას. 906 წელს იმერეთის ტახტზე რომ დაჯდა კოსტანტინე, ქართლი სულში ეჭირა, და მოინდომა კახეთისა და ჭყრეთის დაჭერაც.

1) იხილეთ იქვე გვერდი 52.

2) იხ. იქვე გვ. 78 და 79.

3) იხ. ქართ. ცხოვ. I ნაწ. გვ. 191 და 192 და ნაწ. მე-II გვ. 179.

ის უეცრად გადმოვიდა კასეთში და კვირიკე ქორეპისკოპოსი დაუმორჩილა თავის ტახტს. ამის შემდეგ შეება ჭკრეთის მეფეს დაჩნასეს, დაამარცხა, ჩამოსადა მეფობის სახელი, გასადა მორჩილად და დაბრუნდა იმერეთში. მაგრამ ეს მორჩილება მხოლოდ სიტუციით იყო და არა საქმით. კასეთისა და ჭკრეთის მთავრები, როგორც კი დაიდასტურებდნენ დროს, მაშინვე თავის-თავს ისევ დაუმორჩილებელ მეფეებად აღიარებდნენ. არ იყო აგრეთვე სამუდამოდ დატყვევლი ქართლიცა.

921 წელს მეფე აფხაზ-იმერეთისა კოსტანტინე მოკვდა. მეფედ დაჯდა მისი შვილი გიორგი. ამან ქართლის გამგებელად დასვა თავისი უფროსი შვილი კოსტანტინე. მაგრამ იმან მამას უღალატა. მამასავე ამასაც ეწადა ქართლ-იმერეთის შეერთება, მაგრამ არ უნდოდა, რომ მეფედ თავისი მამა ყოფილიყო. ამისათვის ის დაიჭირეს, ჯერ თვალები დასთხარეს, მერე დაასაჭურისეს. ქართლის ერისთავად გიორგიმ ახლა თავისი მეორე შვილი ლეონი დასვა. ეს კაცი მშვიდობის მოყვარე კაცი იყო, მაგრამ შორს-მხედველი პოლიტიკოსი. იმას ეწადა საქართველოს შეერთება სისხლის დაუღკრელად მომხდარიყო. ამ განზრახვით ის უშლიდა თავის მამას, ნუ იტყვრ კასეთის ქორიკოზს კვირიკესო, და თუ დაატუსაღე, ნუღარ უშვებო<sup>1)</sup>. მაგრამ მამამ იმას არ გაუგონა და მით შეერთების საქმეც ჩაიშალ და საქვეყნო, საკეთილო საქმეც დაიწვია. შემდგომ გიორგიმ ბეკრი ინანა, მაგრამ ამით ხომ საქმე არ გაკეთდებოდა?! კვირიკემ დაიჭირა ისევ კასეთი და გამოაცხადა თავისი-თავი მთავრად. ამის გამო ისევ საჭირო გახდა კასეთის ხმლით დატყვრა. უამთარი

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვრ. გვ. 203.

გავიდა, დადგა გაზაფხული. გიორგიმ უთავა ჯარებს თავისი შვილი, ქართლის ერისთავი, ლეონი და უბძინა კახეთის დაჭრა. ომი კიდევ დაიწყო. უეჭველია, რომ ლეონი დაამარცხებდა კვირიკეს; მაგრამ უეცრად იმას ამბავი მოუვიდა იმერეთიდან, რომ მამა შენი, მეფე გიორგი, მოკვდაო. რა უხდა ეჭვა ასე ლეონს? საქმე გაჭირდა. საჭირო იყო კვირიკესთან საქმის გათავებაც და იმერეთში წასვლაც. საჭირო იყო აგრეთვე კვირიკეს არა სცოდნოდა სიკვდილი გიორგისი, ვიდრე შერიგება მოხდებოდა. ამ მიზეზისა გამო დაუფიქრებელივ სთხოვა ლეონმა იმას—შევიყარნეთ ბაზალეთის ტბის პირს თითო ცხენოსნის კაცი და მოვიღაშარაკოთ შერიგებაზედო. ლეონმა ჩამოართვა კვირიკეს პირობა, რომ ის ეჭნება მორჩილ იმერეთის მეფისა, ეჭნება ერთობა და სიყვარული. მაგრამ რომ მკვიდრი იყოს ეს ერთობა და ოდესმე მოხერხდეს კახეთის სრულიად შეერთება იმერეთთან და ქართლთან, ის დაჰპირდა კვირიკეს,—ჩემს ასულს შენს შვილს ცოლად მივსცემო. «ვიტარ ესმა ესე კვირიკეს, გარდასდა ცხენისაგან და თაყვანისცემით მოიკითხა და მისცა მადლი, განისარა ზავი და სიყვარული, და უფროსად პირა მზასლობისა»<sup>1)</sup>. ლეონი ჭფიქრობდა თავის ასულის შემწობით, ანუ ამის შეილება შემწობით, სრულიად მოესპო კახეთის სამთავრო. ამას ამტკიცებდნენ მისი მოქმედება შემდეგ ქალის სიკვდილისა უშვილოდ. ვიდრე ქალი ცოცხალი ჭყვანდა, ჩუმად იყო და არ ემტყვებოდა კახეთს, მაგრამ ის მოკვდა თუ არა, ისევე დაემტყრა.

ასე, 955 წელს გიორგი მეფე მოკვდა; ამის გამო ლეონიც შეურიგდა კახეთის მთავარს კვირიკეს და ლაშქრით გა-

<sup>1)</sup> იხ. იქვე გვ. 203.

მობრუნდა ისევ ქართლში. აქ იმან დასტოვა გამგებლად თავისი და გურანდუხტი. ეს იყო ცოლი გურგენ მეფეთ მეფისა. ამისი ძმა, რეგვინი, მეფე იყო თრიალეთისა, ჯავახეთისა და სომხეთ საბარათიანოსი. ამასაც თავის მხრით ეწადა იმერეთის მეფეებისათვის ახლანდელი ქართლის წართმევა, მაგრამ ისინი არ უთმობდნენ. ბოლოს ეს საქმე ლეონმა გადასწყვიტა. რადგან ქართლისათვის ბაგრატ რეგვინისა და იმერეთის მეფეთ შორის დავიდა რაბა არ თავდებოდა, ამისათვის ჩემის ფიქრით, იმან ქართლი თავის დას გურანდუხტს ამზითვა, მზგავსად იმისა, როგორც ერთ დროს საბერძნეთის იმპერატორმა ლეონმა <sup>1)</sup>, დავის გასათავებლად, თავის ასულს ვახტანგ გორგასლანის ცოლს, ამზითვა მთლად აფხაზეთი, და აგრეთვე მეცამეტე საუკუნეში რუსუდან დედოფალმა, — ისევ ჩხუბის მოსასპობლად, მცირე-აზიის სულთანს ყიასდინს თავისი ქალი თამარი რომ მიათხოვა, — მთელი აწყვერის ეპარქიაც ქალს მზითვეში გადასცა <sup>2)</sup>; მაგრამ ამ შემთხვევაში პირლბა იყო, რომ გამგებელიც გურანდუხტი ყოფილიყო, და არა მისი ქმარი გურგენი, ანუ ძმა-მთილი მეფე ბაგრატ რეგვინი. ამასე გურგენი, ქმარი გურანდუხტისა, თანახმა გახდა, ბაგრატ რეგვენმა კი იწყინა. ეს არის მიზეზი, რომ ძმა-შვილნი და შვილის-შვილი ბაგრატ მესამე ერთმანერთს ებრძვიან.

მზითვის სახედ ქართლის დაბრუნებით ბაგრატიონებისათვის, არც შამფური იწოდა, არც წვალი: არც არა-რა ლეონიტეების ღირსებას ევნებოდა ამით, არც რამე პატივი ეძებებოდა ბაგრატიონთ გვარს.

<sup>1)</sup> იხ. ქართლის ცხოვ. გვ. 132.

<sup>2)</sup> იხ. იქვე გვ. 352.

ამ გვიანდელ საქმის გარიგების შემდეგ ლეონი წავიდა იმერეთში და გამოეფა. გურჩანდუსტი დაჩნა გამგებლად ქართლისა. აი ამ მიზეზით არის ნათქვამი ქართლის ცნსოვრებაში, რომ «მას უამსა შინა ეპყრა ქართლი და უფლის-ცისე გურჩანდუსტ დედოფალსა»<sup>1)</sup>, და თუძცა აზნაურნი ქართლისა თვითოეულად განაგებდნენ ქართლის საქმეთა, მაგრამ იუენენ გურჩანდუსტ დედოფლის მოწინააღმდეგეებს ქვეშაო<sup>2)</sup>. აქ ისტორიკოსი ბატონაშვილი ჰკითხვლობს: სად იუენენ ამ დროს ბატონო რეგვანი და გურგენიო, რომ ქართლს განაგებენ არა ესენი, არა-შედ გურჩანდუსტიო<sup>3)</sup>? რასაკვირველია, ბატონო რეგვანი თავის ერთ მუჭა სამეფოში არის; გურგენი, ამისი შვილი ბატონო და გურჩანდუსტი კი არიან ქართლში, მაგრამ იმათ არა. აქეთ უფლება ქართლის გამგეობისა. ისინი ცნსოვრებენ უფლის-ცისეში<sup>4)</sup>, ზე ქართლს განაგებს გურჩანდუსტი თავის ძმების მეფაველობის ქვეშ.

ლეონის განზრახვა ამ შემთხვევაში ის არის, რომ შეაჩვიოს იმერეთი და ქართლი ერთობას, ძმობას და სიყვარულს. იმას შეეძლო თავისი ზე გურჩანდუსტი არ დაეყენებინა ქართლის გამგედ, და მიეცა გამგეობა თავის ძმის დიმიტრისათვის; მაგრამ ის ძმას ვერ ენდობა. რადგან არც ლეონს ზე არც დიმიტრის შვილი არა ჰყავთ, ამისათვის რეგვანი თანხმობით მეფობენ იმერეთში<sup>5)</sup>, და ქართლიც ხელში უჭირავთ. იმედი

1) იხ. გვ. 207.

2) იხ. გვ. 208.

3) იხ. მე-III რეფელი, გვ. 32.

4) იხ. ქართ. ცნოვრ. გვ. 207.

5) იხ. ქართ. ცნოვრ. გვ. 204.

აქვთ, რომ და იმათ არ უღალატებთ; იმედი აქვთ, რომ ის უფრო ეცდება ერთობას. მით უფრო უმეტეს არ ეშინიანთ დისა, რომ იმას ერთი შვილი ჭყავს ბაგრატის და ისიც შვილად აუუკანია ტაო-კლარჯეთის მეფეს დაკით გურატ-შალატს, რადგან იმასაც შვილი არა ჭყავს, და თავის მემკვიდრედ დაუსახელებია. ის არის ახლად ა) მემკვიდრე ტაო-კლარჯეთისა, ბ) ბაგრატ რეგენის სამეფოსი, გ) ქართლისა და დ) აფხაზეთ-იმერეთისა, რადგან არც ლეონს, არც დიმიტრის შვილი არა ჭყავთ. მთელი საქართველოს თვალი ახლად ბაგრატზეა მიქცეული. მაგრამ არის ერთი პირი, რომელიც აწუხებს დიმიტრი მეფეს. ეს არის თეოდოსი, იმისი უმცროსი ძმა, რომელიც საბერძნეთში სწავლობდა და ლეონი რომ მოკვდა, მეფობა მოინდომა იმერეთში. დიმიტრი იმის განსრავსავს წინა-აღუდგა. მოტყუებით, ქათალიგოზისა და სხვა წარჩინებულთა პირთ თაგდებობის ქვეშ, იმან ფიცით შეირიგა ძმა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაიჭირა თეოდოსი და თვალები დასთხარა, რომ მას აღარ შესძლებიყო მეტოქობა, და 979 წელს თვითონაც მოკვდა უშვილოდ. მაშინ საღხმა გაამეფა იმერეთში უსინათლო თეოდოსი, რომელსაც სრულიად არ შეეძლო სამეფოს გამგეობა. ის მეფობდა ექვსის წლის განმავლობაში, მაგრამ ვაი იმ მეფობას! საღხმა უწოდა თეოდოსის «ჩალა-მეფე»<sup>1)</sup>, რადგან იმას მხოლოდ სახელი მეფობისა ჭქონდა და ქვეყნის მმართველნი ვი სხვები იყვნენ, რის გამო «შეიცვალა ყოველი წესი აფხაზეთ-იმერეთისა და განება პირველთა მეფეთა განწყობული.» საუურადლებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ თეოდოსის შვილი არა ჭყვანდა!

<sup>1)</sup> იხ. გვერ. 205.

იმერეთის მეფის სისუსტემ ქართლზედაც იქონია დიდი გავლენა. მართველად თუმცა გურანდუსტი ირიცხებოდა, მაგრამ ნამდვილი გამგებელი იყო იოანე მარუშიძე. მან იტვირთა ქართლის ერის-თავობა, და დაიწყო სხვის დაუკითხავად მოქმედება. 979 წელს სთხოვა დავით გურატ-პალატს, რომ მოვიდეს და ან თვითონ დაიჭიროს ქართლი, ან არა და მისცეს იგი გურანდუსტის შვილს ბაგრატს, რომელიც მან აღსაჩნდა თავის შემგვიდრედ. დავით დათანხმდა: მოვიდა ლაშქრით ქართლში, ჩამოჭნდა უფლის-ციხეში და დაუმტკიცა ქართლის შემოკედრობა<sup>1)</sup> ბაგრატს, მაგრამ გამგეობა ჭკეუნისა ისევ გურანდუსტის ხელში დარჩა, რადგან ამ დროს ბაგრატი ჯერ მცირე წლოვანი იყო.

აი ახლა ძლიერ მარჯვე დრო იყო სამცხე-კლანჯეთისა, ქართლისა და იმერეთ-აფხაზეთის შეერთებისათვის. ამ გეგმ გარემოებათა გამო იმერეთისა და ქართლის თავად-აზნაურობა მოძრაობაში მოვიდა. იმერეთის თავად-აზნაურობა ძლიერ სწუხდა, რომ თუკდოსის არ შეეძლო შეიკობა და არც შემგვიდრე ქვეყანდა. მისი შემგვიდრე იყო მხოლოდ მისი და გურანდუსტი, რომელიც ქართლის გამგეობაზე ხელს არ იღებდა და ჰსურდა, რომ იმერეთშიაც მისი შვილი ბაგრატ გამეფებულიყო. «ქართლის ცხოვრების» მოთხრობიდან შესაძლებელია მისგანვე კატი, რომ ამ დედოფალსა და მარუშიძეს ერთი პირი აქვთ. მარუშიძე გამოელაპარაკა იმერეთის თავად-აზნაურობას ბაგრატის გამეფებაზე. ეს აზრი მოეწონა იმერეთს, «მაშინ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისამან გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით გურატ-პალატისაგან.»

<sup>1)</sup> იხ. იქვე გვ. 206 და 207.

დავით ჯერ განგებ არ თანხმდებოდა. მე უშიგლო ჯარ ჯემის სამთელბელს შემკვიდრედ გამიზდიაო. მაგრამ რადგან მართლ ბაგრატ იყო შემკვიდრე ტაოსი, კლარჯეთისა, ქართლისა და იმერეთ-აფხაზეთისა, ამისათვის ბოლოს თანხმობა გამოაცხადა, ვითომ და ძალიან მიმიძის, რომ ვთანხმდებო. ბაგრატი გახდა მეუკედ. დავითმა გამოუცხადა ხალხს: «ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანა-შემწე; ამას დაემორჩილებით ყოველნი»<sup>1)</sup>.

მაგრამ ყოველს კეთილს საქმეს ქვეყანაზე ბოროტიც თანა სდევს და შტერი არ დაეკვება ხოლმე! ახლაც ამ ერთობის საქმესაც აღმოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი ქართლშიაც და იმერეთშიაც. ქართლში მისი მოწინააღმდეგე იყო ქავთარ ტბელი. ამ კაცმა მიიმხრო სხვებიც და უარ-ჭყო ერთობა და ბაგრატის მეფობა. მაგრამ უკანასკნელმა ის დაამარცხა; მის მომხრეთაგანი «რომელნიმე დახოცეს, რომელნიმე შეიპყრეს, და სხვაგან, კვალად მეოტნი, გარდაიხკეწნეს და დაიფანტნეს.» ამის შემდეგ მან დააყენა ქართლის გამგებლად თავისი ძმა გურგენი და თვითონ წავიდა იმერეთში.

ამ დრომდე, ორის წლის განმავლობაში, ბაგრატ მეფეს არავითარი განკარგულება არ მოუხდენია, რადგან იმერეთშიაც ჭკვანდენი მოწინააღმდეგენი. სამეფოს გამგეობა მან მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა დედა იმერეთში წაიყვანა. ამის მიზეზი ის იყო, რომ დედამ, როგორც იმერეთის შვილმა, კარგად იცოდა აჭარის ხალხის ზნე, ჩვეულება და წესი. იმერეთი გურანდუხტს უფრო გაუგონებდა, როგორც ტახტის შემკვიდ-

<sup>1)</sup> იხ. გვ. 205, 206, 207 და 208.

რეს, ვიდრე ბაგრატი; არ იწუენდა მის განკარგულებას და ყველასთვის მის დედას მიაწერდა. აი ეს იყო მიზეზი, რომ დედა წაიყვანა თუ არა იმერეთში, მაშინვე თავისი ბიძა, ძმის დედისა, თეოდორი დაიჭირა და გაუგზავნა ტარში დავით გურატ-პალატს, რომ მას თავისთან ჰყოლოდა და არსად გაეშვა. „ესე საქმე გამოხსნა უმჯობესად, ამბობს ქართლის ცხოვრება, რათა ყოველმა კაცმა, დიდმა და პატარამ, იცოდეს, რომ მეფედ ბაგრატი არის და მისი შიში და მოჩინლება ქობდეთ“<sup>1)</sup>. მოვიდა ბაგრატი უფლის-ცხეს, სწერია იქვე, აილოცინე თავის დედისაგან, დაჩნა რამდენიმე დღე ქართლში, მოაწყო ქართლის გამგეობა, წარიყვანა დედა თავისი და წავიდა იმერეთში; აქაც, როგორც კარგად გამოცდილია ქვეყნის გამგებელმა, ისე მოაწყო საქმე იმერეთისა: ყველას, ვინც იყო ურჩი, მტრედ ამხილა და მათ ნაცვლად დააყენა ისეთნი გამგებელნი, რომელნიც მისი ერთგულნი იქმნებოდნენ<sup>2)</sup>.

ახლა ვიკითხოთ, რატომ ასე არ მოიქცა ბაგრატი, ვიდრე დედა შოკიდოდა იმერეთს? ვიდრე დედა არ მივიდა იმერეთში, ბაგრატიმ რა მიზეზით არ დაიჭირა აქაური მეფე თეოდორი, არ დაატყვევა და არ გაუგზავნა დავით გურატ-პალატს? რა აზროლებს ამ დრომდე იმას? რასაკვირველია, აზროლებს ის მიზეზი, რომ ზოგიერთს იმის მეფობა არ ჰსურდათ იმერეთში. იმას ამ მოწინააღმდეგეთი ერიდებოდა და ამისთვის ჯერჯერობით წენარად იყო. მაგრამ დედა რომ მივიდა, ის გაცოცხლდა, გამხსკვლა, დაიწყო გაბედვით მოქმედება. მხოლოდ მაშინ დაიჭირა იმან თეოდორი. მაშინ იმას აღარავისი უშინაინა;

1) ის. იქვე გვერ. 208.

2) ის. გვ. 208 და 201.

ის მოქმედებს დედის სახელით. ასე რომ არ უოფილიყო თეკდოსის დაიჭერდა დედის იმერეთში მისკლამდე და გაგზავნიდა ტაოში; ასე რომ არ უოფილიყო, ის დედის მისკლამდე გამოაცვლიდა უჩხს მოხელეებს და გამგებლებს. უკვლას ამ ფაქტებს კრიტიკულად რომ ვარკვევთ, ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ საქართველოს შეერთების მანქანებაც და ამ საქმეების მომხდენიც გუჩანდუხტ დედოფალია. მისი მოქმედება შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს: იმას ერთი შვილი ჭყავს, მაგრამ ის უშვილობებს მას დავით გუჩანტ-შალატს. ამით იტკებობს და აღმობიერებს მას და თავის შვილს იმის შემკვიდრედ ხდის, რადგან დავით უშვილია. ამ დროს თვითონ ქართლშია და განაგებს მის ბედს; თუმცა ქმარიცა ჭყავს და მამამთილიც, მაგრამ ქართლის თავადობა მას ემორჩილება, და არა იმით. ამჟამად დროს მას სწადიან იმერეთიც შვილის სამკვიდრებულად განხადოს. მარტუშიძის შემწეობით მისი შვილი ბაგრატ იმერედ ჯდება აქაც. ამასობაში მისი მამამთილი ბაგრატ რეგკენიც კვდება. მაშინ ის სტოკებს ქმარს ქართლში და მიდის იმერეთში. მისკლისათანავე იჭერენ დედა-შვილნი თეკდოსის და გზავნიან ტყვედ ტაოში, და ვინც ბაგრატის უჩხი მოხელე არის, უკვლას სცვლიან. ამ სახით იმერეთი და ქართლი ერთ სამეფოდ კავშირდებიან გურანდუხტის შვილის ბაგრატის გამგეობის ქვეშ. ამ სახით იმერეთი და ქართლი დედა-კაცის მოხერხებულ მანქანებით და ჭკუის გამჭრიახობით უერთდებიან ერთმანერთს და შეადგენენ ერთ სამეფოს. მართალია, ქართლის ცხოვრების თქმულებიდან სჩანს, რომ ამ შეერთების საქმეში მონაწილეობა მიუღიათ იოანე მარტუშიძესა და დავით კურატ-პალატსაც, მაგრამ ამ საქმის კეთილად დამაგვირგვინებელი არის გუჩანდუხტ - დედოფალი. ის თავის ძმასაც არ

ხოგავს საქართველოს შეერთებისა და გაძლიერებისათვის. იმე-  
რეთშიაც და ქართლშიაც არიან თავადნი, რომელნიც ეწინა-  
აღმდეგებიან შეერთებას, მაგრამ გუგანდუსტ დედოფალი არის  
ისეთი მძლავრი და ჭკვიანი მომხრე შეერთებისა, რომ მოწი-  
ნააღმდეგეთ მოქმედება უქმად რჩება.

მლ. დიშ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

## დაკოდლილი.

«რას მიწბი ქალაკ, სად მიწბი, როგორც დაძეთსვალე შველია,  
საით იქარი, დობილო, შოდი მომკიდე სელია,  
დაკოდლი ვარ მძიმეთა ჩემი ადგომა ძნელია  
რადასა შიშობ, ურჯულა დაფთსვა და შამოგველია...  
შენი დედ-მამის ღხენასა, მო, მოიბრუნე გულია,  
გულის ჭირიმე, დობილო, შოდი, მომბანე წულულია...»  
შედგა გოგონა, შიხრდა, მწყერივით განახულია,  
ჩაჭხედა სეკში, ბიჭი წევს, ჭსჩანს სისხლის ნაკადულია!...  
ჩაიჭრა გოგო დარცხეგენით, თითქოს შუეერთა ფერია,  
დაკოდლის სედი მოუსო, მისთვის შეიქნა ფერია,  
ბუერით წყალი შეასო, წაჭხივა მანდილს წვერია,  
მოჭბანა წულული დაკოდლის, შუეერთა მონაჭერია...

გაბრუნდა მტერი, გაიბნა, გაფრინდა წელიწადია.  
დაკოდლის წულული მოურჩა, მანდილის უდგა ჭსწადან,  
გოგოც უარხედ ვრ არის, ეკლესიაში შადიან,  
ექნებათ ტყბილი ცხოვრება და ერთი ლუკა მჭადია!...

თ. რაფ. ქრისტაფი.

6 თბათვეს.

თბილისი.

## 6. ხუდადოვის პასუხად.\*)

შარშანდელს «იმედის» მე-V წიგნში იყო დაბეჭდილი ჩვენი სტატიის სტუდენტობის მიმართულებაზე და მოკალკობაზე რედაქციის შენიშვნითურთ, რომ იგი სტატიაში გამოთქმულს აზრს არ ეთანხმება და თავის დროზედ გამოსთქვამს თავის შეხედულობას ამ საგანზედ. «იმედის» რედაქციას აქამომდე კერძოდ და სახელდობრ ამ საგანზედ არავითარი აზრი არ გამოუთქვამს, ალბად იმიტომ, რომ, როგორც ამ ბოლოს დროს უფრო და უფრო გამოჩნდა, ეს რედაქცია, თავის-თავის საუბედუროდ და ჩვენდა სამწუხაროდაც არ ეწეობა რომელსამე დედა-აზრს, არა აქვს არავითარი მიმართულება და ერთხელვე შედგენილი და შემუშავებული პროგრამა, რომელსაც სისტემატიურად და მტკიცედ მისდევდეს.

ვსწუხდით, რომ ასე უუურადღებოდ დაგვეტოვა ჩვენის ლიტერატურის მანათობელმა ორგანომ, რადგან დარწმუნებული ვიყავით და ვართ დღესაც, რომ აზრს, სტატიას, წიგნს, ჭკლავს და ჭღუშავს გულ-გრილობა, უუურადღებოდ დატოვება და არა დევნა, ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოგვიყვანა მეორე:

---

\*) რედაქცია იმედოვნებს, რომ იმ საგანზედ, რაზედაც ეხლობასი აქვთ აცენილი ბბ. ხუდადოვს და ყოფშიძეს, თავისი აზრი წარმოსთქვას, როცა დრო და მოცალვბა ამის ნებას მისცემს. რედ.

ჩვენმა ყურნაღმა „ივერიამ“, რომლის ფურცლებზე დღეს უკვე მეორემ გამოილაშქრა იმ სტატიის წინააღმდეგ და გამოილაშქრა არა უბრალოდ, არამედ თავით თვინადის შეჭურვილმა. პირველი გახლდათ ბ. ა. ნა—ლი (იხ. „ივერია“ 1881 წ., № 10 სტატია «ლიტერატურული შენიშვნები») და მეორე ბ. ნ. ხუდადოვი („ივერია“ 1882 წ., № 5—6. სტატია «ახალ-გაზდობის მიმართულებაზე») თუ პირველია კაცი მჭევრ-მეთქვია „გრცელი ფილოსოფიური განათლებით“ შეძეული, მეორე—სწორედ უცოდველი წმიდა პაპისა რომისა, რომელიც პეტროპოლისით არის სასაყდრის სიწმინდეზე უცოდველობაზე მოწმობას, თვით მოციქული პეტრესაგან მიღებულს, მუდამ თვალწინ გიფრიალებს, მედიდურობს, ყოყმანობს, ცაღაც კვარცხლ ბეკზედ შეძგარს და აქიდან დაგტქერის, ლიტერატურულ გზაზედ რომ შესვდე, ცხვირს აიშეკვს და იქნებ დაგთენთოს გიდეც: «კითარ გაბედე ჭოი უგუნურო, ქონდრის-კაცო კი არა, კაცუნავ, და ამოდგი ფეხი იქ, სადაც მე ვუფლობ და ჩემი კვარცხლბეგი ცადმდე აღზიდულა. იქ, საცა მე ვმეუფეობ, კაცი მცნიერი, გამოჩენილი და ღირსეულად დაჭილდოვებული \*), ჭბედავენ ხმის ამოლებას ისინი, ვისაც «რიგიანად არა უსწავლიათ-რა, არა გამოუკვლევიათ-რა და არც უნდათ ისწავლობ.» რა კადნიერება, რა თავ-ხედობაა მართლაც.

— მოგვიტევეთ დიდო არმაზო, სრულიად გურჯისტანის და ჭიანჭის დმერთო!

\*) იხ. «რანი ყიყავით გუშინ» და ამ სტატიის ავტორის შენიშვნა, რომელიც დიდს თანხას უნდა შეადგენდეს და თვით აკადემიის დიპლომსაც უნდა აღემატებოდეს ბ. ხუდადოვისათვის.

სასაცილოა ბ. ხუდადოვო ღ, თუ ამ წერილის ბოლომდინაც ჩამოგვეყვებით, იქნება სამწუსაროც იუკეს.

საჭიროდ ვთვლით მკულედ მოკაცონათ ბ. ხუდადოვს და არა მკითხველებს ჩვენის სტატიის, როგორც უმთავრესი არა, ისე ის სახაბიც, რა სახაბითაც იგი იქმნა დაწერილი, მით უფრო, რომ იგი დიდი ვინმე ბძინდება და ჩვენს ლიტერატურას უფრო არ უგდებას, და, როგორც თითონვე ამბობს, არც წაუგითხავს ის სტატიები გაზ. «დროებაში», რომელთ მიხედვით ჩემი წერილი იყო დაწერილი სხვათა შორის.

«დროებაში» იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია კიევიდან ს. ლ—მისა, რომელშიაც ავტორი—სტუდენტი ამტკიცებდა, რომ ახალ-გაზდობას, ანუ უკეთ ვსთქვათ, რუსეთში მყოფ სტუდენტობას შეუძლიან რაიმე პრაქტიკულ საქმეს მიჰყოს ხელი და შემწეობა აღმოუჩინოს თავის სამშობლოს, ჯერ რუსეთიდანვე სტუდენტობის დროსვე. როგორც ჩვენ გვასწავს, ს. ლ—მე ავალბდა ახალ-გაზდობას, რომ თვითოეულს მათ წრიდან, რომელსაც შეეძლება და ძალა შეეწევა, თავის სპეციალურის საგნის მიხედვით, შეედგინა ადვილად საკითხაზნ ბროშურა, წიგნი, ვის საგიგიეო, ვის საისტორიო და სხვა სახისათვის, თუ სკოლაში სახმარებელი და ამით, როგორც თავისი სპეციალური საგანი შეესწავლა უკეთ, აგრეთვე ქართული ენაც და ამ გვარად შრომა შრომად დარჩენილიყო სამშობლო ქვეყნის სასარგებლოდ მიმართული და ის კავშირიც არ შეწყვეტილიყო, რომელიც სამშობლოს უნდა აერთებდეს უცხოეთში გადასვენებულ თავის ღვიძლ შვილებთან.

ამ შენიშვნას ჩვენ საზოგადოთ შევხედეთ და მასში ახალ-გაზდობის გამოთქმული მიმართულების ნიშანი დავინახეთ ღ

რასაკვირველია, სულით და გულით გაკისრეთ. ჩვენ მივხვდით და დაგწმინდათ, რომ უთუოდ ყველგან, როგორც კიეგში, ახალ-გაზდობას ახსოვს, რომ იგი მოწოდებულია თავის მამულის სამსახურისათვის, რომ იგი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს სამშობლოში და იქვე სჭირია მას წარუგა ამ ფრთად სამხელს საქმისთვის, მით უმეტეს, რომ ჩვენი ახალ-გაზდობა სრულებით ისე არა მხადდება ჩვენს სკოლებში, რომ სამსახური ან შექმლას, ან ძლიერად სურდეს თავის ქვეყნისათვის, ისე არა მხადდება, რომ მასთან მტკიცედ ჭქონდეს გადაბმული თავისი ბედრ.

ამის შემდეგ საბასო და საეჭვო ერთი საგანი უნდა დარჩენილიყო, რაკი დამტკიცებოდა რომ ახალ-გაზდობას სამსახური და საქმე სწუერთა თავის ქვეყნისათვის. აი ეს საგანიც: რასთვის უფრო მოეკიდა ხელი. ამისუდ ატყდა ბასი. ბ. ნა—ლი უწერდა ს. ლ—ძეს, რომ მისი აზრი უსარგებლოც არის და მოუხერხებელიც. ნა—ლმა ამის ნაცვლად წამოუყენა ის აზრი, რომ რუსეთის მდგომარეობა შესწავლას ახალ-გაზდობამ ჩვენს საზოგადოებას; ეს კიდევ ეხერხება და კიდევ ეადვილება ქართულ სტუდენტობასაო. მკითხველი ჭხუდავს რომ ბასი პრინციპიალური არ არის. ორთავანი თანხმანი არის, რომ ქართულ ახალ-გაზდობას ჭხურს საქართველოს ხალხს ემსახუროს. მხოლოდ ერთი ამბობს ამ საიერი და ამ საიერი შრომა უნდა იღვას თავსუდ, გარნა მეორე—ამ საიერიო.

ჩვენ გულის არ მოგკითმინა და ჩავერიეთ ბასში. ჩვენ ამ საგანს სხვაფერიც და სხვა მხრით შევხედეთ. ჩვენ კითხვა და საგანი დავადგინეთ პრინციპიალურად, ე. ი. ის, რაც იმათ მიიღეს, ვითარცა ეჭვ-გარეშე ფაქტი, ჩვენ საეჭვოთ გაკისრდეთ. იმათ ორთავ მიიღეს უცვალბებლად, ნამდვილ მოვლენად ის, რომ ახალ-გაზდობას სწუერთს მუშაობა სამშობლოსათვის და

თუმცა ერთ, მაგრამ მაინც ესმის და უნდა თავის სამშობ-  
ლს დაეღოს მტლედ თავზედ, ანაცკალოს თავის ჭაბუკური-  
ძალა და მოცალეობა მის სადიდებელს მოღვაწეობას. რაკი  
ერთხელვე გაგხადეთ ეს დედა-აზრი საეჭვო საქმედ, რაკი ერთ-  
ხელვე ჩვენ გონებაში და რწმუნებაში შეიჩუა უმთავრესი ბო-  
ძი, რომელსაც ისინი ბოძ-კენტებს უსვამდენ აქედ-იქიდან,  
ბასიც სრულად უნდა შეცვალილიყო.

ჩვენ უბრუნეთ საგანს პირი, მივეცით სხვა კილო და ასე  
დავაუენეთ საგანი: ვკუყვს ჩვენ თუ არა სტუდენტობა ქარ-  
თველი და ჭსურს იმ სტუდენტობას თუ არა სწიოს მძიმე  
უღელი თავის სამშობლო ქვეყნის სამსახურისა და ეს გა-  
რემობა ძალიან ეჭვ-ჭვეშ დაკსტოვეთ. ამიტომ დაერქვა ჩვენ  
სტატის თავის სახელიც და ამიტომვე არის ეს სტატია შე-  
ნიშვნები ჩვენის სტუდენტობის მიმართულებასა და მოვა-  
ლეობაზედ.

ამაზე, რასაკვირველია, ბევრი ვილაპარაკეთ. ჩვენ ვიკით-  
ხეთ, სტუდენტობას, საერთოდ რომ ავიღოთ, ღრმად ღ ძლი-  
ერად უღვივის გულში თუ არა სამშობლოს სიუვარული და  
სწადიან თუ არა მის სამსახურით ღ დავასკვენით რომ ეგ ნიშ-  
ნები ძალიან მკრთალად და მცირედ იყო შენიშნული სტუდენტ-  
ობაში აქამომდე მაინც. ს. ღ—მის კორესპონდენციაში კი  
ჩვენ დავინახეთ ნიშანი, რომ სტუდენტობას მოუწერებია კმ-  
სახურის თავის ქვეყნას. თუმცა აქედამ კიდევ ის არ გამო-  
დის, რომ თვით წადილი საქმეთ არის გადაჭეუელი. იმ სტატია-  
შივე ვამბობდით: „ჩვენ გვრწამს, რომ სტუდენტობის რიგვი-  
ნი წარმომადგენელი \* ) აღარ ადგანან თავის ქვეყნის შესა-

\*) არ ვიცი რა ანგარიშით ეს ჩემი ხაზ-განმული სიტყვები გა-  
მოუვილია ბ. ხუდადოვს, თავის სტატიაში რომ მოუყვანია ეს ფრაზა  
ჩემი სტატიაში.

სებ სამარცხვინო უმეცრების გზას... ღ ეს ისეთი ნიშანია, რომელსაც გულის ძველით და აღტაცებით უნდა ვიკვებოდეთ, თუ გვწამს კიდევ ჩვენის ქვეყნის ბედი და კვლით მის უმჯობეს მომავალს.“ თუმცა ამასაც ვამბობდით, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ამას ჩვენ ბუნითად ვამტკიცებდით. სულ სხვა არის მრწამს და ვამტკიცებ. რწმენა უკრიტიკოდ და ფაქტების შეუმოწმებლად გამოყენებული არის, წინასწარვე შედგენილი, დაუამტკიცებელი, ხოლო დამტკიცება მომდინარეობს ფაქტის შემოწმებიდან.

აი ამ რ-გვარს საგანთა შორის ვერ ვპოვებ ბ. ხუდადოვი განსხვავებას და აქვე ვპოვებ იგი წინააღმდეგობას, ჩვენის სტატიის „უთავბოლოობის“ საბუთს და შემდეგ გაჭედილია სხვა ამ გვარსავე წვრილდას საგნებს. (გვ. 168 და 169).

იმის მაგივრად, რომ სტატიის დედა-აზრი გაგვრკვიათ, ბ. ხუდადოვი, და მერე ისე დაგვრღვიათ ის, თქვენ ჩემს ლანძღვას და „უცნობი ავტორის“ გუნდრუგის კმევას მოუნდით. ჩისტვის? იმიტომ, რომ მან „თურმე“, როგორც თქვენვე ამბობთ, ამერიკა აღმოაჩინა, ე. ი. ერთი გაცვეთილი ზოგადი ფრანსა წარმოსთქვა, „ვრცელი თეორეტიული და თეორეტიული განვითარება უნდა სტრუქტურადაა“, და ამით მოიშორა თავიდან თვით საგნის არსებითი ასსნა. რა არის „ვრცელი თეორეტიული განვითარება?“ განა ცოტა ვრცლად და თეორეტიულად განვითარებულთ დასი, რომელთ მიმართულებას უნდა მარტო ზიზლით ვლაპარაკობთ? ვრცელი თეორეტიული განვითარება განა კაცს მოჭალაქედ გადაქცევს და მიმართულებას მისცემს სასურველსა?! იქნება თქვენ და ბ. ნ—ლს კატეგორი და სხვანი მრავალნი, მისწულნი და ბურჟუნი რუსეთისანი, ვრცლად და თეორეტიულად განვითარებულად არ მიგაჩნიათ? ბეკონმა რომ

მეცნიერული მეტოდი შექმნა, ის მეტოდი, რომელზედაც თქვენ ისე ვლახავართ, თითქო უგვდავების წყაროს მივაგებოთ, რამ დაუშალა მას ხაზინის გაცარცვა, ქრთამების აღება და სხვა საზიზღრობა? გარიბალდის რომ ამ მეტოდების გამოგონება და შეთვისებაც არ მოუხერხებია, იტალია ვერ აღადგინა, სამშობლო ვერ გაანთავისუფლა სამარცხვინო უცხო ქვეყნულთ მონებიდამ?! რად ურევო, ვაჟ-ბატონო, ერთმანერთში თეორეტიულს განვითარებას, მეცნიერულს მეტოდებს მიმართულებასთან ჭ სამოქალაქო მოკალეობასთან სამშობლოსადმი, იმ მიმართულებასთან და მოკალეობასთან, რომელთაზედაც მე ვლახავარბოდი მხოლოდ ჩემს სტატიაში. ცოდნა და ფილოსოფიური განვითარება ერთია და აღზრდა და დადგენა სასიათისა—მეორე, ერთი სწავლის საგანია, მეორე—აღმზრდელობისა. თუ არა, სად ნასეთ თქვენ ჩემს ნაწერში, რომ მე მეცნიერების და განათლების წინააღმდეგ ვლახავარბოდე. თვინიერი იმისა, რომ მე საზოგადო ფრანზა «ერცული თეორეტიული განვითარება» მასხარად ავიგდე, იყო თუნდ ერთი სტრიქონი, რომელშიაც ან ბოკლი ან სპენსერი და ან სხვა ვინმე ევროპიული მეცნიერების წარმომადგენელი, მასხარად გი არა, თუნდ ოდნავ მაინც გადნიერებით მომესხენებინოს. ან იქნება მეცნიერების მასხარად ავღება გგონიათ, რომ მე ბერყესა და ზეიდლიცს მეცნიერების პირველ მხათობელად არ ვიხსენიებდი. ან იქნება თქვენგან ნაქებ ჭკვიანს «უცნობს ავტორს» ჭკუისა და მეცნიერების თვალად რომ არა ვთვლიდი, ვემხნდი, „ახლად გამომხტარს გმირს“, თქვენ ეს მეცნიერების გმობად მივაჩნიათ?

რაც შეეხება ჩვენში დაარსებას ეტნოგრაფიულ, ეკონომიურ და სოციალოგიურ მეცნიერებისა, მე ვამტკიცებდი, რომ ეს შეადგენს სტუდენტობის პირდაპირს მოკალეობას, რომ

ამაზე ზრუნვა და ფიქრი კი არ დაუშლის მას მეცნიერების შესწავლას რუსეთში, არამედ უშველის, გაუადვილებს, ფრთებს შესასვას მის ძალ-ღონეს, განაცხოველებს ზოგჯერ ძნელს და მძიმე შრომას მეცნიერების შეთვისებისას ის განუმორბელო აზრი, რომ მეცნიერება, რომელსაც ის ისმენს, უნდა მის წყალობით დამყარდეს სამშობლო ქვეყანაში. ნუ თუ სტუდენტ-იურისტს, რომელიც, რასაკვირველია, აზრების ქალაქზე გამოსატყვის ნიჭს არ არის მოკლებული, როცა სწავლობს განონ-მდებლობის არსებას და საზოგადოთ იურისპრუდენციას, დაუშლის ის გარემოება, რომ მან შეისწავლოს მეცნიერულად და გააცნოს ქართველი მოაზრე საზოგადოება გასტანგ VI სჯულ-მდებლობის ხასიათს, რომლის კანონებიდამ ეხლას მთელი ქუთაისის გუბერნია თხოულბს. რამდენიმე მუხლის აღდგენას? მე მგონია, უოკელი კაცი, რომელიც ახირებულნი და ჟიუტი არ არის, იტყვის, რომ მაგან კი არ უნდა დაუშალოს საზოგადოთ იურისპრუდენციის შესწავლა, არამედ უფრო უნდა გაუადვილოს, წასახლისოს ქართველი სტუდენტი - იურისტი. აგრეთვე ისტორიის მოსწავლე სტუდენტი. იგი ისმენს მსოფლიო ისტორიას მეცნიერულად და ნუ თუ შეცოდებათ არ უნდა ჩეთვალოს მას ის გარემოება, რომ გადმოვიდეს აქ და იწიცი არ იცოდეს საქართველოს ისტორიიდან; (ამის მაგალითი კი ჩაკვინია!) სირცხვილით არა სწითლდება უმადლესად განათლებული, სრულიად შეცოდებად არ მიაჩნია, რომ მან არც მშობლიო ისტორია იცის და კერძო კრთს ქართულს ლექსს კვრ წაგვიითხავს ზუბირად თავის ქვეყნის პოეტების თქმულს. აგრეთვე ფილოლოგი - სტუდენტი, აგრეთვე ეკონომიის შემსწავლელი. ამ უკანასკნელმა ბევრჯერ ზუბირად იცის მარკსი, იანსონი ღმერთად მიაჩნია და ერთი

ცხება ცოდნა არა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრები-  
დამ, გადმოვა და დაბერებული კაცი ველარ უფლება საქმეს. ენა  
არ ვიცით, ტერმინები არა გვაქვსო, საწყალი კაცი ვარ და სამ-  
სახურში ამოდის სულიო და ამ ნაირად წავა და გადაიღობობა  
სადმე ისე, რომ «სოფელს არაჩას არგებს.» და ასე ამ ნაირად  
შეგვეძლო მრავალი მაგალითები მოგვეყვანა ჩვენი აზრის სა-  
ბუთად. მაგრამ თქვენც თანახმა ბმანდებით ამასუ, გგონებთ,  
(წინააღმდეგ თქვენ მიერ ნაქები «უცნობი ავტორისა» ბ. ა.  
ნა—ლსა), და არაფერი საწინააღმდეგოც არა გაქვთ—რა იმის  
მეტი, რომ ამას მე ვამბობ და არა თქვენისთანა დიდი ვინმე  
(იხილეთ სუდადოვის სტატია გვ. 166).

სტუდენტობა არა სჩადის იმას, რაც იმის მოკვლეობას  
შეადგენს, არა თავობს, რომ მეცნიერება დაამყაროს თავის ქვე-  
ყანაში. ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, მთლად სტუდენ-  
ტობა ამ ნაირ გზას ადგას. ესლაც არიან მათ რიცხვში გო-  
ნიერნი და რიგიანნი, რომელთაგან მეცნიერული სამსახური გა-  
ეწევა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ესენი არიან ცოტანი და უკეთეს-  
ნი. უმრავლესობას, რომელიც ყოველთვის დაბლა დგას გონე-  
ბითი ძალით უმცირესობაზედ, იქნება გულითაც სურს ამ გზას  
ადგას, მაგრამ ვერ მოუხერხებია განსხვავებული აღზრდის წყა-  
ლობით, იმოდენი გონების ძლაც არა აქვს, რომ მეტი-მეტი  
მოისურხოს სკოლისაგან დაჩაგრულმა და უკულმართად, გადა-  
საბირობლად აღზრდილმა.

ამ აღზრდას მივაქცევთ ჩვენ უურადლებს ჩვენს სტატია-  
ში და ვპოვეთ, რომ იგი ეროვნულ ნიადაგზედ არ არის ღამ-  
ყარებული და თითქმის სრულიად მოკლებულია მშობლიურს  
სტიქიონებსა. ამ სახით ჩვენ მივუახლოვდით ჩვენი სტატიის  
დედა-აზრს, რომელმაც როგორც ბეჭითად გგონია, გააცნა

უთუოდ ხუდადოვი, გამოიყვანა ოლიმპიური ძრთმინებიდამ და  
 აღმსედრა ჩვენს წინააღმდეგ. და მე რისთვის სუეკელა ეს?  
 მისთვის, რომ ამაუობით ეთქვა ჩვენთვისაც, გურგენიძისათვი-  
 საც და «განმარტებითი წერილის» ავტორისათვისაც, რომ მე  
 ამერიკა აღმოვაჩინეო, ჩვენ მეცნიერება გვიდა ქართველებს,  
 სწავლა და მეცნიერული მეთოდების შეთვისებაო. ამას ბძნებს  
 ბ. ხუდადოვი და თან კი სახალხო სკოლის მნიშვნელობას ამ-  
 ცირებს, აწინდელს მის მოქმედების წრეს ავიწროებს, თითქო  
 ჰერკულ-დაწეებითი და სახალხო სკოლა მასთანავე დასაბამი არ იყ-  
 ვეს საზოგადოთ სკოლისა და ეს უგანასაჩნელი კიდევ ისეთი რამ  
 არ იყვას, რომლის გარეშე ფრიად ძნელად და შეეყრსებით არ  
 ვრცელდებოდეს იმ მეთოდების შეთვისება, რომელიც იმას  
 წარმოუდგენია ყოვლად-მსსნელ ფარ-სმლად და რომლისათვი-  
 საც ტუეილა-უბრალოდ გაუმართავს იერემიას გოდება. მართ-  
 ლაცა და ვინ არ იცის, დიდა, თუ ჰატარა, რომ ჩვენში სწავ-  
 ლის ნაკლებულობა და სწავლა საშინლად გუჭირია. ვინ არ  
 იცის, რომ ჩვენს გიმნაზიაში წრეულს ერთმა ჩვენმაც არ და-  
 ასრულა გურსი. შაალებმა და თონიკებმაც კი იციან ესა. მაგ-  
 რამ ვგონებთ მათ ისიც იციან, ყრუთ მანცა, რად და რა მი-  
 ზეზით ტრიალებს ჩვენს ქედზედ ეს ცაცხლის კეკრი. ხუდა-  
 დოვი კი, თუმიცა ასჯერ მათზედ ნასწავლია, ასჯერ იმათზედ  
 უკეთ იცის, მაგრამ მანცა არ იტუვის, რა არის ეგ მიზეზი,  
 რომ ქართველებში სწავლა ნაკლებ არის გაგრცელებული, ვიდ-  
 რე სომსებში, თათრებში და ლეკებშიაც კი. არ იტუვის, რად  
 დატრიალდა ასე საკალალოდ ჩარხი მარტო ჩვენთვის, როდუ-  
 საც უწინ, როცა...

მაშ რა არის ჩვენი წერილის დედა-აზრი, რომელმაც შე-  
 აშოფოთა ჩვენი მოკამათო. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ «ახალ-

გაზდობის :ღზღა საშინლად ცუდად არის დადგენილი, მისი გზა და კვალი უგვანოა და არ შეეფერება სალი გონების მოთხოვნილებას. სკოლიდამ გამოდევნილია სამშობლო ენა, სამშობლო ისტორია, დედა - ლიტერატურა და ახალ-გაზდობა მშობლიურს სტიქიონებს მოკლებული, მახინჯდება გონებით და ირუენება ზნეობით, ჰკარგავს ესტეტიკურს გრძნობას და მშობლიურის პოეზიითაც კელარს ტყება.» ამის გამო ვასკვნიდით წერილის ბოლოს შემდეგ აზრს: ახალ-გაზდობა საზოგადოთ და სტუდენტობა კერძოდ, გადაგვარებული აღზრდისაგან, თუბ-ჰვეშ უამირს ნიადაგს მოკლებული, თავის დღეში კერძესძებს შესარულას თავის მოვალეობა სამშობლოს წინაშე. უცხო სივრცეში და უცხო სტიქიონების გავლენის ჰვეშ აღზრდილს, მას შეაქვს მშობლიურს ცხოვრებაში განხეთქილება ღუბედურება, ლიტერატურაში — წვრილმანობა და მონებრივი ბაძვა.

როცა კრიტიკულად განვიხილეთ ჩვენი აღზრდის და განათლების სისტემა, ეს აზრი დავამყარეთ.

სწორედ ეს აზრივე მოჰყავს ბ. ხუდადოვს ღ ბრძანებს: «მარტო ერთი-ღა გვაკვირვებსო, რატომ ბატონ კრიტიკოსს და მის მოგაკასებს თხოვნა არ შეუტანიათ მთავრობასთან, რომ აეკრძალოს ქართველებს სწავლა გიმნაზიებში, თორემ ხომ სულ დაიღუპა სამშობლოო.» (გვ. 169).

დიდება თჰვენ მახვილ-გონიერებას ბ. ხუდადოვო! ნუ თუ თჰვენ კერა სედავთ, რომ თითჰმის მიუელი საქართველო თხოვლობს, რომ ის გიმნაზიები, რომელშიაც ქართველობა სწავლობს, რუსულ-ბერძნულ-ლათინური არ ივენენ, მაგრამ დღემდის მის გამგონი არავინ არის. ნუ თუ არ გინდათ დღეს მანტ მოინელოთ ის აზრი, რომ ქართველობაში ქართული სკოლა

უნდა იყოს, ისე როგორც კერ მოინელა ეს აზრი აქამოდე იმ 14-მა უგუდმართმა, რომელთაც მიაცხეს 14 შავი წინწყა-ლი ხალხის წმიდა და საჭკეენო გარდაწვევტილებას; ნუ თუ არ გინდათ დაინახოთ, რომ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაუ-რობამ და ქუთაისისამაც საგუბერნიო კრებებში კენჭის-ყრის დროს გადაწვევტი საკუთარი ქართული გიმნაზიის დაარსება ღ ალარ უნდა მოესწროს თავის შვილების დამსინჯებას და გა-დაგვარებას. ახა რასა ხედავთ ამ ფაქტებში ჩვენი ცხოვრები-დამ და ჩემს აზრში აღზრდის შესახებ სხვას რასმე, იმის გარ-და, რასაც თვით საზოგადოება და ქვეყანა თხოულობს, რის-თვისაც ხარჯს იღებს და ყოველი მსხვერპლისათვის გამზადე-ბულია?! მაშ რათ ამბობთ თქვენგე თქვენს წერილში, რომ სკო-ლაც არის და სკოლაცაა. «იგი მარტო სახელია ხშირად და განვითარებისთვის ბევრჯელ კბილ მოსაჭრელი ყოფილაო.» (გვ. 183.) მოიგონეთ თქვენგანკე მოყვანილი მაგალითი რე-ზუიტიების სკოლებზე პარაკვანიში.

ან იქნება თქვენ გგონიათ, რომ გიმნაზია, ქართულია თუ რუსული, უნივერსიტეტი, ქართულია, თუ სპარსული, სულ ერთია? ოღონდ კი კარგი იუკეს, თუნდ ერთი რომელიმე ხალ-ხისთვის, თორემ ყველასთვის კარგი იქნებაო?! მაშ ახა ჩა-კვირდით ამ პირველივე წიგნიდამ ამოღებულს ციტატას გიმნაზიებზე: «ხალხთა - შორისი სკოლები, ანუ საერთო სკოლები, უარ მყოფელნი მოწაყეთა და შეგირდების ვი-ნაობის და ეროვნობისა, უგვანონი არიან და შეუძლებელ-ნი» («Международныя школы, т. е. школы, от-рицающія всякую національность своихъ учени-ковъ, нелѣпы по мысли и не возможны въ дѣйстви-тельности.» «Вѣстникъ Европы» 1882 г. № 4, გვ. 66).

777, სტატია ჩეკალასი) შემდეგ იქვე: «უარყოფისათანავე კულტურის საზოგადო სახისა, უარყოფილ შემსახლსთა-შორისი საზოგადო სახე სკოლისადა... ცხადია, რომ ყოველი ხალხთა-შორისი ახუ უფრო სკოლა, ვითქვამთ რომ ამ გვარი სკოლა რუსულ ნიადაგზედ იქმნას გადმოტანილი, ვერ დააკმაყოფილებდა ხალხის მოთხოვნილებას... ერთის სიტყვით გადმოტანა ჩვენს ნიადაგზე იმ სკოლისა ნამდვილ შეუძლებელია» გემსაზია თუ სხვა უმაღლესი სასწავლებელი მარტო ცოდნის მომცემი სკოლა ვი არ არის, იგი ხასიათის აღმზღელი და მიმართულების მომნიჭებელიც უნდა იყოს უთუოდ. მისი მოვალეობაა მოამზადოს იმდენად ახალ-გაზდა, რომ თავისით შეეძლოს მას თავის განათლების განგრძობა, შეეძლოს აღვიდეს წინდელი კულტურის სიმაღლეზედ და ჭეშმარიტი გამძრველობა და დადგრობილება გამოიჩინოს. «მხოლოდ ამ სიმაღლეს მიღწევის მარტო ის, ვინც შეიგნო ღ შეისწავლა კულტურა თავის ხალხისა კაცობრიობის განების განვითარებასთან ერთად და მასთან დაკავშირებით.»

ჩვენი წერილის დედა-აზრიც და ამ აზრის განმარტებაც, ჩეკალას სტატიიდან ამოწერილი ციტატებათ, იმიტომ ვი არ მოვიყვანეთ, რომ ხუდადოვს დაკუმტვიცოთ იმის შემცრება ღ უკუდო-მასვილობა, არამედ იმიტომ რომ ამ დედა-აზრის მტვიცედ დამკარებით მეორე ჩვენი აზრი სტუდენტობის მიმართულებაზედ გამოთქმული იმ ჩვენსავე წერილში, მტვიცედ იყვას დამკარებული ამ მცენიერებისგან გამოკვლეულ ჭეშმარიტს აზრზედ. ან ის აზრი? სტუდენტობას უნდა ჭჭონდეს გამოკვლილი არა უცხოეთის სკოლა, არამედ ნაციონალური, რომელიც აღზრდის მასში ერკვნულს მიდრეკილებას, მამულის სიყვარულსა და შესწავლის თავის ქვეუანას და ხალხს, მის კულტურას. ამ

გვრი სტუდენტობა, სწავლა-აღზრდით შემთავრებული. გინდ რუსეთში გაგზავნე მკრე, გინდ ჩინეთში, იგი არ დაიკრება, უფლებანი შეიღია თავის ქვეყნისა. ამიტომ რომ ეს ღრმად ექნება გართსმული თუკეები სამშობლო ქვეყანაში ნ ციხანაღურა სკოლის შემწეობით. სულ რომ კლამობლიტობა ჩაჩინისოთ და ჩინეთის უძვეველობა, მისთვის სამსახურის სამშენიერე, ის მანინტ ეროვნულს დროშს არ უღალატებს.

ვიდრე გი ეს ჯერ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზნის გამო, არ მომხდარა, ჩვენდა სამწუხროდ და ჩვენი სამშობლო ქვეყნის სავალალოდ, ჩვენს სტუდენტობას, სხვაგან გგზავნილს, უოველგვარი შიში და საფათი მოეღის. გადაბირბაცა, გადაგვარებაცა და გადამხინჯებაცა, როგორც კორპუსების დროს მოსდიოდა.

ჯერ ჯერობით გი, რომ სტუდენტობა მაგრად და მტკიცედ იდგეს ამ შემთხვევების წინააღმდეგ უცხოეთში, ჩვენის თუქრით, მას უნდა ჰქონდეს შედგენილი მჭიდრო წრე. რომელსაც თავის საკუთარი ინტერესები ექნება, თავის ცხარე გულის დამწველი „საკანძო და დაწვევლილი კითხვები“, რომელთა გადაწვევითათვის იგი უნდა ემზადებოდეს, როგორც კორპონობის წარმომადგენელი გონიერი ჯგუფი, მის (კორპონობის) ხორცი ხორცთაგან და ძალი ძვალთაგან. ამ წრემ უნდა შეიკოს ის საკლი (პრობლემა), რომელიც აწინდელმა გიმნაზიულმა განათლებამ მას შესძღვნა: უნდა შეისწავლოს ქართული ენა, ქართული ისტორია, ლიტერატურა, მშობლიური კლასიკური და აწინდელი პოეტები, სამშობლო მხარე, რამდენადაც შეიძლებოდა უცხო ქვეყანაში; უნდა გამოიკვლიოს საერთო პროგრამა მოქმედების სამშობლოს მიმართ სამსახურისათვის, მისგან წამოყენებული პრობლემის და აწრობითი კარამის, ასე

თუ ისე გადასწვეტად, იქ—თეორეტიკულად და აქ,—ადგილობრივ, — პრაქტიკულად.

ჩვენ ვამბობდით რომ, ჩვენის ფიქრით ამ გზას უნდა დაადგეს უცხოეთში გამგზავრებული ჩვენი სტუდენტობა. უკეთეს სტუდენტობა დაადგება ამ გზას, რომლის წინამორბედ მჩვენებელად ს. ლ.—ძის კორესპონდენცია იყო კიევიდამ, მასინ აღვილად მოსახერხებელი და სწორედ შესაძლებელიც აქნება მისთვის იმ მძიმე მოვალეობის შესრულება, რომლის ტვირებასაც ჩვენ და ს. ლ.—მე მოველოდებით სტუდენტობისაგან, ე. ი. იგი პირდაპირ ვალდებული და თანამდები არის, ადრე თუ გვიან, ჩასდგას ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივი მეცნიერების საფუძველი და დაამყაროს ეტნოგრაფიული, ეკონომიური და სოციალური მეცნიერება. ხოლო ამ გვარი მეცნიერება აუცილებლად საჭიროა მშობლიურ პროგრესისათვის. სტუდენტობის და მზაკრობის ისინი, ვინც ამტკიცებს, რა საჭიროა ქართველებს მეცნიერება ჭეონდეთ ქართულ ენაზედაც. ჩვენის ფიქრით, ყოველივე თავის ბუნების-და-გვარად უნდა განვიითარდეს. ენაც ერისათვის ბუნება არის და თავის კანონისამებრ მითხროვს განვითარებას და ზრდას.

ზემოხსენებული მიმართულების სტუდენტობა, როგორც ჩვენ დავსახეთ სასურველად და ზემოხსენებულისავე მოვალეობის აღსრულება, რომელიც ჩვენ მიგვაჩნის საკვლადებულად სტუდენტობისათვის, მოგვცემს ჩვენ მთელს რაზმს მოწინავე საზოგადო მოღვაწეებისას, განათლებულს და სამშობლო მხარის მოყვარე ახალ-გაზდობას, რომლის სამღვთო, წმიდა საგნად, სჯულად, მოუგვლელ წუგრვილად იქმნება სამშობლო ქვეყნის დაცემული ვინაობის აღდგენა, დამატრული არსებობის მოსპობა. მართა იმ გვარს ახალ-გაზდობას, გონებით განათ-

ლებულს, თავის ქვეყნის ავ-კარგის მტოდნეს და მის ძალუმს მოყვარეს შეუძლიან მთელ ხალხთან, მთელ ჩვენ ქვეყანასთან ერთად, ჩვენი სამშობლოს სამარცხვინოდ გულ-საზარი მდგომარეობა აღმოცოს, დათრგუნოს, დალეწოს და მოაშოროს მას ყოველივე მისთვის მაგნებელი უცხო გაკლენა და სტიქიონი, რომელიც ესლა გრიგალივით მუსრს აკლებს ყოველსავე, რასაც ეროვნობის სახე ატყვია, რაც შეადგენს ჩვენს პიროფასს საგანძეს, ჩვენს ნაციონალურს იერს და თვისებას, რაც ჩვენ მამა-პაპათ, ჩვენთ წინა-პაპთ დიდის ღვაწლით მოუსხვეჭნიათ და ანდერძად გარდმოუციათ ჩვენთვის მტკიცედ დასაცველად.

ეს კი მაშინ მოხდება, ვიმეორებ კიდევ, როცა აღზრდა მშობლიურს ნიადაგზე დამყარდება, როდესაც ამ საძირკველზედ აკება ტურფა შენობა ბრწყინვალე ეკროპიული, საკაცობრივო განათლებისა და არა უკუღმა, როგორც ესლა ჩვენში არის.

ვამბობთ და ვამტკიცებთ ამას მართო ხუდადოვის და ვილაც ა. ნა—ლის წინააღმდეგ კი არა, რომელნიც აკაკის დამურასაკით არც ჩვენ გვეკუთვნიან, არც სხვას, არამედ ყოველთავე მათ წინააღმდეგ, რომელნიც იონესიანს და არწრუნს ამოსდგომიან გვერდში თავისვე ცნობიერების გარეშე და ცოფით ამტკიცებენ, რომ საქართველოს სალხი ველური იყო და დღესაც ველურიო, რომ მას არც წარსული ჭკონია და არც მომავალის იმედი უნდა ჭკონდესო და დასასრულ, საქართველო და საქართველოს სამეფო წარსულში ფიქტია, ოცნება იყო და არისო. ჩვენ გვესმის ჭკვიანი იონესიანის და არწრუნის გულის კითარება ისე, როგორც ბ. ხუდადოვის გულის პასუხე-ბი გვეუფრება, ჩვენ გვესმის, რად ეტანჯვით და ეტანჯვებით

მათ სული და რად გვიჩვენონ რომ წარსულს თავი დავანებოთ (ის. მოწ. სტ. გ. აწწრენისა, გადმობეჭდილი "Kavkaz"-ში № 165, რომ შეუჩივდეთ იმ ყოჩას, იმ statu-quo-ს, რომელიც მსოფლიოდ მათთვის და მათ თანა-მოაზრეთათვის აწის სასარგებლო.

მაგრამ ჩვენ ამისთანა საღსთან საერთო არა გვაქვს-რად და ესეც დავაშავეთ, რომ ამდენი ყურადღება მივაქციეთ მათ.

ბრ. შოთშოძე.

უსლარი და იმისი თ-ფულევა

«უძველესნი თქმულებანი გავკვას ასე.»

(წერილი მეორე).

ერთი იმ საგნთ განსა, რომ ის გამოარკვევას იღვწის  
დღეს კაცობრიობის გონება—შეადგენს იმ ადგილის აღმოჩე-  
ნა, რომელიც უოფილა კაცობრიობის შირკ ღ დედა ქვეყანად  
მის აკენად. უეთუ შეუძლებელია, რომ აღმოჩნდეს ის ადგი-  
ლი, სადაც დასახადი მიუღ ა მოქალს კ ცობრიობას და სადაც  
ჩაც შეიძევ მას დ-უ'ახლებ ა მთელი დედა-მიწის შირი.—ქ-  
ნება შეიძლებოდეს მცნაერები თვის, რომ მაგნებელ იქმნეს  
შირკ, ლ-ს: მძობლო, აკვანი ისტორიული ხ ლსებისა, მ: გალი-  
თებრ, ქუშის მოდგმა, რომელმაც შექქმნა განათლებ ეკვიპტე-  
ში და განავრცლა იგი დასავლეთს ა'თი ში იქვე განსდა, თუ  
იქ სხვა ქვეყნიდამ მივიდა, ბინ დრობა დასდო და ახალი სამ-  
შობლო გაიჩინა. აგრეთვე სეპიტის მოდგმა, მის შემდეგ გა-  
მოსული სასახარეზოდ და დაბ. ნადრებულთ ტიგროს-ეფრათ  
ტოსს ბასსეინსე. აგრეთვე კიდევ არიის მოდგმა—ეს უნიტიე-  
რესი და უმლიერესი გონების ჩასა, რომელმაც დაასახლა მთე-  
ლი ევროპა, სასახარეზოდ გამოვიდა ეველახე გვიან, ე: ი  
სიმიტის შემდეგ, გადააჭარბა ერთსაც და მეორესაც გულტუ-  
რული ძალით ღ განათლების შემოქმედობის სიმძლავრით, ევ-

როპის მკვიდრი მცხოვრებელი იყო, თუ მოსული სხვა ქვენიდამ. ის საკვირველნი ერნი, რომელთაც აღმოაცენეს ატტიკისა და აზინის ნადაგზე ძველი კლასიკური განათლება, ეს წინამორბედი უუდიდესი და უუძლიერესი აწინდელი ევროპის განათლებისა—ვინ იყვნენ, სდაურები და საიდგან მოსულნი? თვით წინა-პარნი ესლანდელი განათლებული ევროპისა—გაღლები, კელტები, გოთები, საქსები, ნორმანები, ვინ იყვნენ, სდაურები და საილამ მოსულნი?

უკვლავ ჩამოთვლილი მოდემის ხალხები, როგორც ქუშისა, სიმისა და აჩიისა, თუ მკვიდრნი იყვნენ იმ ქვეყნებისა, სადაც აღმოაცენეს თავისებური განათლება, მაშინ რაღათ სთვლიან იგინი თავიანთ თავს მოსულებად სხვა ქვეყნებიდამ. რად არის მათ გარდმოცემაში, საწმუნოებაში, მატინეში ჩვენება, მითითება მასზედ, რომ ისინი სხვაგნადგან მივიდნენ თავიანთ ახალს ბინაზე. თუ მართლა სხვაგნადგან მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ისტორია მათ აღმოაჩენს, სად არის და რომელია ის ადგილი, სად არის ის პირველი სამშობლო მათი, სადა პირველად მათ თვალი აქსილათ, იხილეს ნათელი ღვთისა, იყვნენ ბედნიერ. ერთის სიტყვით სად არის მათი სამოთხე, მათი ედემი, რომელსაც ოთხი წყარო სდის, ოთხივე მხრით მოდის და იმ ოთხი წყაროთი მოიწყვის უოკელი არე.

აი საგანი სადავოთ, საეჭვოთ და საბასლოდ გამხდარი, არა თუ მეცნიერებს შორის, არამედ თვით ხალხთა შორისაც. მართლაც ჭლირს იდავოს მეცნიერებამ ამ საგნის შესახებ ჭეშმარიტების დასამყარებლად და ხალხმა იმ ქვეყნისათვის, რომელიც უნდა ისახლებოდეს ედემად და სამოთხედ.

თუ მართლა ზღაპარი არ არის, რომ ერთი ქვეყანა იყო პირველ სამშობლოდ უკვლავ ისტორიული ხალხებისა, რომ იქა-

დამ დაიფანტენ და დაბინადრდნენ იქ, საცა ისტორიის მათ აღ-  
მოაჩენს, — მაშინ ჩვენთვის ფრიად საინტერესო უნდა იყოს,  
რა ქვეყანას წარმოადგენს ჩვენი კავკასია, თუნდ საქართველო  
იმ ხალხთა გამფანტველი ქვეყნის შესახებ, რა გვარ დემოკრე-  
ბულებში უნდა იყოს იგი და რა ადგილი ეჭირს ანუ ეჭირებო-  
და ხალხის გაფანტვის და მიხეთქ-მოხეთქების დროს იმ ქვეყანას-  
თან შეედარებით. იქნებ თვით ეს ჩვენი ქვეყანა ის ედებია, საცა  
დასაბამი მიიღო კაცობრიობამ, საიდანაც გამოვიდა და გაიფან-  
ტა სხვათა-შორის ის ხალხიც, რომელთ ნიჭის და განათლე-  
ბის წინაშე ყველაფერი ძირს ერთხმის და მუხლს იდრეკს?

წინააღმდეგს შემთხვევაშიც, ე. ი. თუ იგი ამ გვარ ქვეყნად  
არ შეიძლება იქმნეს ჩათვლილი, აგრეთვე კავკასიის როლის  
გამორკვევა იმ უძველესი მაგრამ საქართველოსთან უახლოესი  
ქვეყნების შესახებ, რომლებშიაც პირველად დამუარდა განათ-  
ლება და ტივილიზაცია, უნდა არა ნაკლებ საინტერესო იყოს  
ჩვენთვის.

აი ამ საგნების გარკვევისათვის გვურს ჩავიცვათ რკინის  
ქალაქები და დავიჭიროთ რკინის ჯოხი. მაგრამ ესლავე  
კვრძნობთ, რომ რკინის ჯოხი უნდა მოკსტყურდნოთ იქით,  
მის მაგივრად უნდა გავიმძღვაროთ წინ უსლავი და მას და-  
გემუაროთ მტკიცედ.

## I

უძველეს ხალხებში ჩვენ ვიცით სხვათა-შორის სამი ხალხი,  
რომელთაც დასტოვეს ცოტა რამ წერილობითი სახსოვარი; ამ  
წერილობითი ნაშთის შემწობით, თუმცა ძნელად, მაგრამ შე-

იძლება გამოიჩვენოს, სად უოფილნი ისინი პირველად და იქი-  
დამ, როგორ მისულან იმ ქვეყანაში, რომელშიაც შემდეგ გა-  
უტარებიათ თავისი არსებობა. ერთია — ებრაელნი სიმიტის  
მოდგმისა, მეორე — სპარსელები ანუ ერანელნი და მესამე — ინ-  
დუსები. ეს ორი უკანასკნელი, ორთავე არიის მოდგმისანი  
არიან. პირველის შესახებ წყაროდ გვაქვს დატოვებული დაბა-  
დება, მეორისა — ზენდ-ავესტა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ნაწი-  
ლი მეორე ნასკასი და მისი პირველი თავი «კენდადადი», მე-  
სამისა — რიგ-კედა. დავიწყოთ ებრაელებიდან.

დაბადების შექმნათა წიგნში წინასწარ-მეტყველი მოსე  
სწერს რომ წარღვნის დროს კიდობანი შედგა არაქტის მთებ-  
ზედად. ამ საფუძველით მრავალნი დაწმენებულნი არიან, რომ  
არაქტის მთის ახლო-მასლო ადგილები იყო ებრაელთა სამ-  
შობლო და მათი სამართხე, რომელიც, დაბადებას თუ ვერ-  
წმენთ, უნდა უოფილიყო თვით კაცობრიობის აკანად, თუ ეს  
ძნელი დასაჯებელი იქმნება, მაშინ ის მანც ადვილად მისა-  
დებია, რომ წარღვნის შემდეგ განახლებული კაცობრიობა გამ-  
ჩაგდა და აღორძინდა იმ ადგილებზე. ის ოთხი მდინარე,  
რომელიც მოსხენებულთა დაბადებაში და რომელიც რწევდა  
სამართხეს, სასულდობრ, ფისონი, გეონი, ტიგრი და ეფრათი,  
ადვილად წარმოსადგენი იქმნებიან. ტიგრზე და ეფრატზე ლა-  
პარკი მეტიც არის, რადგან მათი ადგილი გეოგრაფიულად  
კარგად ვიცით. ოღონდ ორი შემდეგი მდინარე დაჭბადებს ეჭვს  
და მათი სასულების ახსნა ცოტა არ იყოს გასჭირდება.

ამის ასახსნელად და უოკლის ეჭვის გასაფანტველად სა-  
ჭიროა თვალი გადავაგლოთ ებრაელების ისტორიას, შევევთ  
ქანანშიდამ და გამოვიცნოთ სად არიის ის ადგილი, საიდანც ებ-  
რაელნი გამოდგნაწარღვნამ ქვეყნის დასასახლებლად. აი ერთი

ადგილი შექმნათა წიგნიდამ: და მოიყვანა თარგა აბრამი და მენი ივიისნი და ლოთ მუ არჩანისი, მუ ძისა თვისისა, და სარჩა რძალი თვისი, ცოლი აბრამისი, ძისა თვისისა, და გომოიყვანა იგი სოფლისაგან ქალდეველთასა (УрЪ Халдейскій), წარსკლად ქვეყანად ქანანისა და მოვიდა ვიდრე ხარანამდე და დაემკვიდრა მუნ. (შექმნათა წიგნი XI, 31.) ჩვენ ვიცით რომ თარგამ ვერ მიაღწია იმ ქვეყანას, სადაც მიდიოდა, ესე იგი, ქანანას და მოკვდა ხარანში. მაგიერად აბრამი მივიდა იქნობამდის. ჩვენ ვიცით სად არის ქანანა\*). საჭიროა შევიტყოთ, რომელი ქვეყანაა ურ-ქალდეის ქვეყანა, სამშობლო თარგისა, საიდანაც ის აუცილდა ქანანში წასასვლელად და გზაში ვი მომკვდათ ხარანის ქვეყანაში. მუშასადაცუ სამშობლო თარგისა უნდა იყვეს, დახლოებით, ქანანიდამ დაწყობილი, ხარანს იქით აუოლებასე. ხარანის მდებარეობის ახსნა ადვილია: სემიტურს ენასე ხაროანი ნიშნავს მზისგან მომწვარს, მოტლექილს და გახურებულს ქვეყანას. ქანანიდამ ხარანა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მდებარეობს ეფრატის მარცხენა ნაპირზე. ასე, ამ მიმართულებით რომ აჭევე, შესაძლევთა ველოურს მთიანს ქვეყანაში, რომელიც მდებარეობს მდ მურადის ტიგრის და ეფრატის სათავეებს შორის, ანუ არმენიას, მესოპოტამიისა და ასსირიას შუა. აი ეს ქვეყანა უნდა მიგვანდეს ყველასევე უწინარეს თარგის სამშობლოდ, ქალდეის ქვეყანად, როგორც დაბადებაშია მოხსენებული ამავე ქვეყანას ბერძნულ დაბადებაში ქქვიან სორა ტონ სალდეონ, ებრაულში ურ-ქასადიმ.

\* ) საკუთრად ქანანუ ხნა ნიშნავს ადაბლობს ქვეყანას, ალაგსა, წინააღმდეგ სიტყვისა არამ, რომელიც ნიშნავს ამაღლობს. აგც.

ცხადია, რომ ქასდი, კასდი და ხალდ-კალდი ერთ-მნიშვნელობისანი არიან. მაგრამ როგორ გადაკეთდა ებრაული კასდიდამ—ბერძნულ თარგმნაში კალდი? სანის გარდაქმნა დასად ადვილი მისახვედრია თვითლოგისათვის, მით უმეტეს, როცა სიტყვა სხვა მოდგმის ენაში შედის, ამ ორს სიტყვის შუა რომ შეათანა ფორმა წარმოვიდგინოთ კარდ, ანუ ქარდ, მაშინ უფრო ადვილად მისახვედრია პირველი სიტყვა მეორედ როგორ გარდაიქმნა. უკეთეს კარდის მაგივრად ქართულს ენაზე ავიღებთ ამ სიტყვას, გამოვა კარდი კი არა ქართი \*). ესეა სულ უფრო ცხადათ. სჩანს, რომელი უნდა იყოს ის ქვეყანა, სადაც თარგმის სამშობლოს უჩვენებენ. იმ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხზე აი რამდენ-გვარს სასკლს მოუღწევია ჩვენამდის: მაგ. ქართაკელნი, კარდუსიელნი, გორდუელნი, ქერთიელნი, ქართნი, ქერთნი, ეს უკანასკნელნი ესლაც სცხოვრობენ, იმ ალგას, სადაც თარგმის სამშობლო უნდა ყოფილიყო.

თვით ებრაელების სასკელი ევერ, ებერ, ებრა-ელი ჭნიშნავს, როგორც ინდო-ევროპიულს, ისე სიმიტურს ენებზე: იქით, იქით მხარეს, trans და სხვ. ებრაელნი ქანანაში მისულნი იყვნენ ევრატის იქითა მხრიდამ, იქითა ნაპირიდან. ასევე წარმოსდგა სასკლ-წოდება იბერია, ივერია, იქითა ქვეყანა, სომხეთის მთას გადაღმა ჩვენი საქართველოსათვის.

აგრეთვე არის ერთი საფუძველი, რომელიც ნებსა გვამლევს ურ-ქალდეა მივიღოთ იმ ქვეყნად, საიდანაც თარგმ ქანანაში გამგზავრებულა. ლექსის ურ-კასდიმის ნაწილი ურ და

\*) იქნება ეს ქართი და ამ ქართველის ქვეყანა რამე კავშირშია ჩვენ სიტყვასთან, ქართლი და «ქართველები.» ავტ.

ჩვენებური ეთნიკური სახელი ებრაელებისა, უჩია, თუ ერთი თესვისა არ არის ევერ, ივერ, იპერ'-თან, მანტ, როგორც სახელ-წოდება ებრაელი ხალხისა ჩვენში, საუურადღებოა. ისე რომ ცხადია კავშირი, რომელიც უსათუოდ უნდა არსებობდეს ურ-ქაღდასს, ანუ ესლანდელს ქურთისტანს ჭებრაელთა შორის.

რომ ქურთისტანიდამ გამგზავრებულან ებრაელნი ქანანეთში, ამას ამტკიცებს სხვათა შორის გვარ-ტომობის ხე თარხისა (არფაკსადამდის აღსული) და ცხადათა ჭხატავს, როგორ მიიწევდა წინ-წინ ებრაელი ხალხი. მის აღწერილობის ზოგიერთ სახელები იმ სოფლების სახელებია, რომელიც ესლაც არსებობენ, ქანანეთისკენ რომ გზაზედ მიდისარ.

ამ მოსაზრებათა გარდა უსლარის თხზულებაში ორიოდე ღონიერი მოსაზრებაც არის, მაგრამ მათი გაუგალა შორის წაგვიყვანს, და ამიტომ მის დასკვნას ესლავე მოვიყვანთ. ეს დასკვნა ის არის, რომ არამც თუ ებრაელებისა, არამედ მთლად სიმიტების პირველ სამშობლოდ შესაძლებელია მიღებულ იქმნას ის მთიური ქვეყანა, რომელიც აუუღებია და ქსაზღვრავს მესაოპოტამიას ჭ მის ვაკე-მინდვრებს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ. ეს ქვეყანა ურ-უასდამის ქვეყანას, სამხრეთი ნაწილთა სომხეთისა.

მაგრამ ნამდვილად ეს ქვეყანა კი იყო აკვანი სიმიტებისა, სადაც ისინი დაიბადნენ და საიდანაც შემდეგ დაიფანტნენ? ამის ასახსნელად დაკუგდოთ უური უსლარის მეორე რიგის მსჯელობას, რომელიც, როგორც პირველი, ჭაჭვივით არის ასხმული და რომლიდანაც ერთს რგოლს კერ გამოაგლებ. როგორც პირველ-რიგის მსჯელობის მსვლელობა, არგუმენტაცია, ვერეთვე მეორე რიგისა, ისე მტკიცე მეტნიერულია, მისი ანალიზი ისე ღრმად უწევს, რომ თუმიცა ცოტა ალაგი გვაქვს,

უნდა ცოტა სხის მანც შეკრდეთ და ცარი ღ მშრლ დას-  
 კნათ ვარდა, თვით ის გზე უქკსოთ მითსკელს, რომელსაც  
 უსლარი ადგია მეტნაერულ გამსკვლევას დროს, და რომე-  
 ლიც პირველი მთავარი სსს არია გონების ვარჯიშისა და გან-  
 ვითარებისათვის.

სომხის მწერლები ათ სსსარი მოსწრებით ამტკიცებენ,  
 რომ არარატის მიდამო ადგალები იყო პირველი სამშობლო  
 კცობრობისა. მოსე სორენული არარატის სასიელ წოდებას  
 სომხას მეფე არისაგან აწარმოკებს, რომელიც ვითომ იმ ად-  
 გილას მოეკლას სემარამიდას. ზოგიერთნი გი ისე ატანენ ჭკუას  
 ძაღს ზემო მოყან ლის აზრის დასამტკიცებლად, რომ სასა-  
 ცილო გამოდის იმათი საბუთები და არამც თუ სომხის მწე-  
 რალნი, არამედ მრავალნი სსგა ძველ დროის მწერალნიც და  
 მათ რიცხვში ეკროპიელნიცა. მტკამ სასაცილო მწერლებს და  
 მისტიურს გამოკვლევებს გზას აუქცეუთ და მოვიყანთ რა-  
 უმერისა და გოძის აზრს ამ საგნას შეასებ, რადგან მათი  
 საბუთები ცხდათ და გრკვევით არიან გამოთქმულნი. კიდო  
 ბნის მთა, როგორც ამით მოსაზრეს, უთუოდ მდებარეობდა  
 ისეთს ადგილას, საიდანაც ადგილი იქმნებოდა ხალხის გაყან-  
 ტვა უოკელ-მსრივ ეკცენტრიულად, ისეთ ადგილას, სადც შე-  
 იერებიან სსგა და-სსგა მსოფლიო გზებო, თვით ბუნებისგანვე  
 გაკვალულნი, რომელთ შემწეობით სსგა და-სსგა კუთსებებისკენ  
 ადგილი იქნებოდა გამგზავრება ნუჯა-ნუჯა.

მართლაც ცნობილია, რომ არარატის მთის მდებარეობას  
 ამ ნაირი თვისებანი აქვს: 1. მას უჭირავს თითქმის შუაგუ-  
 ლი ძველად ცნობილი ქვეყნებისა და ძალად ძველი მატერიკი-  
 საც, 2. თითქმის შუაგულივე დიდრ აფრიკისა და აზიის უდაბ-  
 ნოთა ზოლისა. 3. სმელთა შუა ზღვების შუაგული გიბრალა

ტარნიდამ დაწყობილთ ზაკალამდე, და 4. შუაგული თვით გარეშემო-მდებარე ზღვების მიმართ: შავის, კასპიის, სმელთა შუა ზღვისა, მეწამელი ზღვისა და სპარსეთის ეურესი.

მაგრამ როგორც სხანს აქ შუაგული მდებარეობა ანატოლისა უფრო გარეკანად არის მიღებული, სივრცე-სივრცეზე დაშვარებული, ანუ მატემატიკურად არის გამოყვანილი. შუა-გულობა საღსო გარდასახლებისა, გაფანტვისა, სულ სხვა გვარია. იგი შუა-გულობა უნდა მოიძებნოს ბუნების ფიზიკურს მოწყობილობაში, ჭკვის ერთნაირობასა და სხვა და-სხვაობის გარჩევასა და საზოგადოდ ცხოვრების უოკელ-გვარ შირობათა შეწყობა-ლებაში. ფიზიკური გეოგრაფიის ბეჭითი შესწავლა გვარწმუნებს, რომ ანატოლი არ უნდა შეიცავდეს უოკელ-გვარ იმ შირობათა, რომელიც საჭიროა ჭკონდეს ვაცობრიობის შირველ გაჩენის ალავს. მის აქეთ-იქითვე მდებარე შავი და კასპის ზღვა ისეთ სიძნელეს წარმოადგენს გადასახლებისათვის, რომ მისი მორეკნა ანამც თუ ახლად გაჩენილს საღსს გაუჭირდება, ანამედ ათასი წლობით გამოცდილს საღსსაც შესჩერებს და შეაყენებს.

ამას დაკუმატოთ ის მოსაზრებაც, რომ თვით სახელწოდება ანატოლისა არა ნაირად არ აიხსნება სომხურის ენის შემწვობით. იგი გადმოღებულია მათგან უცხო ენიდგან. სომხურად ამ მთას ჭკვიან მასის—დიდი, მაღალი, რომლის იქვესი საერთოა ინდო ევროპიულ ენების სიტყვებთან: მისონ—ბერძნული, mees—გოთური, most ანგლიური, massa, მასსა ჭ სხვ.\*).

\*) საფიქრებელია, რომ იგი წარმოსდგებოდეს სემიტურის ენების ფესვიდგან არ—მაღლობი, ორჯერ არ, როგორც სემიტურის ენების თვისებაა, უფრო დიდს მაღლობს აღნიშნავს.

აგრეთვე ჭბადავს ეჭვს განმარტება დაბადების ტექსტისა: «და დადგა კიდობანი მათა ზედა აწარტისასა.» ამ ტექსტში სხვათა შორის საეკლესიო ერთია: თუ მოსეს მართლად აწარტის მთები ჭჭონდა სასეში, არ გამოჭსატავდა თავის აწრს ისე ბინდ-ბუნდათ. აწარტის მთას სრულებით განსხვავებული მდებარეობა აქვს. არეზის ლელეზე განკერძოებით ამართულია იგი და რის მწვერვალს წარმოადგენს ერთს ამდლებულს ივესზე. მოსე არას ამბობს ამ მთის მწვერვალზე ის ამბობს მხოლოდ: და დადგა კიდობანი აწარტის მთებზედაო.

ამ სახით, რამდენიმე სიტუციით რომ გამოვსატოთ, რაც გამოვირკვიეთ აქნობამდის, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

1) მოსეს თქმულებანი ებრაელების პირველ სამშობლოზე და თვით კაცობრიობის აკვანზე უჩვენებენ იმ მთიურს ქვეყანას, რომელიცა სძევს ჩრდილოთ და ჩრდილო აღმოსავლეთად მესოპოტამიიდან და რომელსაც სამდგოთ წერილში ჭჭიან არარატის ქვეყანაა.

2) დაბადებისაგან მოხსენებული ქვეყანა შეიცავდა არმენიასაც, მაგრამ არა იტყვიან არ ამტკიცებს, რომ მისი ჩრდილო და აღმოსავლეთის სამზღვრები ეთანსმებოდეს თვით ნამდვილს და მის ბუნებითს სამზღვრებს. უფრო მეტის დაბეჯითებით შეგვიძლიან ვითვქროთ, რომ იგი ჩრდილო და აღმოსავლეთის სამზღვრები აწარტის ქვეყნისა ებრაელებისთვის ცხადათ არ იყო წარმოდგენილი და ჭჭრებოდა შორს, სადღაც მიუწდომელს სივრცეში \*).

\*) ზოგიერთი ძველი ხალხი იმ ქვეყნებს, რომელთა მდებარეობა არ იცოდა, სხვა-დასხვა ბნელს სახელს უწოდებდა: შავი ზღვიდან ჩრდილოეთისკენ და აღმოსავლეთისკენ ქვეყნებს — ს კ ვ ი თ ე თ ს უძანდა, თქ-

3) დაბადების გეოგრაფიული ცნობანი გვიჩვენებენ, რომ აჩარატის ქვეყანა ჩრდილო-მხარეა მესოპოტამიისა. რომ ეს ქვეყანა, რომელსაც ურ-ქასდიმიცა ჭქვიან, იყო სამშობლო ებრაელთა მამათ-მთავრისა, აროფსადისა, რომელიც იყო შვილი სიმისა და შვილის-შვილი ნოესი.

4) უკეთუ აქ შევწევტ გამოკვლევას და დაბადების ტექსტს მეტის უურადლებით აღარ ჩაუგვირდებით, მაშინ სრულიად კაცობრიობის ისტორია და გარდმოცემა კიდობანზე უნდა მივსთვითსოთ სამხრეთ კერძოს არმენიისა, ანუ ქურთისტანის მთებს. მაშინ შესაძლებელია დასკვნას კაცმა ის აზრი, რომ დიდი არმენია და კაკასიის აქეთა-მხარე დასახლებულ იქმნა სამხრეთით და რომ შემდეგ, კაკასიის აქეთა მხრიდამ, დასავლეთიდან, აღმოსავლეთის მხრისკენ დაიწყო ხალხმა დენა და დასახლება აზიის შუა-გულისა.

ხალა ამ ნაირი დასკვნა სრულიად წინააღმდეგია უკვლამ ცნობებისა, ხალხთა განთავსებაზე და გარდასახლებაზე, რომელიც ჩვენ გვაქვს სხვა წყაროებიდან შეძენილი და სხვა საბუთიან მოსაზრებაზედ დამყარებულნი. ცხადია, რომ თუ ეს დასკვნა გამოუყანილი დაბადების ტექსტის გარჩევიდამ, არ არის მისაღები, უნდა განვაგრძოთ გამოკვლევა მისი, უნდა მეტის უურადლებით ჩავაკვირდეთ მოსეს ნაწერს ამ საგანზე და იქნება სტრიქონებს შუა მანც ამოვიგითხოთ რამე და ზოგიერთა მის ბნელ აღაგს ისეთი სინათლე მოეფინოს, რომელმაც უცბად გაგვინათოს გზა პირველ სამშობლოსკენ. პირველად.

სუსილამ ანუ ამუდარიადამ აღმოსავლეთისკენ — თურანს, სამხრეთისკენ ცხელს ქვეყნებს — ეფიოპიას. იქნება ამ გვარივე ბინდ-ბუნდი წარმოდგენა ქქონდათ ებრაელებს არარატის ქვეყანაზედაც. ავტ.

შევნიშნოთ, რომ ანარქტის ქვეყანა, ანმენია, სძევს მესობოტამიიდან და სენაარის ქვეყნიდან ჩრდილოეთად, იქ საცა, სამდგომო წვრილისამებრ, პირველად გაჩნდა ადამიანი. რადგან მოსეს უნდა აღნიშნოს მთავარი მიმართულება ებრაელთა გარდასახლებისა, იგი სსკაფრივ ვერ იტყუდა თუ არ ისე, რომ ებრაელნი ჩრდილოეთით წამოვიდნენ, უკეთუ იმათი გამოხვევა მოხდა ანმენიიდან. მაგრამ შემდეგ გვითხულობთ: და იყო ძეგლსა მათსა აღმოსავლით, გამოხვევის გული ქვეყანასა სენაარისასა და დაემკვიდრეს მუნ. (შექ. წიგ თ. XI, 2.) კაცის შექმნის შემდეგ «დანერგა ღმერთმან სამოთხე ედემს აღმოსავლეთით და დადვა მუნ კაცი, რომელი შექმნა» (თ. 2, 8). ეს და სსკა ამ გვარი გამოხატულებანი, თუმცა ანათერს გარკვეულს არ წარმოადგენენ გეოგრაფიულად, მაგრამ მაინც სშირად იმეორებიან, თითქო ყოველივე მოთხრობილი მოხდა აღმოსავლეთისკენ, სადღაც შორს სენაარის ქვეყნიდან, სადღაც შორს შუა-აზიისკენ. რომელიმე სსკა მსარე ქვეყნისა, არსად არ არის მოხსენებული. განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე ედემის ქვეყანა, რომელშიაც აღმოსავლეთისკენ დანერგილი იყო სამოთხე \*) და რომლის ოთხ მხრივად მოდიოდა წყარო.

როგორც ამ წერილის თავშივე მოგისხენიეთ, ის გარემოება, რომ ერთი ადგილიდან ოთხი მდინარე გამოდის, ცოტა არ იყოს ანაკს მოაგონებს კაცსა. ისე რომ ზოგნი კი დეც მისტიკურს მნიშვნელობას აწერენ დახადების მიერ ედემს.

\*) იქნება თვით ეს ჩვენებური სახელ-წოდება ედემისა სამოთხე წარმოსდგება იმ სამი თუ ოთხი მდინარის საჩვენებლად, რომელიც თითქმის ყოველი ხალხის აზრით რწყავდა სამოთხის არე-მარეს. ავტ.

მის აღწერას. მაგრამ აქ საინკო არაფერია. ამის მიზეზი უფრო ის უნდა იყოს, რომ გიდროგრაფიაზე მაშინ სხვა-გვარი წარმოდგენა ჰქონდათ. იმ მთიან ქვეყანას, რომლის ხეობებში ერთმანერთთან ახლო-მანლო სათავე აქვს სხვა-და-სხვა მდინარეს, საერთო წყალთ დასაბამად, მდინარეთ სათავედ სთვლიდნენ. ამ გვარი ადგილი ჩვეულებრივ მოცულის მისტიკურის სიწმინდით. იქიდან მომდინარეობენ წყალნი, «რომელნიც რწყავენ მთელს ქვეყანას» (წიგ. შექ. 11, 6).

თვით მოსესაგან დასასვლება ედემის მდინარეებისა და მათი აღწერა ამტიკიებს, რომ მას აქვს ცოტად თუ ბევრად წარმოდგენა მათ ადგილ-მდებარეობაზედ. — მდინარე ოთხია: ფისონი, გეონი ანუ გიზონი ებრაულად, ტიგროსი (სიდეკელი ნამდვილში) და ეფრატოსი (ეფრატოსი). ორი პირველი მდინარე ერთსელ კი იქმნა მოსსენებული ღის იყო და ის აღარსად არის მათი სსენება დახადებაში. ცხადია, რომ ისინი სადღაც ისე შორს იმყოფებიან, რომ მათი მდებარეობის მოსაზრება სიმბტელთათვის მათ გაგების და მათთვის ცნობილ ქვეყნების გარეშეა.

უგანასენულად მოსსენებულია მდ. ეფრატოსი, მერე ტიგრი, რომელნიც, რასაკვირველია, ექვს არა ჰბადავენ. მდინარეების ჩამოთვლით სჩანს, რომ იგინი დასახელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მოყოლებული და ფისონი არის მათ შორის ყველაზედ შორიელი მდინარე, უფრო აღმოსავლეთისკენ მომდინარე.

მოსეს თქმა, რომ ოთხი წყარო ერთი დასაბამიდან გამოდისო, ჩვენ გვაბედვინებს მოგებნით ამ ნაირა დასაბამი და რასაკვირველია, ყველაზედ პირველად ჩვენი გონება აქცევს უურადლებას ეფრატის და ტიგრის გარდა. მათ სათავეებთან ახ-

ლო გამოძინაზე ჭოროხს ანუ მტკვარს და არეზს, რომელსაც აგრეთვე ძველად ერქვა ფაზისი, ფაზ, რაიცა ძლიერ წაგავს სამოთხის მდინარის სსხელ წოდებას ფისონს. ედემი, თუ მართლაც ამ ოთხი მდინარის სათაგეებით იყო შემოფარგლული, არ უნდა ყოფილიყო ვრცელი ქვეყანა; მის სამსღვრებში მოჭეუებოდა ერევანის არარტიც, და მსარე არფაქსადიც, სსდაც, რომორც წინედ იყო ნახევენები, დაიწყო ნამდვილი (ПОЛОЖИТЕЛЬНАЯ) ისტორია ებრაელებისა.

მაგრამ დავაკვირდეთ ამ ორი მდინარის შესახებ მოსეს განმარტებას, რომელიც საეჭვოთ ხდის ამ ნაიწს აზრს.

«სსხელი ერთისა ფისონ: ესე გარე-მოუგლის ყოველსა ქვეყანასა ევლატისასა (Хавиль რუსულად.) მუნ არს ოქრო. ხოლო ოქრო ქვეყნისა მის კეთილ და მუნ არს ანთრაცი და ქვი მწვანე, და სსხელი მდინარისა მეორისა გეონი: ესე გარე-მოუგლის ყოველსა ქვეყანასა ეთიოპიისასა, (რუსულად КУШЬ).» რომელი უნდა იყოს გეონი — ამის გამოცნობას ჯერ-ჯერობით თავი დაკანებოთ, თუძცა ბევრით საიტიქრებელია, რომ იგია, ოქს-ისი, ესლანდელი აძუ-დარია, რომლის ნაშირების მადამო მსარე, ძველი ბაკტრიანაა. პირველი საქმე უფრო ფისონის გამოცნობაა, რომელიც ყველასე აღმოსავლეთად მდინარეობს. მისი სსხელი, რომელიც ახლოა სსხელთან ფაზ, ფაზისი, ერთი ფესვისა უნდა იყოს სსსგრიტელს სიტყვებთან: ეიზან; ნიშნავს წყალს, სველეთს და სსზოგადოდ სსხელ-წოდებაა აზიის მრავალ მდინარეებისა. აქედან wasser, water, წყალი. ეს მტეიტებს იმას, რომ სემიტებისაგან არ არის სსხელი ფისონი დარქმეული. ხოლო იმ ქვეყნის სსხელი, რომელსაც, დაბადების თქმით, იგი რწყავდა, ევლატის ქვეყანაა ანუ ჭავილა, ის ქვეყანაა, რომელსაც რწყამს ინდის სათავე, — ქვეყანა ჭავილებისა,

ძველი ძლიერი შავგვრემანი ინდოეთის ტომისაგან დასახლებული. ეს ის ქვეყანაა, სადაც ბერძნების აზრით აჩის მდინარე გაშენდა. ამ ქვეყნის მცხოვრებლებს პტოლომეოსი აბოლიტებს ეძახის და იმათ ქალაქს — ქაბურის, რომელიც აჩის ესლანდელი ქაბული.

ასე და ამ სახით, ცოტა არ იყოს, სიმატლეს ემზავსება ის აზრი, რომ ფისონი სამოთხისა ესლანდელი ინდის მდინარეა. ეს მზავსება სიმატლესა ჭეშმარიტებად გადაიტყვას ინდოეთ-სპარსულს სამღვთო თქმულების გარჩევის დროს კაცობრიობის პირველ აკვანზე. ვერ-ვერობით გი ის აზრიც გიკმაროთ, რომ ედემის აღმოსავლეთის კერძო ვრცელდება იმ ადგილამდე, სადაც ინდისა და ოქსუსის სათავეებია, დასავლეთისა — ტიგრისა და ეფრატს უწევდა. «განვიძეოროთ ასლა ერთხელ კიდევ — იტყვის ესლარი, თითქო ჭეშმარიტების შუქით გასარებულაო, — «სამღვთო ტექსტი, რომელსაც უნდა მოეთიხოს ასლა სულ სხვა ახალი სათელი: «და დანერგა ღმერთმან სამოთხე ედემის აღმოსავლით და დადგა მუნ კაცი, რომელი შექმნა.» (თ. 2, 8.)

«როგორც საზოგადო დასკენა, გამოკვანძული დაბადების ადგილების გარჩევით, რომელნიც მოგვიტარებენ კაცობრიობის თავ-გადასავალს, ისტორიასე უწინარეს დროს, ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ებრაელების აზრით, კაცობრიობის აკვანი იყო შორს, აღმოსავლეთის კერძოდ, აზიის შუა-გულში».

აქედამ, ამ შუა-გულიდამ იწყება და გაუოლილია ქვეყნის ყოველ კუთხისაკენ ლენტივით ზოლები გზებისა, რომელთა შემწეობით გაიფანტა ხალხი და დაბინადრდა სხვა-და-სხვა ადგილს. განშორებულნი სავითო აკვნიდამ, მისგან შორს გა-

ფანტულნი საერთო ძმანი ერთმანერთს შესვდენ და ერთმანერთი ველარ იცნეს.

«ჩვენ შევიტყობთ შეძლებ, რომ ეს ხალხთა ურთი-ერთი შესვედრა სწარმოვობდა მომეტებულად კავკასიაში, სადაც სხვა და-სხვა გზა იყრება ერთად და, სადაც უდიდესი მთათ-სავანეები აუმაწთავს ბუნებას, როგორც ზღუდე და თავ-შესაფარი გზით დამაშვრელ შოგზაურ ხალხთათვის.»

## II

მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა ადრეა დარბაზობა და დღესასწაული ჭეშმარიტების აღმოჩენისათვის. ნათელი ჭეშმარიტი ჯერ კიდევ სრულად არ აღმოებრწყინებულა. ყოველივე ეჭვის გასაფანტველად სხვა უძველესი ხალხის თქმულებათა გარჩევას უნდა მივმართოთ, თუ ისე ვრცლად არა, როგორც ებრაელთ თქმულებანი განვიხილოთ, მოკლედ მაინც.

ინდუსების და ინდოელების უძველესი ლიტერატურული სასწავლო და ნაშთი, რომელიც სასულ-იწოდება რიგ-ვედთ, სწორედ მანათობელი ფარანია იმ ძნელი საგნის გამორკვევისათვის, რომელიც შეეხება კაცობრიობის უძველესს თავ გარდასაკლს და ისტორიას. იგი სამდგომო საგალობლებს შეიცავს და დაწერილია სანსკრიტული ენით, რომელსაც მონათესაობა ეტუობა და გასაოცარი მზგაკება აქვს ბერძნულ ენასთან, ლათინურთან, სპარსულთან, გერმანიულ და სლავიანურ ენებთან. ამ აზრის დამყარება სწორედ ეპოქა შეიქმნა თეოლოლოგიაში და დიდდ ტნობის-მოყვარეობა და მეცნიერული გამოკვლევანი გამოიწვია. გამოკვლევებამ აღმოჩნდა, რომ სანსკრიტულ ენას,

თუმცა დიდი მზგვანება აქვს ევროპიულ ძირეულ ენებთან და საზოგადოთ ასრულ-წოდებულ არიულ ენებთან, მაგრამ მაინც ეს იმასა არა ნიშნავს, რომ ეს სხვა ენები მისგან წარმომდგარან და რგი ამ ენათა ჯგუფის ძამათმთავარია. როგორც ამ ჯგუფას ენა, ისე თვით სანსკრიტული, წარმომდგარან სხვა უფრო უძველეს ენისაგან, რომლის მიგნება და აღმოჩენა, რასაკვირველია, ძნელა მცნეიერებისათვის. რიგ-ვედა, თვით შინაწისთ ეკუთვნის, ძნელ რომ ცოტა ითქვას, მეთოთხმეტე საუკუნეს ქრისტ. დაბადებამდე ამ გვარად ასეთ უძველეს დროს ინდოელები უკვე ასჯარეზობენ ინდოეთში. მაგრამ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ინდოეთი მათი პირველი სამშობლოა და ისინი იქაურთ მკვიდრნი არიან და არა სხვაგნდამ მისუღნი? ჯერ ერთი რომ, ინდოეთში ათასი სხვა ხალხიც არის დასასლებული და სხვა მოდგმისანი, რომელთა შორის სრული გარჩევაა, როგორც სახით ისე ფერით და ანტროპოლოგიურად სსეულის მოყვანილობით. ფერის გარჩევაზეა დამუარებული იქაური ხალხის დაყოფა კასტებად და თვით სანსკრიტული სიტყვა ეარნა—ჩვენებურად კასტა—ჭნიშნავს ფერს. ხოლო ანტროპოლოგიურად ინდუსები არაფრით არ განიჩევიან თითქმის სრულიად ევროპიულ არიელებისაგან. ინდუსები შეადგენენ იქ მთავარ-კასტებს, ხოლო დაბალს—დევნილნი და, უსათუოდ, მათზე უძველესნი მცხოვრებნი ინდოეთისა სხვა-დასხვა მოდგმისა და ტომისა (დრავიდიის ტომი). ამ დევნილთ უჭირავთ ხრიოგი და უნაყოფო ადგილები დევნის მთათ-ვაკეებზე. ხოლო ნაყოფიერი ადგილები, განვის და ინდის გედი, დაუსაკუთრებიათ მისუღს და გამარჯვებულს ინდუსებს.

რიგ-ვედიდამ სჩანს, რომ ინდუსები აქ გაჩენილან პირველად მდ. ინდის ნაპირებზე ინდოსტანის ჩრდილო-დასაკლეთის

კუნტულში. მასში ხსენება არ არის ამ დროს განგისა, რომელიც უაღრესად როლს თამაშობს ინდუსების სამღვთო ისტორიაში, და სჩანს, რომ იგინი მოქმედობენ მხოლოდ იმ მიჯნებს შორის, რომელნიც ჭასზღრაკენ აწინდელს პენდუასს (შვიდ-მდინარეთი.) თუმცა ინდუსების ხსოვნაში დაშთენილი მოგონებანი, როგორც მოგახსენეთ, თითქმის მეთვრამეტე საუკუნის უწინარეს დროს ეკუთვნისან ქ. და-მდე, მაინც იგინი გარეშე თვით ინდოეთისა არააან შეეხებიან ზ მჭიდროთ შეზღუდულნი არიან თვით ინდოეთის სამზღვრებით.

ჩვენ შევნიშნეთ ზევით, რომ ებრაელები, თუმცა თავიანთ თავს სთვლიან გამოსულებად ჩრდილოეთით, არფქსადის ქვეყნიდაჲ, მაგრამ აღმოსავლეთის მხარესკენ აქვთ ყურადღება მიზნობილი იქითკენ მიანინათ მათ ის ადგილი, სადაც, როგორც მათ, ისე კაცობრიობას დასაბამი მიუღია, სადაც არის ედემოსასაც არფაქსადი და არარატის ქვეყანა შეადგენს ებრაელთათვის, იმას პენდუასი წარმოადგენს ინდუსებისათვის. მათ მაინც მის გარეშე, სხვაგან აქვთ მიზნობილი ყურადღება ებრაელებისაკით. კაცს პირველად ეგონება ებრაელები აღმოსავლეთს იმისთანა სიწმიდას და ნეტარად ცხოვრების თვისებას იმიტომ აწერენ, რისთვისაც ყველა ხალხი თითქმის მოწიწებით და კმაყოფილებით უცქერის იმ მხარეს, საიდანაც მზე ამოდის, სინათლე და გამაცხოველებელი სითბო ეფინება ქვეყანას. მაგრამ ინდუსების შესახებ ეს სრულად ასე არ არის. მათ თვალში სიწმინდე აღმოსავლეთს ვი არა აქვს, ბრწინვანებით და სხვიცისკროვანებით შემკულია სხვა მხარე ქვეყნისა, სასულდობრ ჩრდილოეთის მხარე, ინდოეთიდან და უფრო პენდუასიდან რომ ვინგარიშოთ. იქ, იმ მხარეს, ჩრდილოეთად ამაღლებულია

მრგვალი ოქროს მთა მერუ, რომელიც მუდამ ბრწყინავს, მანათობლობს.

სად არის ეს მერუ დი სად უმდა მოკძებნით მისი ადგილი ნამდვილს გეოგრაფიაში. სსუუქველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მერუ არ არის რომელიმე განკერძოებული მთა. ვკისილი; იგია ძალაღი, ვრცელი მდოვლეთი (ПЛОСКОГОРЬЕ) მთლად მთიანის თათარეთისა და ტიბეტისა. ამ ადგილის შუაგულად უნდა მიღებულ იქმნას, სახელდობრ, ის სივრცე. სადაც, როგორც ზემოთაც იყო მოხსენებული, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წამოსულია ქედი იმაუსისა, პირდაპირ გადასჭრის გინდუ-კუს ჯვარედინად და ჯვარს ქსახავს აზიის შიგ შუაგულას. ამ მთა-ვაკედამ, მთლად რომ ავიღოთ, მომდინარეობს იაქსარტი (სირ-დარია) და ოქსუსი (ამუ-დარია). გელმუნდი აგვანისტანისა, ინდი, ვანგი და ინდოსტანის ბრამა-პუტრა.

ამ სახით ჩვენ ვხედავთ, რომ ინდუსების წარმოდგენით მერუს ისევე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ედემს სემიტებისათვის. «არ შეიძლება არ შევნიშნოთ, იტყვიან უსლარი, რომ თუმიცა, სულ სხვა-და-სხვა შესედელება ჰქონდათ მსოფლიოზე ებრაელთ სჯულ-მდებელს და ინდუსების კედების შემკრებელს, თუმიცა ერთი აქეთ იყო და მეორე ცხრა მთას იქით, მათ ჰყოფდათ ერთმანერთისაგან მრავალი საუკუნე და მამსადამე ერთმანერთისაგან ვერას ისარგებლებდენ, მაინც ედემი და მერუ ერთს და იგივე ჰქეყანას წარმოადგენენ, გეოგრაფიულად ერთსა და იგივე ადგილზედ უჩვენებენ.»

ან რა მოსაფიქრებელია, რომ ინდუსები ესლანდელს თავის ჰქეყანაში იყვნენ ჯვარს და აქედამ მერუ სხვაგან წავიდნენ ჩრდილოეთისკენ. დასტოვეს ტურთა და მდიდრად შექეული

ქვეყანა და გასცვალეს იგი ჩრდილოეთის ქვეყანაზე, საყინულეთზე, ხიმავატის ქვეყანაზე (ხიმავატ წარმოსდგება სანსკრიტული სიტყვიდან ხიმა—თოვლი, საიდანაც წარმოდგარია მეტე ზიმა (ЗИМА), იქნებ სიტყვაც ზამთარი, ლათინური hiems. უფრო ჭკუაზე ახლა არ არის გიფიქროთ, რომ ამ ცივს ქვეყნებს მათ თავი დაანებეს და სამხრეთისკენ დაეშენენ. თეთრ-კანიანი ინდუსები დღესაც თავიანთ თავს ეძახიან ირია, თავიანთ ქვეყანას არიავარტა. ირანის მცხოვრებნიც თავიანთ თავს ეძახიან ირია და მათი ქვეყნის სახელიც ირანი, აქედამ წარმოსდგება. უსლარის თქმით, ირანის არიელნი დასავლეთისკენ გამგზავრებულან და დაუსახლებიათ ესლანდელი ირანის პლატო სომხეთამდე და მცირე აზიამდე, ხოლო ინდოსტანის არიელნი—სამხრეთისკენ. პენდუბოს მისულან, ბენგალთან მოუხვეკიათ და თვით ნასეკაჩ კუნძულზედ მოთენილან. «ამისათვის არ შეგვიძლიან არ დავასკვნათ, ამბობს უსლარი, რომ ინდოეთის არიელნი მისულნი იყვნენ თავიანთ ქვეყანაში ღმივიდნენ იქ ჩრდილო-დასავლეთიდან.»

### III

დაგვრჩა ჩვენ ახლა განსახილველი ირანელების თქმულუბანი ამ საგნის შესახებ. როგორც ზემოთაც მოვისსენეთ, ეს თქმულუბანი დატულნი არიან კენდიდადში. კენდიდადი ნაწილია იმ სამღთო წიგნისა, რომელიც შეიცავს ძველ ირანელების რელიგიურს მოძღვრებათა და რომლის შეთხზასაც მიწერენ ზორასტრას. ეს წიგნი იგივეა ირანელთათვის, რაც დახადება ებრაელთათვის და კედები ინდუსებისათვის. მაგრამ

საიღამ გიციო ჩვენ უკელა ესენი. ვინ აღმოაჩინა ეს წიგნი, ვინ ამტკიცებდა უმთა უფსკრულიდამ ეს დიად ღრმა ძველი ნაშთი, რა ენაზეა დაწერილი, შესაწინარებელია ის სიძველე, რომელსაც მას მიაწერენ და რა დასკვნა შეგვიძლიან მის განხილვისაგან გამოვიყვანოთ ჩვენ იმ საგანზედ, რომელიც ამ წერილის საგნათ გაგვიხდია, ე. ი. ამტკიცებს ეს წიგნიც, რომ კაცობრიობა უნდა გაჩენილიყო აღმოსავლეთისკენ, სადაც იმასი და გინდუ-გუ ჯვარედინად ერთმანერთს გადასჭრის და ჯვარს ქსასავს აზიის შიგ შუაგულს, სადაც არის ესეა მდოგლეთი პამირი?

შეიძლება უკელა ამ კითხვების განხილვას თავი დაკანებოთ და მკითხველს მხოლოდ ცარიელი და მშრალი დასკვნა წარუდგინოთ. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ფრანცუზმა ანკეტილ დე-პორონმა იპოვა წიგნი ზორთასტრისა, რომელსაც ზენდ-ავესტა ჭკვიან და რომელიც დაწერილია ზენდურს ენაზედ. ხოლო ეს ენა უძველესი სპარსული ენაა, უფრო უძველესი, ვიდრე ის, რომელიც ლურსმულ ნაწერებშია ამოკითხულა ნემეტი გროტიევენდის და ლასენისაგან ასირო-ბაბილონის და პერსეპოლისის ნანგრევებში და რომელზედაც ლაპარაკობდენ ახემენიდების დინასტიის დროს ირანელები 5 საუკუნის წინედ ქრ. დაბადებამდე. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ზენდ-ავესტის ენა ისევე ძველია, როგორც სანსკრიტული, რომელზედაც ვედების დაწერილი, ამ უკანასკნელთან აქვს ნათესავური კავშირი, არის და ანუ მძა მისი, მისგან არ წარმომდგარა, როგორც სანსკრიტული არ არის წარმოშობილი ზენდურიდგან და დასასრულ თვით გაჩეკა ზენდ-ავესტისა გვიჩვენებს, უფრო ცხადად, ვიდრე «დაბადება» და «ვედები», რომ კაცობრიობას იქ მიუღია დასაბამი, სადაც იმასი და გინდუ-გუ და სხვანი . . . სადაც

მდებარეობს მთა-ველზე მშვენიერი საბალახო ადგილები ჰამირისა, იმ ჰამირისა, რომელსაც ისევე ასწერან ეხლანდელნი მოგზაურნი, მაგ. ინგლისის აფიცერი გუდი, როგორც დაბადება ასწერს ედემს, როგორც ველები—სუ-მერუს, ოქროს მერუს და თვით ზენდ-ავესტა—აირიანო-ვაედუოს, ირანელების სამოთხეს.

მაგრამ ჩვენ არ გვინდა მოვიქცეთ ასე, თუძცა ძალიან მცირე ადგილი გვაჭკს უჩინალში ნაწილადეკი. მშრალი დასკვნების მაგიერ ჩვენ გვსურს წარგუდგინოთ მკითხველს თვით ის მოსაზრებანიც, რომელთა შემწობითაც ის დასკვნანი გამოკვანძულან. საკმარისი არ არის და არც გონებას, ცნობის მოყვარეობას დააკმაყოფილებს, რომ ვიცოდეთ გროტენიენდმა ლურსმური წერილები წაიკითხაო და ეს ამოიკითხაო, ე. ი. უცნაური ნაწერი უცნაურს, აწ გამჭრალს ენაზედ ისე წაიკითხა, როგორც ესა ჩვენ ქართული წიგნი წავიკითხათ. საჭიროა ვიცოდეთ, როგორ და რა გზით, რა გონებრივი პრეტენსიით მოასერეს შეუძლებელი, სძლია უძლეველობას. ამას რომ გავიკებთ, მარტო მაშინ მივხდებით, რა სიძლიერე აქვს მეცნიერულს მეტოდას, რა იდუმალობა და ბუნების სვაშიადები შეუძლიან მას თვალ-წინ გადმოგვიძალოს, როგორ ადგილია მაშინ თვით დასკვნის, აღმოჩენილის ჭეშმარიტების, მეცნიერების «უგანასკნელის სიტუკის» დასსომება, ცნობიერად დასწავლა და შეთვისება.

ეხლანდელნი სპარსელები, ეჭვი არ არის, უძველესი ირანის მცხოვრებლების შთამომავალნი არიან. დიდს დროსა და ყამს გაუგლავ მას უგან, როცა მთლად ირანი დასახლებული ყოფილა ერთის ენით მოლაპარაკე ხალხით. ძველი ბერძნების მწერალნი (გეროდოტი, სტრაბონი) ჭმოწმობენ ამ გარემოე-

ბას. «სხვა-და-სხვა სახელის ხალხი, რომელიც მკვიდრობს ირანის შდოკლეთზე, თითქმის ერთსა და იგივე ენაზე ლაპარაკობს: სპარსნი და მიდიელნი, ბაქტრიელნი და სოლდიელნი თითქმის ერთ-ენოვანნი არიან» იტუვის სტრახონი. მაგრამ ეს ასეა თუ არა, მაინც ერთი ცხადია, რომ ეხლანდელნი მკვიდრნი ირანისა ძველების შთამომავალნი არიან და ამათი ენაც, რომელიც ესლა ბარე ოთხია, იმ ძველი ირანელი ენის (ერთი იყო თუ ბევრი) გადასხვაობება უნდა იყოს. ესლა ჩვენ ვსე-დავთ შემდეგს ენებს სპარსეთში: 1) აფგანურს, (პუშტუ, პაკ-ტუ) 2) ბელუჩი, რომელიც აფგანურის შტო უნდა იყოს, 3) სპარსული, რომელსედაც მიდიარი ლიტერატურა არსებობს და 4) ქურთული. სხვებს რომ თავი დაკანებოთ და სპარსული ავიღოთ, შევნიშნავთ, რომ მას მრავალი რამ გადაჭყდია თავის-თავის არსებობის განმამკვლობაში და ძველა ხასიათი თითქმის სრულიად დაუკარგავს. უსლარისა არ იყოს იგი წაგავს ძალზედ გაფერულს მენდალს, რომელსედაც სრულიად აღარ ეტეობა მოხაზულობა და სახეები. მაინც იგი წმინდად არის დაცული ფერდოუსის ზომაში მეთერთმეტე საუკე, რომელსაც შაჰ-ნამე ჭკვიან და რომელიც ჩვენში როსტომიანად იწოდება. ასე რომ ავეკეთ ზემო-ზემო საუკუნეებს, თან უფრო მცირედ შეკვსდება წმინდა სპარსული და შევნიშნავთ, რომ სხვა ენები შემოსულან და გაბატონებულან სპარსეთში, მაგალითად მესამე საუკუნეიდან დაწეობილი ქრ. დაბადებამდე მუსულმანობის გავრცელებამდე თქვენ იშვიათად შეხვდებით სპარსულს. მაშინ სპარსეთში სულ სხვა ენაა. ამ ენას ჭკვიან ფეჭლვი და შემოსულა არშავიდების დინასტიასთან ერთად ვიდრე ეს დინასტია მეფობდა, მათ ენას დიდი მნიშვნელობა ჭკონია და მასზედ უწარმოვანია მწერლობას და შეტადრე სამეფო

მწერლობას, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და დაცულია იესდ-  
ში. მაგრამ მისი გარჩევა წარმოადგენს დიდს სიმძლეეს, რად-  
გან იგი გაგრძელებული უოფილა მცირედ და მოლოდ სამ-  
დვთო ენად მიუღიათ აწმკიდების სასიამოვნოდ და მათთვის-  
ვე გადაუღიათ ამ ენაზე უოკელივე სამდვთო წიგნი. აი ის ენა,  
რომლიდანაც უთარგმნიათ პექლეკურს ენაზე წიგნები, ანის უმ-  
კვლესი ენა სპარსელებისა, ეხლა ისევე მკვდარი, როგორც  
თვით პექლეკი. მისი სახელის ზენდი: ამ ენაზეა დაწერილი  
წიგნი ზოროასტროსი, ცეცხლის თაყვან-მცემლობის სჯულის  
დამაარსებლისა. თუ პექლეკის ენის გაგება გასჭირდა, რასაკვირ-  
ველია, ამ ზენდურისა ხომ საარაკო სიმძლეეს წარმოადგენდა.  
მაგრამ ერთმა შემთხვევამ უშველა მსწავლელს ფრანცუზს ეგვ-  
ბურწუფის მისი გაგება. ეს შემთხვევა იყო პოვნა ზენდ-ავესტის  
თარგმანისა სასტრიკელს ენაზე, რომელიც ბურწუფმა გარკა-  
იტოდა. ეს ისეთივე ბედნიერი შემთხვევა იყო, როგორც რა-  
ზეტის ქვის პოვნა გიეროგლიფების გარჩევაში, იმ რაზეტის  
ქვისა, რომელზედაც ერთი და იგივე აზრი გიეროგლიფებით  
თაც იყო დაწერილი და ბერძნულათაც.

ეხლა დამტკიცებულია ევროპიელი მეცნიერებისაგან, რომ  
ზენდ-ავესტის ენა ძლიერ დიდი ხნის ენაა. ბხნიერებით თით-  
ქმის სასწავლოების ენის ტოლია, რომ იგი ისე წაგააკვს ამ  
უგანასკნელს, როგორც იტალიური ფრანცუზულს. აი ამ ენებ-  
ზეა დაწერილი ირანელების სამდვთო წიგნის ტექსტის ვარ-  
ჩევა ქვეყნს ნათელს ჩვენს საგანს; თუმცა პირველ ხანებში კი  
უსაფუძვლო აზრით დაჭადა მისმა გარჩევამ. ანკეტილი, სხვა-  
თა შორის დამყარებული იმ მოსაზრებაზედ, რომ ზენდ-ავეს-  
ტის ტექსტში მოხსენებულია ქვეყანა ეფრიემენო (აირიამან),  
მთა ალბორსი, მკვე ვისტასპა, სრულიად დაჯერებული იყო,

რომ ზოროასტრი მოქმედებდა არმენიაში. არმენია არჩ.ნი. ეს  
 სახელ-წოდება მთელი კავსიის აქეთა მხარისა, სრული მიმ-  
 ზგავსება სახელ-წოდებას ეკრემენო, აირიამან. აღბორნი  
 ზენდ ავესტისა გვავონებს იაღბუჩის მთას მანანდერანიდამ  
 სამხრეთად და თვით დიდს იაღბუჩის მთასაც კავკასიის ქედა-  
 სას. ამ მოსაზრებათა ძალით უარაბადი და კავკასია ანგეტილ-  
 მა იცნო სამშობლოდ ზოროასტროსი და თვით ირანელებისა,  
 ეს მოსაზრება მოავონებს კაცს იმ აზრს, რომელიც გავრცე-  
 ლებულა დღესაც დაბადების ანარატის შესახებ და რომელიც  
 მდგომარეობს იმაში, რომ ანარატის მიდამოს სთვლიან აკვნად  
 სემიტის მოდგმისათვის. რომ ვითომ აქედან გაიფანტა ებრა-  
 ელი და სემიტური სახეც ტიგრო-ეფრატის ბასეინისაკენ  
 სამხრეთად და აქედამვე სამხრეთ-აღმოსავლეთად ირანელებსა.  
 ამ სახით კავკასია ზგანსაკუთრებით არმენია კვალად გვესვენე-  
 ბა აკვნად და კაცობრიობის პირველ-სამშობლოდ.

მაგრამ ფაქტების დაკვირვება კვალადვე ჭუნტავს ამ გვარს  
 აზრს. გენდიდადის პირველ ფარავარდში (თავში) არის აწერი-  
 ლი ირანელების უძველესი თქმულებანი ზარატუსტრისაგან  
 (იგივე ზოროასტრი) მათ პირველ-სამშობლოზე და მათგან  
 თანდათანობით დასასვლელზე ირანის მათ-ველისა. ეს თქმუ-  
 ლებანი შეიცავენ მოთხრობას მასზედ, თუ როგორ შექმნა  
 ასურა-მანადამ (არმუზდამ) სამლოხის მზგავნი ქვეყანა,  
 ირანელებისათვის, დაც შემდეგ გაჩნდა ბორთი დიკრთი  
 ანგრომანიუსი (არიმანი) და იმულებულ ჭეო ივინი გარდასას-  
 ლებად მეორე სამლოხის მზგავს ქვეყანაში, რომელიც მანვე  
 შექმნა მათთვის. იქაც გაჩნდა ანგრომანიუსი და ასე ამ რი-  
 გად.

«პირველი ქვეყანა, სავსე სიკეთით და სიტუროფით, რო-

მელიც მე შეკვეთენი, ხოლო მე ვარ ასურა-მასდა, იყო აირიან-  
ნო-კაედელა (წმიდა ირანნი). მასზედ უტურფესი არ მოიბეზებს  
ქვეყნად. მაგრამ მოვიდა სიკვდილის ცელით შეჭურვილი ან-  
გრამინიუსი და გაანინა წყალში, რომელიც იმ ქვეყანას წყუაგ-  
და, დიდი გველი ზამთრისა, გამომავალი დიკებისაგან (ბო-  
როტ-სულთაგან). და იღვა მუნ ზამთარი 10 თვეს და მხო-  
ლოდ ორ თვეს იყო ზაფხული და სსვ...»

მეტის-მეტი იქნებოდა გველიქრნა, რომ ეს თქმულება იმ  
დროს ეკუთვნის როცა დედა-მიწა ციკდებოდა და მერე ვი-  
თომ ისეთის სისწრაფით, რომ კაცისთვის საგრძნობელი იყო.  
ცხადია, რომ აზიის შუა წელზედ იმ გვარი ქვეყანა, სადაც  
10 თვე ზამთარია და მხოლოდ 2 თვე ზაფხული, ძალიან  
ძალღობი მდებარეობისა უნდა იყოს. ამ გვარის იგიზიკურის  
თვისებით მოცულს ქვეყანას წარმოადგენს მთა-ალაგი—ჰამი-  
რი, რომელიც მდებარეობს მერიდიანალურად გაწოწილის ბო-  
ლოურ-ტაგის (იმაუსი) ქედის აღმოსავლეთად და რომელშიაც  
სათავე არის ოქსუსისა. ჰამირიდან სამსრეთად, კუნ-ლუნის  
მთაში არის სათავე ინდისა. ჰამირს დიდი სასული აქვს მთელს  
აზიაში. ბუდდის მლოცვენი მოგვიტოვებენ ძველადვე ერთს  
იქაურს ტბაზედ, რომელშიაც ვითომ გეშაპია (ДРАКОНЪ) და-  
ბინადრებული. (იქნებ ეს გეშაპი ის არის, კენდიდადში რომ ზამ-  
თრის ბატონი-გველია აწერილი \*). 1838 წელს ჰამირი ასწუ-  
რა ინგლისის ავიტერმა გუდმა და ეს აღწერილობა სრულიად  
ეთანხმება იმ აღწერილობას, რომელიც მოყვანილია კენდიდად-  
ში აირიანო-კაედელასთვის, ირანელების პირველ სამშობლო-

\*) ნეუმანის თხზულება: პილგერფარტენ ბუდდისკლინერ პილ-  
გერ ფონ ზინა ნაჰ ინდიენ, გვ. 41, 49.

სათვის. «მაგრამ ეს კიდევ არ კმარა, რომ აზრი რწმენად გადაიქცეს», ამბობს უსლარი მე-120 გვერდზედ. «მეორე კურთხეული ქვეყანა, რომელიც მე შეექმენი, ხოლო მე ვარ ახურა-მასზდა (ორმუზდი—აქედამ ჩვენებური არმაზი), აჩის ის ადგილი, სადაც მდებარეობს სუგდა. მაგრამ აქაც გაჩნდა სიკვდილის ცელით შეტურვილი ანგრამაინიუსი და გააჩინა მრავლად ბუზი, რომელიც ყლუტდა საქონელს.»

ადგილი მისასკედრია, რომ სიცივეს და ზამთარს ძალა დაუტანებია არიელთათვის პირველ კურთხეულ ქვეყანაში და აირიანო-ვაედჯოდამ ჩამოსულან უფრო დაბლობს ალაგას, სუგდას, სადაც ბუზი და მავნებელი მწერი ყოფილა მრავლად. სუგდას, სოგდიანს აჩავითარს ეკვს არა ჭბადავს და მიეთვისებოდა ეს სასელები ძველად ესლანდელს ბუსარას. სუგდას ასეთი ვარკვეული წარმოდგენა ნათელს ჭებენს აირიანო-ვაედჯოს განუსაზღვრელობასა და იდუმელობას. კურთხეულ ქვეყნების შექმნაში ახურა-მასზდის მიერ, სჩანს გეოგრაფიული თანდათანობა, რიგი: ეს რიგი და თანდათანობა განჭქრება, თუ აირიანო-ვაედჯოდ მიღებულ იქმნება რომელიმე ადგილი კავკასიისა. პირ-იქით, თუ აირიანო-ვაედჯოდ, ე. ი. ირანელთ პირველ-სამშობლოდ, საერთო მათ აკენად, მივიღებთ აზიის შუაგულს, იმასის ასლო მდებარე მთიანს, მშეკენიერ საიალლო ქვეყანას, მაშინ ეს გეოგრაფიული თანდათანობა მტკიცედ იქნება დაცული. აირიანო-ვაედჯოდამ დასავლეთისკენ რომ მიმართო, პირდაპირ დაეშეკები დაბლობში, ნაყოფიერს სოგდიანში, ანუ აწინდელს ბუსარაში. ეს თანდათანობავე დაცულ იქმნება, თუ მივიღებთ მსკდელობაში მესამე კურთხეული ქვეყნის შექმნას ახურ-მასზდის მიერ. ეს მესამე ქვეყანა—მოურუ, რომლის კავშირი მორუ, მარუ, მარ, მერვთან შეუძლებელია

კატმა უარ ჰყოს ასე ამ რიგად შექქმნის ახურა გაზდა ქვეუბს და ირანის ხალხიც მიიწვეს წინ; გადადის ერთი ქვეუნიდამ მეორე ქვეუნიში, მესამეში და სსვ. მაგ. მეოთხე ქვეუნი, შექმნილი ახურა-მარადის მიერ, არის ბაგხდი, შეცვლილი სახელი ბაგტრისა, შემდეგ ნისაია ანუ ძველებური ნიზა, ეხლანდელი ნიშაპური ხოროსანში, კვრკანა (გურკანა, გირკანია, ჩვენებური გურკანი ძველებური სახელწოდება კასპის ზღვისა) და სხვადა სხვანი.

ახლა, ყოველივე შემოხსენებულის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლიან მტკიცედ დავასკვნათ, რომ არიის მოდგმის ხალხი, დასახლებული ინდოეთში და ირანის ვაკე-მდლობზედ, გაიფანტა ერთ-საერთო აკენიდამ, ერთ-საზოგადო ცენტრადამ, რომელიც, რასაკვირველია, არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მტრე და ვიწროდ შესდუღული ადგილი. საერთო სამშობლოდ არიელებისა შეგვიძლიან მივიღოთ გრცელი მთიანი ზოლი გინდუკუდამ დაწუობილი, და იმარსის (ბოლურ-ტაკ) ორთავ კალთებზე გადაფენილი, სადაც არის სათავე ოქსუსისა (ამუ-დარია) და იაქსარტესი (სირ-დარია).

ამ რიგად ჩვენ მოვეწიეთ ჩვენს მიზანს. უხლარმა გვიშეკლა, თუ რკინის ჯოხ-ქალამანმა, ჩვენ მივაკენით, ამ გრძელი მოგზაურობის შემდეგ, პირველ სამშობლოს, არამედ თუ მარტო არიის მოდგმის ხალხისას, არამედ სემიტის მოდგმისასაც. ჩვენ მივაკენით იმ საერთო ცენტრს, შუა-გულ და-მიწის ზურგზე, სადაც, როგორც ვიფიქრობთ, თუ არ მთლად კაცობრიობა, ისტორიულნი ხალხნი და ეჩნი უნდა გაჩენილიყვნენ, უნდა მიეღოთ დასაბამი და საიღამაც იგინი გაიფანტნენ და-მიწის ზურგზე, დაასახლეს თითქმის ყოველი მათგანთხე და მისცეს დასაწიისი სხვა-და-სხვა ცივილიზაციას, გა-

ნათლებას, კულტურას. საიდანაც განტოლვილნი რამდენიმე მოდგმის პატარა ჯგუფი, სისტორიო ასპარეზობას დროს და უფრო კიდევ ადრე, დაიუკნენ ათას სხვა-და-სხვა გვარ ჯგუფად, ათას ერად და ათას ნაციად. ორი და სამი ენა, ან იქნებ მხოლოდ ერთიც პირველში, საერთო კაცობრიობის პირველ სამშობლოში, დაიყო ათას სხვა-და-სხვა გვარ ენად, რომელთა კავშირს, ურთი-ერთ შორის ნათესავობას, სისხლის და სორცის ერთიანობას, დიდის მკაცდინეობით და ძლიერ-და-აღმოაჩენს ახლა ენათა-შედარების მეცნიერება.

ერთის სამშობლოდამ გამოსული ერთ-გვარი ხალხი, ერთის ენის, ერთის უნის, ერთის ვითარების შექმნე, დაიყო ჯგუფებად და სხვა-და-სხვა ალაგი დაასახლა, სხვა და-სხვა ადგილის ფიზიკურ ვითარებათა ზედ-გავლენას მიეცა და გადა-სხვაფერდა.

რა კანონებს ემორჩილებოდა პირველ-ქმნილი ხალხი თავის გაფანტვის დროს, რა გზებს გაუდგა იგი ახალი ბინადრობის მოკიდებისათვის ახალს სამშობლოში, რა როლს თამაშობდა და თამაშობს დღესაც ქვეყნის ფიზიკური ვითარება და თვისებანი სხვა-და-სხვა ერის, სხვა-და-სხვა ნაციის შექმნა-გაჩენაში, და დასასრულ, როგორ და რა გზით იქმნა დაბინდრებული ჩვენი კავკასია საკუთრად, — ამას ჩვენ შეძლებს წიგნში გამოვიკვლიეთ.

## თანდილას ღარდი.

ჩათვიჭრებულა თანდილას, დაჟგრეჟია გულ-სელი,  
ჩასტყვის დედა-მიწასა, ჩუმით ბუტბუტებს გულ-სელი:  
«მომიკვდა ხანი გიშეკა, მოკვდა,—გამიწყრა ღმერთის!...  
—სადღა უშოგო მეუღლე, ცაღათ-ღა დამჩნა ერთის?!...  
წილათი მოკხნა ჩაწრეტი, წით ავიცილო შიმშილი,  
წილით გაგუძვე ქვეყანას, წილით ვაჩჩინო ცოლ-შვილი?...  
შენი ჭირიმე, გიშეკა?... ჭირიმე შენი ქედისა!...  
მომცილდი, მომკალ, ბეჩავი,—მწყვარი ჩემი ბედისა!...  
წა უუო შენს ცაღას იმხასა, ვერ მოვიკარე თივითა,  
დარბის თვაღ-დაფუტებუდი, ყვირის ხან-ირემივითა...  
მომიკვდა ხანი გიშეკა, მოკვდა—გამიწყრა ღმერთის!...  
—სადღა უშოგო მეუღლე,—ცაღათ-ღა დამჩნა ერთის?!...»

თ. რაფ. ქრისტაფი.

წ თიბათვეს.  
თბილისი.

## ზინაური მიმოსილვა.

ადამიანი ცალკედ—ადამიანი, საზოგადოება და სახელმწიფო—  
თვითვეულის უფლება—უდიდესი საგანი—ადამიანის პიროვნების  
უფლება—ჩვენი ღიჯერატურა ამ საგანზედ—ცუდი ჩვეულება—  
რა უნდა გავუჩხრიკოთ—ზნეობითი კუთვნილება ადამიანისა—ამ  
საგანზედ რა ჰსწერია ღიბერალთა დროშაზედ—უწვრთნენი—  
ბაღლების ბარაქალა—ბ-ნი გეგძე და ნ. ლოლობერიძე წინაშე  
პიროვნების უფლებისა—ნ. ლოლობერიძის საქციელი—ვერაფერი  
თავის გამართლება.

ყოველივე წუობილება, რომლის ძალითაც მოქმედებს  
მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოდებული, რომ ადა-  
მიანი, რომდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს. ადამიანი  
ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია. მისი სუფიერი  
და სოციალური ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით,  
ძარტა ყოფნით ვერას გზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა.  
ამიტომაც იმულებულ იქმნა თავის ძგზავს დანაბადთან ერთად  
ემოქმედნა. ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთა-  
გან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან—სახელმწიფო.  
დროთა მიმავლობაში ზოგან საქმე ისე წარემართა, რომ სა-  
ხელმწიფომ იმძლავრა და სრულად დაიმორჩილა საზოგადოე-  
ბა საერთოდ და ადამიანი ცალკედ, ყველაფერი თავითონ მოი-  
თალა და საზოგადოება და ადამიანი ცარიელზედ დასკა. ზო-  
გან საზოგადოებამ თავისი კუთვნილი უფლება შეიჩინა და არ

დაუთმო სახ. ლმწიფოს, და ადამიანი კი ცალკედ თვის უუჭ-  
 მოჭრილ ყმად განსადა. ზოგან კიდევ, როგორც სასკელმწი-  
 ფოში საზოგადოებას, ისეც საზოგადოებაში ცალკე ადამიანს,  
 ანუ უკედ კვლავით, ადამიანის პიროვნებას თავისი საკუთარი  
 უფლება შეჩნა. უკ თვისი განწყობილება ის არის, საცა თვი-  
 თვეულს ამათგანს თავისი პუთვნილი ადგილი უჭირაკს, საცა  
 თვათვეული მთგანი ისეა მოთავსებული, რომ თავის სრული  
 უფლება მიწყული ჰქვს. ერთი უწინდესი და უდიდესი მო-  
 ვალები და საგანი ყოველ საზოგადოდ მომქმედ ძალისა სა-  
 ერთოდ და ლიტერატურისა ცალკედ ის არის, რომ ამ ყო-  
 ფმდე მიაღწეონოს სასკელმწიფოს, საზოგადოებას და ადამიანს  
 და ერთმანეთში თვითვეული მათგანი სრულის გუთვნილის  
 უფლებით და მოვალეობით მოათესოს. ამისათვის იღვწვის  
 და იბრძვის ყოველგან უკეთესი წარმომადგენელი ადამიანისა.  
 იქ, ამასთანაჲს ელმწიფოში, გარდა სასკელმწიფოსი, თვითონ  
 საზოგადოებაც თავის მფარველობის ქვეშ აყენებს ადამიანის  
 პიროვნების უფლებასა და ყოველს შემთსკვეაში ესარჩლება და  
 ექლმაცება, თუ იგი ვისგანმე უსახუთოდ გაუზატიურებულა  
 და სულ შეჩებელი.

ჩვენ ამ შემთსკვეაში არ გამოვუდგებით პირველს რის-  
 ს განსა. ჩვენ მარტო იმაზედ გვიჩნდა ჩამოვადგოთ სიტყვა, რა-  
 საც ადამიანის პიროვნების უფლებას ეძახიან და ამასაც იმი-  
 მხარეს გავუჩინჯავთ, რომელსაც ზნეობითი გუთვნილება ადა-  
 მისისა შეადგენს.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ამ საგან-  
 ზედ ჩვენში დალაგებულად ცნობილი არა არის-რა და ჩვენს  
 ლიტერატურასაც ის უნდა ვუსაყვადუროთ, რომ ამ მხრი-  
 ვურაფერი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. რასაც კი წასწავა

ჩვენი ლიტერატურა, ყოველს ფერს საზოგადოების უფლების მისდევით მიაყენა შუქი და ადამიანის პიროვნების უფლების საჩინოდ არამც თუ სული გაჭიმდა, არამედ მის შესახებ ერთი უმზგავსო და მეტად ცუდი ჩვეულება დაიჩემა.

დღეს აქამომდე ადამიანი, გრძნობა ადამიანის ღირებულისა, ადამიანის პტიოსნება, სინიდისი და ერთობ ყოველივე. რაც კი შეადგენს უძვირფასეს სწავლებას კუთვნილებას ადამიანისას, რაც უგეოეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია; რომ მისთვის სიცოცხლის გაწერვა თითქმის განონადა აქვს აღიარებული, ჩვენ სწორედ მხერად გაგვისდა აღისე ვექცევით, როგორც ფენის მტკიცრას. ახა ადეთ რომელიმე ნაწერი რომელსამე კაცზედ ჩვენში, თუ იმ ნაწერში ყოველივე ეს შეგინებული არ იყოს დაუსჯელად, ყოველივე ღირსება ადამიანისა უარყოილი არ იყოს. ამ საზიზღარმა ჩვეულებამ ამ უკანასკნელ ათის-თხუთმეტის წლის განმავლობაში მოიკიდა ფენი ჩვენში და დღეს აქამომდე განუკითხველად მოქმედობს. მით უფრო საკალალოა ეს, რომ მისნი ამჟომისი დღეს აქამომდე ქადულობენ, რომ ახალ-თაობის კაცნი ვართო და წმინდას სახელს ახალ-თაობისას და ღიბერალობისას ზედ აფარებენ ამ უკადრისს საქციელსა.

როცა კაცზედ ვისმეზედ სჯა და ღაპარაკი მოგვინდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანუბებთ, სინიდისში, გულში ვცდილობთ ჩხედვასა და იქაურობას გუქოთებთ. არ არის არსად ქვეყანა, რომ ამისთანა საქციელს ასეთი სარბიელი ქტონდეს, როგორც ჩვენში აქვს ჩვენდა სამწუნაროდ. უფრო სამწუნარო ის არის, რომ ამ საქციელის მომქმედის კარი ღია აქვს ჩვენს ყურნალ-გაზეთობაში

და აქ-ო და კარი ღია არისო, ვისაც რა მოხვდება არასუნებს მოძლილ წისკვილსავით.

უსაბუთოდ გამოლაშქრება კაცზედ, მისი გაუზატიურება, მისი ღირსების აქედ-იქით თრევა, მისი პატიოსნების წაბილწება და თელვა, მისი განსრახვის, სინიდისის და გულის ნადების თავისებურად ჩხრეკა და აქათება ისე გვეადვილებს არამც თუ შინაურს ღაპარაკში, არამედ საჯაროდ ყურნალ-გაფეთობაში, რომ თითქო ბაკლა და ისპანახი იყოს. ყოველს ჩვენგანს სსვისი გული, სსვისი სინიდისი დაუწერელ ქალაღათ მიანხია და რაც ქეიფში მოუვა, ზედ იმასა ჭისწერს.

ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინიდისი, მისი ზნეობითი ღმკირ-ფასი კუთნილება და ყოველივე ესე სასელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითვეულ ადამიანისაგან პატივ-ცემულ უნდა იყოს, სრულიად სელ-შეუსებელი, ვირდე ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება სელში, რომ იგი მაგ კუთნილებას სსვის საგნებელად სმარობს. ჭეშმარიტს ღიბერალობას ეს მკირ-ფასი კუთნილება ადამიანის პიროვნებისა დიდის ასოებითა აქვს დაწერილი თავის დროშაზედ. მაშასადამე ჩვენმა ახალმა თაობამ, თუ თავისდა სასახელოდ ჭეშმარიტის ღიბერალობის მიმდეკარია, ეგვი უნდა დაიწეროს თავის დროშაზედ და ყოველივე ამის წინააღმდეგად მომტყვევი უნდა ზიზღით ჭსდებოს. გვერწმუნეთ, ამით თვითონ ღიტყვარტურას თავის სიმაღლეზედ დავაყენებთ და ჩვენს მოქმედებას უფრო ადვილად ძლევიტ შევძლავთ.

ბევრია ჩვენში იმისთანა უწვრთნელი, რომელსაც ადამიანის წარამარად ხსენება, გაუზატიურება, ადამიანის პიროვნების შეკინება, არამც თუ სამარცხვინოდ მიანხია, არამედ სასახელოდაც რაღაც ვაჟ-კაცობათ და გულადობათ ჭგონიათ, რომ მე

ესა და ეს კაცი გასუთში გამოკლანძლეო. ამასთანაც ქადულა-  
ბენ კიდეც, ჩვენ ახალ-თაობის კაცები ვართო. ბევრი ბაღლია  
ჩვენში ამ ქადილითა ჭსტუეუდება და ბარაქლას უთვლის ადა-  
მიანის ღირსების ფეს-ჭეჭმ მთელელსა. ბაღლი იმიტომ არის  
ბაღლი, რომ ძალე ჭსტუეუდება და ის ახალ-თაობა კი, რომ-  
მელსედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სისოება და რომელსაც  
კუთვნის ჩვენი მექმისი, ესე იგი, ჩვენი მომავალი, არასოდეს  
ამით არ უნდა მოტუეუდეს. მან უნდა ზურგი შეუქციოს ურცხვს  
მოქადულეს და მისი ქადილი ზიზლით უარ-ჭყოს. თუ უნდა  
ახალ-თაობას თვისი ღირსება დაიცვას, ესე უნდა მოიქცეს.

ამის შესახებ ბ-ნი გეგიძე მშვენივრათა ჭაწყეს «შრო-  
მის» № 25-ში. პირველი ნაწილი მისის ზასუსისა, რომელიც  
ამ საგანს შეეხება, დიდად მოსაწონია და საუურადღებო, — მით  
უფრო, რომ ამ საგანსედა ამისთანა დამჯდარი აზრი პირვე-  
ლია ჩვენს ლიტერატურაში, თუ არა ვცდებით და სსოვნა არ  
გვლავატობს. მსოფლოდ სამწუსარო ეს არის, რომ ბ-ნი გე-  
გიძე თვისგანვე გამოთქმულს მშვენიერს და სამართლიანს დე-  
და-აზრს ადამიანის პიროვნების შესახებ ზოგიერთგან გადაჭ-  
სდგომია. მაგალითებრ, სხვათა შორის ბ-ნი გეგიძე უწყეს  
თვის მოზირდაზირეს: «იმ გეარ კაცებს, როგორიც თქვენ ბძან-  
დებით, მე ყოველთვის ვუყურებ კრიტიკულად და არასოდეს  
არ ვენდობით მათ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ნდობას  
და დამოკიდებულობას მათთან შეუძლია კაცი გააჩიჩქიანოს.»

თუ უკაცრავოდ არ კიჩნებით, ესეთი სიტყვა უძართებულა  
ადამიანის პიროვნებისათვის და დედა-აზრი ადამიანის პირო-  
ვნების უთვლებისა აქ უარ-ყოვილია თავიდაც ბოლომდე.

ამისთანავე სამღურავი ეთქმის ბ-ნს ნ. ლოლობერიძეს.  
მისი ზასუსი ბ-ნი გეგიძის მიმართ გვიძლევს ამის მიზყოს, ის

საბუთი. რაც ბ-ნ ღოღობერიძეს წამოუყენებია ბ-ნ გუგუის-  
 წინ აღმდგ. საბუთი არ არს. მაგ გვარის საბუთების ძალით  
 კაცის პატიოსნებას. მის სინიდიას, მის შინაგნებს არ უნდა  
 შეჭებდეს კაცმა. თუ უარ-მყოფელი არ არის ადამიანის ში-  
 რაგნების უფლებებისა. ეს რა საკადრისა კაცმა კაცის ის უგი-  
 ყროს, რომ მის იმიტომ შეწინააღმდეგებო, რომ ეს და ეს  
 საქმე არ გაგირიგო და სწინასმდეგოდ წამოუყენებულს სა-  
 ბუთებს. იგი ვა ში არ ჩაუდგეს და თუ თუკუფად არ განიხი-  
 ლოს. მტრობით მო დას კაცს კაცის წინააღმდეგობა, უკმა-  
 ყოფილობით თუ სამართლის საყვარეობით, ეგ მისის სინი-  
 დის საქმე დამამსაღამე იმისთანა საგანის, რომ დასც ვერც  
 კაცის თვლით მისწვდება რომ და ხსოვს, ვერც სული-რომ შე-  
 ეხოს. ამ შემთხვევაში თუ რამ ითქმის, მარტო ვარაუდობით  
 ათქმის ყველა გოჭიერი და პატიოსანი კაცი დამეთანხმება,  
 რომ ვარაუდობით განკითხვა ადამიანის სინიდიას და ჩინ-  
 ქის მოცნობა დადი უკდრისობა და კიდევ ვიტყვით, ადამი-  
 ნის შინაგნების უფლების სრული უარ-ყოფა. ეს არ უნდა  
 უპატიოს არავის, ვსც კი ამში დამსაშვედ აღმოჩნდება.

რაც შეხება თუთონის ღოღობერიძეს საქმეს, —  
 რომლის თაობაზედც ასეთი აყალ-მყალი შეუდგათ ქუთათე-  
 ლებს და ამოდენა მიწერ-მოწერა გაიმართა, ჩვენ ვერ ჩვენს  
 ახრი ვერ შეგვიდგენია გულ-დაჯერებით! საქმის არ ვიცით,  
 რას ახრავებენ ბ-ნს ღოღობერიძეს. დასაჯის, თუ მარტო იმას,  
 რომ თ. ნ. წერეთლის წინააღმდეგობას მხარი არ მიჰყავს ჩვე-  
 ნის დუქრით, რჩივე დახმარებას, მაგრამ პირველი უფრო  
 მძიმეა. რადგანაც არც ერთისა და არც მეორის ცნადი საბუ-  
 თი არ გვიჭირავს ხელში, ამიტომაც ჩვენს უურადლებას მივაჭ-  
 ცვეთ მას, რასაც უცდილო საბუთი ამ შემთხვევაში გვეუბნება.

უფილო საბუთ დ მიგ აჩნია ის, რომ პ.ნი ნ. ღოღობერიძე თვითონვე ამბობს: გუბერნიის მარშლის თანამდებობას მე სრულად არ ვაძლევ იმ მნიშვნელობას, რომელსაც ი ინი მიაწერენ», და შემდეგ: «როგორც თავ მკვდომარე, სააზნაურთა ბანკის გამგეობას მე არ შემეძლია გაცნობებულ მოსაწილეობა მივიღო თავად-აზნაურობის არჩევანში და ამ გვარ მოქმედებით ვაწყენინო დიდა ნ.წილს საზოგადოებისათ.»

გერმანული თავის გამართლებას, ჩვენის ფიქრით. რასაკვირველია, მარშლის თანამდებობის მნიშვნელობას უკიდურესად გაცმა სხვა-და-სხვა აზრი იქონიოს და ეს ამბავი ცოდვით არავის არ ჩაუთვლება. მაგრამ საქმე იმაშია, ვისი აზრია მართალი და ვისი მტუყანი. ჩვენის ფიქრით, ნ. ღოღობერიძე, ქსცდება, რომ მარშლის თანამდებობას მნიშვნელობას არ აძლევს. ამას იქნება სხვაგან უფრო ბევრი საბუთი ქქონდეს, ვიდრე ჩვენში. ჩვენში და ნამეტანვად ჩვენში აქვს მაგ თანამდებობას დიდი მნიშვნელობა იქ, სადაც საზოგადოებას არავითარი განონიერი ორღანო არ აქვს თავის საჭიროების გამოსათქმელად, არავითარი განონიერი ღონე თავის-თავის გამოსარჩლებასა, იქ მაგისტანს დაწესებულება, როგორც მარშლობას, დიდი საქმეა. მართალია, იგი წარმომადგენელია მართლ ურთის წოდებისა და არა მთელის გუბერნიის მცხოვრებლებისა, მაგრამ უარაობას ცალ უღელი ხარი ქსცობიანო, ნათქვამია. კარგის მარშლის შუამდგომლობით და შემწეობით თავად-აზნაურობას ნება აქვს თვით სულმწიფემდის მიაწვდინოს თავისი ხმა და თავისი თხოვნა. ნუ თუ ამ უარაობაში ეს უფლება, ეს ნება არაფერში გამოსაყენია? ნუ თუ ცოტა რამ არის, რომ ჩვენის გაცნის პირით შეგვიძლიან წარმოვსთქვათ თვით უუმაღლეს მთავრობის წინაშე ჩვენი მწუხარება და გულის-ტკივილი? ცოტა ტკივილებია ჩვენ-

ში, რომ აქამოდე ხმა ვერ ამოგვიღია მარტო იმიტომ რომ მარშლები არ ვარგებულან? რომ ვარგებულყვენ, ხომ ასე დაბალ-ღობეთ მანც არ გავისდიდით თავსა, რომ დიდი და პატარა ზედ გვასტებიან, თუ ვერას გავსდებოდით, ხმა-ამოუღებელივ მანც არ ჩავვიდებოდით თავს და დიდსა და პატარას არ ვაკეჭვებოდით. ვერ მარტო ის იგულისხმეთ, რომ მარშალი კანონის აზრითვე შუამდგომელია მთავრობისა და საზოგადოების შორის. მთავრობამ მაგის შეიწყობით უნდა ქსენას საზოგადოების საჭიროება და გულის-ტკივილი და საზოგადოებამ კიდევ მთავრობის განსრავება და განკარგულება. ამისთანა საქმისათვის ნუ თუ კარგი მარშალი სანატრელი არ არის? მერე სად? ჩვენში, საცა თუ არ მარშლის პირით, სხვა კანონიერი ღონე არა გვაქვს ხმის ამოღებისა.

ჩვენ იმას აღარ ვამბობთ, რომ დღესა თუ სვალე კარ-ზედ მოგვადგება ათასნაირი ასალი წესი და დაწყობილობა, რომელსაც გაძღვალა უნდა და წინა-მძღვრობა და რომელსაც უსერიო მარშალი ქვეშ მოჭყვება და არა თავზედ მოექცევა. თუნდ ეგეტ არ იყოს, რამდენი რამ დაადგინა ესლანდელმა ვრებამ ტფილისისამ თუ ქუთაისისამ, ვინ უნდა წაუძღვეს წინ ამ დადგინებას, ვინ უნდა იტვირთოს მისი კეთილად შესრულება? ამებს რომ გაცი დააკვირდეს, რაღა საბუთი აქვს ქსთქვას, რომ მარშლების თანამდებობას მნიშვნელობას არ ვაძლევა. ამ მიზეზით თავის მოწოდება, არჩევანში არ ვარგვა, უკეთესის გაცხის მარშლად ამოჩვენებაში ცხარე მონაწილეობის არ მიღება ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია.

როგორ თუ არ მიხდოდნა დიდ ნაწილ საზოგადოებისათვის შეწყენინებინა. მითომ რატომია? საზოგადო საქმეში მაგ ანგარიშს არავითარი ზედ-მოქმედება არ უნდა ქვინდეს.

კაცზედ. რაც კაცს უფრო საკეთილად მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თვისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად ეწეინება ვისმეს, თუ არა. იქ წყენა რას მიჰკიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულის შვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოკერიდო და ცხარედ ჩაკვიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სანიდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქობრივი გულადობა, ვაყ-კაცობა და ქველობა.

რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ სიმონ წერეთლის ამოჩვენა უნდა ეგველას მიეჩნია უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად—ამას ღაპანაკი არ უნდა. ორთა წამოყენებულ კანდიდატთა შორის ბევრი აწონ-დაწონვა არ მოუხდებოდა კაცს. ისე ცხადი იყო ღირსება ერთისაც და მეორისაც თვალ-ახილულ კაცისათვის. ვინც ორთა შორის უკეთესს არ მისცა ამ შემთხვევაში მხარი, იმან თუ არ დაუგვიანა მოსალოდნელი და შესაძლო სიკეთე ჩვენს ქვეყანასა, სამის წლით მაინც შეაფერსა ის გაღვიძებული აზრი, რომელიც გამოითქვა ჩვენის ქვეყნის შესახებ გურიისა და გორის წლეგანდელ კრებათაგან მიღებულ წინადადებაში და ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, მცირე შეცოდებად არ ჩათვლება. ეს შეცოდება მით უფრო მატულობს, რომ ამ სამს წელიწადში ბევრი რაღაც ცვლილება მოეღის ჩვენს ქვეყანასა და გორიერის, განათლებულის მარშლის ხმა ამ შემთხვევაში მეტად საჭირო იყო ჩვენის ქვეყნისათვის და ქვეყნის სახელისათვის.

## ზანსხალეზა.

გულ-მსურველდა ვსთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მოასკრსოს და, განსაკუთრებით, სოფლის მასწავლებლებს, რომ ჩვენი სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვა ყოველ-გვარი ზეპირ-გარდმოცემები, შეძლებისა-და-გვარად, მოაგროვონ და ჩემ სახელზედ, ან «დროებისა» და ან «შრომისა» რედაქციაში გამოგზავნონ ხოლმე. ამით ისინი რიგის სამსახურს გაუწევენ ჩვენს დედა-ქვას და კერძოთ მეტ დამავლებს. მხოლოდ ამას კი ვსთხოვთ, რომ გადმოწერის დროს, ანაიფერი გაასწორონ და თავისი ანა ჩაუმატონ-რა; დასწერონ ისე, როგორც გაიგონონ, უმეტ-ნაკლებოთ, და აგრეთვე ისიც შოისხენიონ—თუ ჩვენის ქვეყნის რომელ კუთხეში გაუგონიათ იმათგან დაწერილი შაირი, ზღაპარი და სხვ.

უმორჩილესად ვსთხოვთ ქართველ ყურნალ-გაზეთების რედაქტორებს, რომ მათ გაზეთ-ყურნალშიც გადაბეჭდონ ეს თხოვნა.

აკაკი.

ნ 383  
1882

### განცხადება.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ივერიაზე» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ესი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ჯერ ოთხი მანათი შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევან ქუჩაზე, ფარესაშვილის სახლებში № 9 და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერით წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, კთხოვით, მალე აცნობოს რედაქციას.